პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 6 ივნისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 130 (2778)

დ ღ ი უ რ ი

- — უმუშევართა დიდი დემონსტრაცია ბერლინში.
- — გუანსის პროვინციაში (ჩინეთი) ნახევარი მილიონი წითელი პარტიზანი მოქმედობს.
- — 26 მაისისათვის ინგლისში 177.000 უმუშევარი იყო.
- — პროფინტერნის V კონგრესზე მოემგზავრება კანადის მუშაქალთა დელეგაცია.

ა.-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-VI ყრილობა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ამხ. მ. ტომსკის მოხსენება



ამხ. ტომსკი

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხანაგებო! სანამ შევუდგებოდე ცაკას მუშაობის ანგარიშს, ნება მიბოძეთ ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმო ბოლშევიზმის მედგარ რაზმებს, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს. (ტაში). ცენტრალური კომიტეტი გიძღვნის თქვენ თავის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს (ტაში).

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა განვლილი ორნახევარი წლის მანძილზე მეტად რთულ და ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. ძნელია პარტიის ამ რაინდული მუშაობის რამდენიმედ სრული, რამდენიმედ დეტალური გაშუქება. ამიტომ მე შევეხები უმთავრესად ძირითად მომენტებს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მუშაობიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და შევჩერდები იმ საერთაშორისო პირობებზე, რომელშიაც სწარმოებდა ეს მუშაობა.

საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ კაპიტალიზმის მდგომარეობა დაახასიათა როგორც არამყარი, დამპალი სტაბილიზაციის მდგომარეობა. მაშინ ისმოდა იქვის ხმები ამის შესახებ არა მარტო ჩვენი მტრების ბანაკში, არამედ უცხოეთის კომუნისტურ პარტიის ზოგიერთ წრეებშიაც კი. ისინი სცნობდნენ, რომ მე-15 ყრილობის მიერ მოცემული დახასიათება კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობისა მეტად პესიმისტურია. გამართლდა თუ არა ეს პროგნოზი, რომელიც მოგვცა მე-15 ყრილობამ კაპიტალიზმის მდგომარეობის მიმდინარე ეტაპის შესახებ? აი პირველი კითხვა, რომელიც ისმება ჩვენს წინაშე.

თქვენ ამასთანავე იცით, რომ ყველა ჯიშის რეფორმისტები იძლეოდნენ და ეხლაც იძლევიან კაპიტალიზმის განვითარების ბრძნულ რეცეპტებს. მათი აზრით ომის შემდეგ კლასობრივი წინააღმდეგობანი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში თანდათან კლებულობენ. კლასობრივი ბრძოლა უმტკივნეულოდ სწყდება. გაამართლა თუ არა სინამდვილემ ეს რეფორმისტული სიბრძნე? აი მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე ისახება.

ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ შინაგანი წინააღმდეგობა კაპიტალიზმის თანდაყოლილი თვისებაა, რომ ეს წინააღმდეგობა შეურიგებლივ ღრმავდება და ფართოვდება, რომ კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნები ვერ შეურიგდებიან იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას. რეფორმისტები კი ამბობენ, რომ ბურჟუაზიას შეაქვს კოლონიალურ ქვეყნებში კულტურა, რომ კაპიტალიზმი ქმნის იქ ეკონომიური განვითარების ჰარმონიას. შესძლო თუ არა კაპიტალიზმმა ასეთი ბაზის თავისი გავლენის მტკიცე ბაზის შექმნა კოლონიებში? შესძლო თუ არა კაპიტალიზმმა თავის დაღწევა კოლონიალურ ქვეყნების მრავალმილიონიან მასების რისხვისაგან?

განვლილი პერიოდის მიხედვით ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საკავშირო კომუნისტურ პარტიის მე-15 ყრილობის მიერ მოცემული პროგნოზი სავსებით გამართლდა. ყველა ნათლად ხედავს ეკონომიური კრიზისის ტალღების ზრდას ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ამერიკის კრიზისს, რომელიც თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს, ხსნიდენ დროებით საბირჟო-ფინანსიური დაბრკოლებით. ამბობდნენ, თითქოს ეს კრიზისი ბირჟის ფარგლებს არ გასცილდებაო. მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ის შეუჩერებლივ გადადიოდა მრეწველობის ერთი დარგიდან მეორეში და შემდეგ სასოფლო მეურნეობაშიაც კი. უკანასკნელად ამერიკის კრიზისი გადმოიტყორცნა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც.

ამერიკის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი ერთხელ კიდევ ამსხვრევს იმ ილიუზიებს, რომელსაც ქმნიდნენ რეფორმისტები ამერიკული კაპიტალის ურყეობის შესახებ და იმის შესახებ, თითქოს კაპიტალიზმის განვითარება შესაძლებელია უკრიზისოდ. ამერიკის დღევანდელი მდგომარეობა ამსხვრევს უცხოეთის ზოგიერთ კომუნისტთა ყალბ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული „სტაბილიზაციის" დახასიათება ჩვენი პარტიის მიერ არ იყო სწორი.

ამერიკის კრიზისი უკვე შეეხო ისეთ მძლავრ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიცაა ინგლისი, აქ დაიწყო სამრეწველო დეპრესია. დღითი-დღე იზრდება უმუშევრობა. ეკონომიური ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს. უმუშევრობა საზოგადოდ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მსოფლიო საშიშ ფაქტორად გადაიქცა.

ინგლისური გაზეთი „ფინანშელ ტაიმს" ბრიტანეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე სწერს, რომ მიმდინარე წელს ინგლისის ექსპორტი 1913 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 1913 წელში ინგლისიდან გატანილ იქნა 368.000 ტონა საქონელი, მიმდინარე წელს გაიტანეს მხოლოდ 263.000 ტონა. ფოლადისა და თუჯის ექსპორტი ინგლისიდან შემცირდა 50 პროცენტით. ბამბის ქსოვილების ექსპორტი შემცირდა 33 პროცენტით, სხვა ქსოვილების —30 პროცენტით. შავი ლითონის გაზიდვა შემცირებულია 20 პროც.

რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეს, ინგლისის ექსპორტი ამ ხნის განმავლობაში დაეცა 29,8 პროც.

რა მდგომარეობაა გერმანიაში. თუ 1929 წლის აპრილში გერმანია ამზადებდა 36.000 ტონა თუჯს, 1930 წლის აპრილში დამზადებულ იქნა 31.000 ტონა თუჯი. 1929 წლის აპრილში გერმანიამ დაამზადა 56.000 ტონა ფოლადი. 1930 წლის აპრილში—43.000 ტონა ფოლადი. ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიაში თანდათან ფართო ხასიათს ღებულობს მუშათა გაფიცვები, ამასთან დაკავშირებით შეუნელებლად იზრდება კომუნისტური პარტიის როლი და ეცემა სოციალ-დემოკრატიის გავლენა.

ინგლისის მუშათა მთავრობის, რომელიც ლიბერალების ხმებით არსებობს, პრაქტიკამ ნათლად დაანახვა მუშათა კლასს, რომ შეუძლებელია „სოციალისტური" სამინისტროების საშუალებით მუშათა საკითხის გადაწყვეტა კაპიტალისტურ წყობილების პირობებში. ევროპაში ხდება ძალთა ახალი გადაჯგუფება. მუშათა კლასი გაბედულად გამოდის ქუჩაში, ის ებმება დღემდე მისთვის უჩვევ ხელჩართულ ბრძოლაში პოლიციასთან. ჩვენთვის, რომელიც აგერ თითქმის 14 წელიწადია აღარ ვხედავთ გოროდოვოის, ეს ამბები დაშორებულად მოსჩანან, მაგრამ მე მაგონდება ის სურათი, რომლის მოწმე ჩვენ ვიყავით 15 წლის წინად უცხოეთში. ჩვენ რუსეთის სინამდვილის მიხედვით მუშათა დემონსტრაციების დროს შეჩვეული ვიყავით პოლიციის მათრახებს, ჟანდარმერიის ველურ თავდასხმებს და სხვ. სულ სხვა იყო ევროპაში. აქ თქვენ დაინახავდით მუშათა დემონსტრაციებს, რომელთაც წინ მოუძღოდა პოლიციელთა რაზმი, უკრავდა მუსიკა, პოლიციელები აჩერებდნენ ეტლებს და ავტომობილებს. დემონსტრანტები თუმცა ზანტად, მაგრამ მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს, ისმოდა ლოზუნგები და სხვ. ერთი სიტყვით დემონსტრაცია ატარებდა მშვიდ და წყნარ ხასიათს. სულ სხვა არის ეხლანდელი მუშათა დემონსტრაციები ევროპაში: ისინი ბევრად მოგვაგონებენ 1904 წლის დემონსტრაციებს რუსეთში. პოლიცია მუშათა დემონსტრაციების წინააღმდეგ უკვე მიმართავს რეზინის ჯოხებს, თავს უმტვრევს მუშებს და ტყვიითაც უმასპინძლდება მათ. ევროპის მუშა დღეს უკვე გამოდის დემონსტრაციაზე საჩხუბრად, ქუჩის დასაპყრობად. იწყება რეპეტიციები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

თუ გარეგნული ნიშნების მიხედვით ავიღებთ, ბურჟუაზიულ ქვეყნების განვითარება რამდენადმე მოგვაგონებს საბჭოთა კავშირის განვითარებასაც. ომის შემდეგ იქაც იყო აღორძინების პერიოდი, რომელსაც მოჰყვა ბურჟუაზიული რეკონსტრუქციის პერიოდი. განსაკუთრებით გამარჯვებული ქვეყნების კაპიტალიზმი შეუდგა თავისი იარების დაშუშებას. მუშებმაც მიიღეს ზოგიერთი შეღავათები. აქედან წარმოიშვა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ვერსია. ბურჟუაზიული წარმოება ხელახლა შეიარაღდა ტეხნიკურად. დაიწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო ამან? მანქანა წინ აღუდგა ბურჟუაზიულ წყობილების შემდგომ განვითარებას. შედარებით აღორძინებამ გამოიწვია მორიგი და უფრო მწვავე დაბრკოლებები. ბურჟუაზიული ეკონომისტები უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ კაპიტალიზმის დღევანდელ კრიზისში დამნაშავეა მანქანა. ისინი საფრთხეს ხედავენ იმაში, რომ კაპიტალიზმი ძალიან ბევრ პროდუქტებს ამზადებს. ამრიგად მანქანა ბურჟუაზიულ წყობილების მტრად გადაიქცა. ეს მაშინ, როდესაც რეკონსტრუქციას საბჭოთა კავშირის სინამდვილეში თვითეულ ახალ მანქანას ჩვენში მოაქვს მშრომელი მასების კეთილდღეობა და ქმნის პროლეტარულ-საზოგადოებრივ შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველს.

აიღეთ მაგალითად ამერიკა. იქ ხიმინდს იყენებენ ორთქლმავალთა სათბობ მასალად. რატომ ხდება ეს? განა იმიტომ, რომ ამერიკაში ცოტა არიან ისეთები, ვისაც ჭამა სურს? პირიქით, დამშეულები გაღატაკებული აქ ზევრია, ისინი დღითი-დღე იზრდებიან და ამიტომ მოკლებული არიან საშუალებას იყიდონ მათთვის აუცილებელი საკვები. ბურჟუაზიისათვის კი უფრო ხელსაყრელია ხიმინდი გამოიყენოს ორთქლმავლის ქვაბის გასახურებლად, ვიდრე მის გასასყიდად დამშეულ მასებზე.

როგორი ურთიერთობაა იმპერიალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებს შორის? უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ ვიყავით არაჩვეულებრივ მძლავრი რევოლიუციონური მოძრაობის მოწმე მთელ რიგ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. ჩვენ ვიხილეთ ჩინეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც შემდგომ ნაწილობრივ მარცხი განიცადა. ჩინეთში გაბატონდა ჩან-კაი-შის დიქტატურა, რომელიც რასაკვირველია ვერ მისცემს ჩინეთის მშრომელ მასებს ეროვნულ განთავისუფლებას. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთში შეუჩერებლივ იზრდება წითელი არმია, რომელსაც მოაქვს ჩინეთის გლეხებისა და მუშებისათვის ნამდვილი თავისუფლება. ჩან-კაი-შის მიერ რევოლიუცის სისხლში ჩახშობის შემდეგ მთელი ჩინეთის სამხრეთ ნაწილში გადარჩა წითელი რაზმების უმნიშვნელო ჯგუფები, რომელნიც დღეს მძლავრ არმიად გადაიქცნენ და რომელთაც მოაქვთ თავიანთ ხიშტებზე ჩინეთის მშრომელი მასების გამარჯვება. და აი, დღეს, როდესაც აქ ჩვენი სხდომა მიმდინარეობს, ჩინეთში შეკრებილია საბჭოთა ყრილობა (ტაში).

მეტად საგულისხმო მდგომარეობა გვაქვს ინდოეთში. რომლისთვისაც მრავალი სისხლი დაუღვრია ინგლისის იმპერიალიზმს. აღსდგენ ინდოეთის მრავალმილიონიანი ხალხები. მათ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ტოლსტოისა და ჩან-კაი-შის საშუალო ტიპის მოღვაწე განდი. მან იგრძნო, რომ მოძრაობა იზრდება, ის ღებულობს საშიშ სახეს და აი უკვე ცდილობს კომპრომისზე წასვლას. მაკდონალდი ნიშნავს თავის არაოფიციალურ აგენტებს განდისთან მოსალაპარაკებლად. განდის განზრახვა აქვს გაემგზავროს ლონდონში მაკდონალდთან. აი სწორედ გულმა გული იცნო. მაგრამ განდის კომპრომისი ვერ უზრუნველყოფს ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას ინდოეთში. არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ფართო სოციალური მოძრაობა. ის იზრდება და საბედისწერო ხდება კაპიტალისტ მჩაგვრელებისათვის. ისტორია მიდის ლენინის გზით. კოლონიალური მოძრაობა სასიკვდილო ლახვარს უმზადებს კაპიტალიზმს.

არანაკლებ სავალალო სურათი წარმოგვიდგება, თუ გადავავლებთ თვალს ბურჟუაზიულ ეკონომიკის ზედნაშენს, მის კაპიტალიზმის პოლიტიკას და ხელოვნებას. ბურჟუა, რომელიც ფეოდალიზმთან ბრძოლაში დემოკრატი იყო, საბოლოოდ გარდაიქმნა. კაპიტალიზმი დემოკრატისგან ფაშიზმისაკენ შეტრიალდა. მხოლოდ ინგლისში დარჩა მაკდონალდი „მუშათა მთავრობა", რომელსაც ბურჟუაზია აჩერებს მანამ, სანამ ის 100 პროცენტით ანხორციელებს კაპიტალიზმის ინტერესებს. და ჩვენ ვხედავთ, რომ მაკდონალდის მთავრობა არსებითად არაფრით განსხვავდება მის წინამორბედ მთავრობისაგან.

ამერიკაში ჩვენ გვაქვს იდეოლოგიურ კონსერვატიზმის იშვიათი ნიმუშები. აქ პროფესორებს კათედრებს ართმევენ, იმიტომ, რომ დარვინიზმზე ლექციები წაიკითხეს. ბურჟუაზია, რომელმაც ფრთები შეუკვეცა ღვთის ბატონობას, ეს კვლავ იშველიებს მას მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო დაწყებული ამერიკიდან და გათავებული ლიმიტროფული ქვეყნებით ესტონეთით, ლატვიით და ლიტვით ფოქსტროტებით არის გატაცებული. ფაშიზმი, რელიგია და ფოქსტროტი ხელოვნებაში—აი, ბურჟუაზიულ ეკონომიკის დღევანდელი ზედნაშენი.

და ამ პირობებში გაფთრებული მზადება სწარმოებს ომისათვის, ბაზრების დასაპყრობად ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნების გავლენის გასაძლიერებლად მოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში. მართალია, იკრიბება განიარაღების კონფერენციები, არსებობს ერთა ლიგაც, მაგრამ ყოველივე ეს არავის არაფერს ავალებს. ჩვენ კაპიტალიზმის ერთ პოლიუსზე გვაქვს მძლავრი სახელმწიფო ამერიკა, რომლის ზარბაზნებიც ინგლისის წინააღმდეგ მზადდება. თავის მხრივ საფრანგეთი სცდილობს განამტკიცოს მდგომარეობა ევროპის კონტიგენტებზე. პანევროპის იდეა არსებითად არის საფრანგეთის მისწრაფება შეგემონიისაკენ ევროპაში. და აი, ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირი ბურჟუაზიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნები მწვავე კრიზისის კლანჭებში არიან მოქცეულნი, საბჭოთა კავშირი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. აქედან ღებულობს სათავეს დაუცხრომელი სამზადისი ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ დღეებში გამოვიდა გერმანული ბროშურა, რომელიც უტიფრად და აშკარად აღწერს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას. აქ როლები სავსებით გათვალისწინებულია. ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა ეკისრება რუმინეთსა და პოლონეთს, სად უნდა გადმოისხას დესანტი, რა უნდა აკეთოს იაპონიამ, ჩინეთმა და სხვ. აქ დავიწყებულია მხოლოდ ერთი გარემოება. მუშათა კლასის როლი ამ შემთხვევაში, კოლონიალური მასების მოძრაობა და საბჭოთა კავშირის სიმტკიცე. არის ჩვენ მტრებს შორის ორი ბანაკი. ერთი უფრო შეუპოვარ შეტევითი პოლიტიკის გზაზე დგანან, მეორენი გვევლინებიან მეგობრების სახით. ისინი თანახმანი არიან გააფართოვონ ჩვენთან სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობა და განამტკიცონ მეზობლური დამოკიდებულება. არსებითად ორივე ბანაკი ჩვენთვის ერთია. მათი დახასიათება მოკლედ შეიძლებოდა ასე: პირველნი გამოხატავენ კუტეპოვშჩინის სულისკვეთებას, რომელიც გულისხმობს დაუყოვნებლივ შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და პროლეტარიატის ხელისუფლების იარაღით შემუსვრას და მეორე გამოხატავს უსტრიალოვშჩინას, რომელიც იმედოვნებს, რომ ჩვენ თანდათან გარდავიქმნებით „პატიოსან" რესპუბლიკანურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ მთელი მისი ატრიბუტებით. მათ ჯგუფს ეკუთვნის სოციალ-დემოკრატია და კერძოთ მაკდონალდის მთავრობა, რომელიც გარეგნულად კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას იჩენს ჩვენდამი.

ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი მოთმინება და სულგრძელობა გამოიჩინა მშვიდობიანობის დასაცავად. პარტია განუხრელად ატარებს ლენინის მითითებას, უზრუნველვყოთ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. და უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტები ჩვენმა ამგვარმა პოლიტიკამ ერთგვარად გაათამამა. საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ მათ გაიგეს, როგორც ჩვენი უძლურება. ისინი ფიქრობენ, ალბათ, რომ მათ დაუსრულებლივ შეუძლიათ გვირტყან ცხვირზე წკიპურტი, ხოლო ჩვენ ხმასაც ვერ ამოვიღებთ.

მათ წარმოვუდგინეთ ჩვენ ქრისტეს მოყვარულ კვაკერებათ. და აი სცადეს ჩვენი გამოცდა ხიშტებით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის კონფლიქტის გამო. მაგრამ ჩვენ ისე „უზრდელად" მოვტრიალდით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ხელები ნაღრძობი ამოაჩნდა. (სიცილი).

საბჭოთა ხელისუფლება არ იბრძოლებს სხვის ტერიტორიის დაპყრობისათვის. მუშისა და გლეხის თვითეული წვეთი სისხლი ჩვენთვის ათასჯერ უფრო ძვირფასია, სხვის ტერიტორიაზე. ამით ისარგებლეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა. მათ შემოგვისიეს ბანდები, დაარბიეს ჩვენი საელჩოები, ხელთ ჩაიგდეს რკინის გზები, გაიტაცეს გემები და შემდეგ ისე „წახალისდნენ" რომ ჩვენს ტერიტორიაზედაც გადმოვიდნენ. ჩვენ ვუპასუხეთ მათ, არ გვიყვარს ხიჩინი, ხელს ნუ გვახლებთ, თორემ ინანებთ-თქო და ასეც მოხდა. (ტაში).

სიტყვა მშვიდობიანობა გამოხატავს ჭეშმარიტებას მხოლოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა დოკუმენტებში და ზეპირ გამოსვლებში. ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ სვლას ამ გზით.

საშინაო მდგომარეობა

ინდუსტრიალიზაცია

აი, ამხანაგებო, რა საერთაშორისო პირობებში მიმდინარეობდა საკავშირო კომპარტიის ცეკას მუშაობა განვლილ საანგარიშო პერიოდის მანძილზე. შინაური აღმშენებლობა, პარტიის საქმიანობა მიმდინარეობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ლოზუნგით. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შედგენის ზოგადი დირექტივა. ცენტრალურმა კომიტეტმა და შემდეგ პარტკონფერენციამ საბოლოოდ დაამუშავა ეს გეგმა. დღეს მას აქვს არა მარტო საკავშირო, არამედ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად აქვს ადგილი უმნიშვნელოვანეს მოვლენას: პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა საქმით უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ როგორ ხდება კაპიტალისტური ქაოსიდან გადასვლა გეგმიან მიზანშეწონილ სოციალისტურ მეურნეობაზე.

როგორია ჩვენი მიღწევები ინდუსტრიალიზაციის დარგში. 1926-27 წელს წინა წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის ზრდა უდრის 119 პროც.-ს, 1927-28 წელს 122 პროც.-ს, 1928-29 წელს 123 პროცენტს, 1929-30 წელს 129 პროც.-ს.

საწარმოო იარაღების დამზადება 1926-27 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 123 პროცენტით, 1927-28 წელს 121 პროცენტით, 1928-29 წელს 126,2 პროც.-ით, 1929-30 წელს 137,8 პროც.-ით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა 1926-27 წელს წინა წელთან შედარებით უდრის 105,5 პროც.-ს, 1927-28 წელს 99,4 პროც.-ს, 1928-29 წელს 101,8 პროც.-ს, 1929-30 წლის ციფრი კი ჯერჯერობით არ არის.

რაც შეეხება თუჯის დამზადებას, აქ ასეთი მდგომარეობა გვაქვს: 1926-27 წელს დამზადებულ იქნა 3.030.000 ტონა თუჯი, 1927-28 წელს 4.000.000 ტონა თუჯი, 1928-29 წელს 5.500 ათასი ტონა თუჯი, ხოლო 1932 წლისათვის დამზადებული იქნება 15 მილიონი ტონა თუჯი.

ქიმიური სასუქის დამზადება იზრდება ოთხჯერ. სოფლის მეურნეობის მანქანების გამოშვება მიმდინარე სამეურნეო წელში ოთხჯერ გაიზარდა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდე ტრაქტორზე. ტრაქტორი ჩვენს სინამდვილეში ახალი მოვლენაა. მე ეხლა მაგონდება, რომ 1924 წელში ინგლისის ტრედუნიონების კონგრესზე აღვნიშნავდი, როგორც მიღწევას, რომ საბჭოთა კავშირმა მიმდინარე წელს უნდა შეტანოს 1000 ტრაქტორითქო. ეხლა კი, ამხანაგებო, მთელს საბჭოთა კავშირის მინდვრებზე უკვე მუშაობს 90 ათასი ტრაქტორი, 1929 წელს გამოშვებულ იქნა 40 ათასი ტრაქტორი, ხოლო 1930 წელში გამოშვებულ უნდა იქნას 90 ათასი ტრაქტორი.

ჩვენ მოვაწყვეთ ტრაქტორების დამზადება საბჭოთა კავშირის ქარხნებში. ყოფილი პუტილოვის ქარხანა მიმდინარე წელს გამოუშვებს 12.500 ტრაქტორს, მომავალ წელს კი 25.000 ტრაქტორს. სტალინგრადის ქარხანამ წელს გამოუშვა 2 ათასი ტრაქტორი, მომავალ წელს კი უნდა გამოუშვას 25 ათასი ტრაქტორი. 1932 წლიდან ყოველ წლიურად უნდა გამოშვებულ იქნას 50 ათასი ტრაქტორი. შენდება ჩელიაბინსკში და ხარკოვში ახალი ქარხნები. თვითეული მათგანი ყოველ წლიურად გამოუშვებს 50 ათას ტრაქტორს.

როგორ მიმდინარეობს ჩვენში მანქანათმშენებლობა? 1926-27 წელს გამოშვებულ იქნა 591 მილიონ მანეთის პროდუქცია. 1928-29 წელს კი 793 მილიონ მანეთის პროდუქცია, ხოლო 1932 წელს გამოშვებულ უნდა იქნას ორნახევარ მილიარდ მანეთის პროდუქცია.

ამასთან დაკავშირებით, ამხანაგებო, ხდება შესაფერი გადაჯგუფება მძიმე და მსუბუქ მრეწველობას შორის. შეუჩერებლივ იზრდება მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა. 1929-30 წელში მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა უკვე უდრიდა 48 პროც.-ს.

რაც შეეხება კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებულ თანხებს აქ ასეთი სურათი გვაქვს: 1928-29 წელს კაპიტალურ დაბანდებებში გადადებულ იყო 1.800 მილიონი მანეთი, ამჟამად კი კაპიტალურ დაბანდებებზე გადადებული თანხა 4 მილიარდ მანეთს აღწევს.

აი, ამხანაგებო, ის ძირითადი ციფრები, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ სით ვიზრდებით და როგორ ვიზრდებით. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალურ მშენებლობაში ჩვენ გავშალეთ არაჩვეულებრივი ტემპი. ჩვენ ვაგებთ თუჯის ქარხანას მაგნიტოგორსკს, რომლის მსგავსი თავის ძლიერებით არ იცის არა თუ საბჭოთა კავშირმა, არამედ ევროპამ და ამერიკამაც. მაგნიტოგორსკი ყოველ წლიურად ჩვენ მოგვცემს ორნახევარ მილიონ ტონა თუჯს, ანუ ფუთობით რომ ვიანგარიშოთ 150 მილიონ ფუთ თუჯს. აი სოციალისტური მშენებლობის ტემპები!

ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი, როგორ ვაშენებთ? უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მოუწესრიგებელია პროექტების შედგენა, მშენებლობა ხშირად ჭიანურდება, მაღალია თვითღირებულება. ბევრი რამ ისე არ არის აშენებული, როგორც ეს საჭიროა, რადგან ეს გამოწვეულია ბურჟუაზიული სპეცების მავნებლობით, მაგრამ საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ დეფექტებისა მშენებლობის ტემპებით წინ ვუსწრებთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებსაც.

მთელ საბჭოთა კავშირში პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით სწარმოებს მრეწველობის რეკონსტრუქცია. უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ადგილობრივ მომუშავეს მეტად თავისებურად ესმის მრეწველობის რეკონსტრუქცია. მოგვეცით ფული, შესცვალეთ ძველი მანქანები, ააგეთ ახალი კორპუსები ძველი კორპუსების ნაცვლადო. აი როგორ წარმოუდგენიათ ზოგიერთებს რეკონსტრუქცია. ხშირად ამა თუ იმ საწარმოს ძირითადი კაპიტალის ღირებულება არ აღემატება ერთ მილიონ მანეთს, ხოლო მის რეკონსტრუქციისათვის 12 მილიონ მანეთს მოითხოვენ. რასაკვირველია, ამხანაგებო, არ არის სწორი რეკონსტრუქციის ამოცანის მარტო ფულის საკითხით განსაზღვრა.

ჩვენი ქვეყანა დიდი შესაძლებლობის ქვეყანას წარმოადგენს. რამდენიმე წლის წინად ჩვენ ვამბობდით, რომ დასრულდა აღორძინების პერიოდი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ სწრაფად მივდიოდით წინ, ეხლა ამას ნელა მოველით, ეხლა შეგვინდება ნაბიჯის შენელებათქო. სინამდვილეში კი სულ სხვა აღმოჩნდა. ჩვენი ზრდის ტემპები არაჩვეულებრივ დიდია. და ეს, რასაკვირველია, მოგვევლინა არა წმინდა ნიკოლოზ „სასწაულმოქმედმა", არამედ ეს არის პარტიის ენერგიული ხელმძღვანელობის მუშათა კლასის ზეადამიანური, თავგანწირვის და საერთოდ მშრომელი მასების დაუშრეტელი შემოქმედებითი ენტუზიაზმის შედეგი. ტემპები შეუჩერებლივ იზრდება.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ მეტად ჩამოვრჩით ხარისხობრივ მაჩვენებლობის მხრივ. ჩამოვრჩით აგრეთვე თვითღირებულების შემცირებაშიდაც. პარტიის დირექტივა არის დაუკლოს თვითღირებულებას 11 პროც.-ით. ნამდვილად კი თვითღირებულება შემცირებულია 7 პროც.-ით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითღირებულების ყოველი პროცენტის შეუსრულებლობა ჯდება 110 მილიონი მანეთი, 2 პროც. 220 მილ. მანეთი 3 პროც. 330 მილ. მანეთი და ასე შემდეგ. ჩვენ გეგმა შესრულებული არა გვაქვს თითქმის 5 პროც.-ით, ე. ი. სახალხო მეურნეობას აკლდება ნახევარი მილიარდ მანეთზე მეტი.

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, აქ დიდი განმარტება საჭირო არ არის. თვითეული თქვენთაგანი ნაკლს კარგად ხედავს, თუ ვინმე თქვენგანი სწევს პაპიროსს, ის ამას დაინახავდა ასანთის მაგალითით. იყიდით ერთ კოლოფ ასანთს, ნახავთ, რომ ზოგიერთ ღეროებს ცეცხლი არ ეკიდება, ან უცებ იფეთქებს და ისევ ჩაქრება, ან კოლოფში ჩაწყობილია დამტვრეული ღეროები. პროდუქციის ხარისხის უვარგისობას შეამჩნევდით ალბად კალოშებზე, ფეხსაცმელებზე და სხვ. ასანთი ადვილი საქმეა, თუ ის არ ვარგა, შეგიძლია გადააგდო და ახალი იყიდო. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც პროდუქციის ხარისხი დაბალია მანქანათ-მშენებლობისა და ნედლეულობის დამზადების საქმეში. ცუდ მანქანას და მდარე ხარისხის ნედლეულს შეუძლია იმდენი მანკიანი საქონელი მოგვცეს, რომ საფრთხეში ჩააგდოს წარმოება. ამიტომ ბრძოლა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ჩვენს მორიგ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენი ქვეყანა დაუშრეტელია თავისი რესურსებით. ჩვენ ყოველდღე ახალ და ახალ სიმდიდრეს ვპოულობთ. ჩვენ წარმოვადგენთ მდიდარი მამის ბედნიერ მემკვიდრეებს, რომელნიც ხსნიან მემკვიდრეობით დატოვებულ სიმდიდრით სავსე სკივრებს. აიღეთ თუნდაც აპატიტის მადანი ჩრდილოეთში. ეს არის საუკეთესო ნედლეული. მართალია, ის მოთავსებულია პოლიარული წრის იქით, მაგრამ მან უკვე მიიპყრო ევროპის ყურადღება. უცხოეთი დაინტერესდა ჩრდილოეთის აპატიტის მადნებით და უკვე ითხოვს ის ნებართვას მათ გაზიდვაზე. სხვა რაიონში აღმოჩენილ იქნა სასუქის მეორე მნიშვნელოვანი მადანის, კალიუმის ბუდობები. გერმანიის ეკონომიური სფეროები ამ საკითხმა მეტად დააინტერესა. ჩვენ ვპოულობთ ქვა-ნახშირის ახალ ფენებს, ვნახულობთ ფერადი ლითონის ახალ მდიდარ ბუდობებს, სოციალისტურ მეურნეობას ყოველდღე ემატება ახალი ბუდობების საუნჯეები.

უდიდესი ნაკლია ჩვენს მუშაობაში კადრების სიმცირე. სოციალისტურ მშენებლობას დიდი ზიანი მიაყენა მავნებლობამ. ბურჟუაზიული სახელმწიფოების, მათი გენერალური შტაბების პირდაპირი აგენტები შეგნებულად უშლიდნენ ხელს ჩვენ მშენებლობას, მიუხედავად ამისა, მიღწევები მაინც გვაქვს.

ბურჟუაზიული სპეციალისტები გვეუბნებოდნენ—ნუ აიღებთ ასეთ ტემპს, ფეხს წაიკრავთ, კადრები არ გეყოფათო. ჩვენ მაინც შევუდექით დასახულ ამოცანების განხორციელებას. და აი ამ თავდადებულ მშენებლობის დროს აღმოვაჩინეთ საბჭოთა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი მძიმე იარები. ჩვენ გამოვააშკარავეთ მავნებლების დიდი ორგანიზაცია. ბევრი მათგანი, რბილად რომ ვთქვათ, „რიგიდან გამოვიყვანეთ". ჩვენ მაინც ღარიბნი ვიყავით და ვართ საკუთარი კადრებით. მით უფრო მწვავედ ისმება კადრების ნაკლებობის საკითხი მავნებლობის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ჩვენ არა თუ საზოგადოდ არა გვყავს სპეციალისტები, არამედ არა გვყავს საბჭოთა სპეციალისტები. ამიტომ სამეურნეო მუშაკებს მეტი სიფხიზლე მართებთ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებისათვის. ისინი უფრო ახლო უნდა გაეცნონ წარმოებას. დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც სამეურნეო მუშაკები მხოლოდ საქმის საერთო გამგებელნი არიან. ისინი არიან რაიკომის წევრი, საოლქო კომიტეტის წევრი, საბჭოს წევრი, თავისი საწარმოს უჯრედის წევრი, ისინი წარმომადგენლობენ ყველგან, ისინი დარბიან კრებებზე, ისინი აკეთებენ მოხსენებებს. ერთი სიტყვით სამეურნეო მუშაკები აკეთებენ ყველაფერს, ოღონდ ვერ უძღვებიან ისე როგორც საჭიროა თავიანთ მეურნეობას. საწარმოში კი საქმის ნამდვილი ბატონ-პატრონი არის ტეხნიკური დირექტორი. ზოგჯერ ჩვენ გვიკვირს, რომ სამეურნეო მუშაკი სხდომებზე თავისუფლად იხსენიებს თავისი საწარმოს მდგომარეობის დასახასიათებლად პროცენტულ შეფარდებებს, კოეფიციენტებს და სხვ. ნამდვილად კი ხშირად მათი ბაგეებით ტეხნიკური დირექტორი ლაპარაკობს. დაუშვებელია, რომ სამეურნეო მუშაკი შემდეგშიაც იყვეს ქვევრი, რომელსაც ჩასძახებენ და რომელიც მხოლოდ მას ამოიძახებს. საჭიროა ისინი პროლეტარიატის ნოქრები იყვნენ, ნამდვილი სამეურნეო მუშაკები იყვნენ.

ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ ასი პროცენტით გამოვიყენოთ სპეციალისტი. შეუქმენი მას არქი-ამხანაგური განწყობილება, დაეხმარე დაკისრებულ საქმის შესრულებაში, გააუმჯობესე პირობები, მაგრამ დაუშვებელია მთელი ასი პროცენტით მასზე დანდობა, თუ არა გაქვს საკუთარი თვალი და ყური.

მრეწველობის ზრდასთან ერთად უდიდესი გარდატეხა ხდება მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობაში და მის შრომის პირობებში. ჩვენ საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით ვატარებთ საწარმოების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანას. 1929—30 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღეზე მთელს საბჭოთა კავშირში უკვე გადაყვანილი იყო მუშათა 28,3 პროცენტი. იზრდება ხელფასი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუშათა ნომინალური ხელფასი 79 პროცენტით გაიზარდა, ომამდე არსებულ დონესთან შედარებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევა. ეს არის უმუშევრობის შემცირება, თქვენ იცით, რომ უმუშევართა რიცხვი ჩვენში მიწის სივიწროვის გამო შეუჩერებლად იზრდებოდა. უმუშევრობის საკითხი ჩვენშიაც მეტად მტკივნეული იყო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობას საბჭოთა კავშირში სულ სხვა ხასიათი აქვს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად ინგლისში უმუშევრად ითვლება მხოლოდ ის, ვინც უკვე იყო ქარხანაში და ვინც დაჰკარგა სამუშაო, ჩვენში კი უმუშევრები ყველა ის, ვინც ეძებს სამუშაოს.

თვითეული მუშა თავისთავზე მწვავედ გრძნობდა უმუშევრობის შედეგს. ყოველ მათგანს ყავდა უმუშევარი ძმა და ან ამხანაგი, რომელსაც ის ეხმარებოდა. უმუშევრობა დიდ ზიანს აყენებდა მუშის ბიუჯეტს. ეხლა კი ჩვენ უკვე ვდგევართ მეტად საყურადღებო ფაქტის წინაშე. უმუშევრობა საბჭოთა კავშირში 40 პროცენტით შემცირდა. მაგრამ თუ ობიექტიურად მივუდგებით საკითხს, მდგომარეობა კიდევ უფრო დამაკმაყოფილებელ სახით იხატება. თქვენ დღეს ვერც ერთ დიდი ქალაქის შრომის ბირჟაზე ვერ იშოვნით ათას შავ მუშას, ვერ იშოვნით დურგლებს, მშენებლებს და სხვ. ამავე დროს ბირჟაზე არიან ისეთები, რომელნიც მხოლოდ ეძებენ სამუშაოს და არიან ისეთები, რომელნიც თუმცა უმუშევრებად ირიცხებიან, მაგრამ მაინცა და მაინც არ იჩენენ თავიანთი შრომის გამოყენების სურვილს (სიცილი).

ასეთი მდგომარეობა უმუშევრობის დარგში ჩვენი უდიდესი მიღწევაა. ეს უნდა აიხსნათ იმით, რომ ჩვენში ტარდება 7 საათის სამუშაო დღე, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა და ამასთანავე შეუჩერებლად იზრდება მრეწველობა.

ამავე დროს ასეთ მდგომარეობას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც. ის მაგალითად მეტად აბრკოლებს ბრძოლას ნაცდური დღეების შემცირებისა და საზოგადოდ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. აი ჩვენ გვაქვს დადგენილება იმის შესახებ, რომ ვინც სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება სამუშაოზე, ის მოხსნილი იქნება სამსახურიდან. მაგრამ აიღეთ ასეთი შემთხვევა. მე ვარ დირექტორი, თქვენც ხართ დირექტორი. მე დავითხოვე ლოთი ქარხნიდან, თქვენც დაითხოვეთ ასეთივე ლოთი. ორივენი წავიდნენ ბირჟაზე. იქ კი კვალიფიციური მუშა ხელის ნაკლებობაა. შემდეგ, როდესაც დაგჭირდათ, თქვენ გამოგიგზავნეს ჩემი ქარხნის ლოთი და მე გამომიგზავნეს თქვენი ქარხნის ლოთი. (სიცილი).

აქედან ამხანაგებო მთელი თავისი სიმწვავით ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ პარტიამ და კომკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუშათა ახალი კვალიფიციური კადრების მომზადებას.

იზრდება მუშათა კლასი, მატულობს მისი აქტიობა. არაჩვეულებრივი ენტუზიაზმია სოციალისტურ აღმშენებლობაში. პროლეტარიატი ამჭიდროებს თავის რიგებს პარტიის გარშემო. ყოველდღე მოწამე ვხდებით, მუშათა თვითმოქმედების ახალი მძლავრი ფორმებისა, როგორიცაა: სოციალისტური შეჯიბრება და მისი საუკეთესო სახე დამკვრელობა, მუშათა დაწინაურება, ფაბრიკა-ქარხნების შეფობის გაძლიერება საბჭოთა აპარატში, უმაღლეს სასწავლებელთა მსმენელების შემადგენლობის შეცვლა პროლეტარიატის ფენებით და სხვ. ყოველივე ეს პროფკავშირების წინაშე ახალ დიდ ამოცანებს აყენებს. პროფკავშირებმა მთელი ძალღონე უნდა მიმართონ მუშათა კლასის ამ აქტიობის გასაძლიერებლად, შეფობის გასაფართოებლად რაციონალიზატორულ მუშაობის გასაცხოველებლად, პროლეტარული თვითკრიტიკის გასაშლელად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მუშათა ახალი კადრების აღსაზრდელად და პოლიტიკურად დასარაზმავად.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი სუსტი ადგილია მუშათა მომარაგება. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ და შემდეგ მე-16 კონფერენციამ აღნიშნეს სოფლის მეურნეობის განვითარების ჩამორჩენა. ამავე დროს ჩვენ გვაქვს მოთხოვნილების არაჩვეულებრივი ზრდა სოფლად და ქალაქად. ეს იწვევს სიძნელეებს მუშათა მომარაგების დარგში.

ხორბლის პრობლემა წელს და მახლობელი წლების განმავლობაში ჩვენს წინაშე უკვე აღარ სდგას. ჩვენ მივდივართ ახალი მოსავლისაკენ ხორბლეულის დიდი ფონდებით, სამაგიეროდ სულ სხვა მდგომარეობაა ხორცის პროდუქტების დარგში. ხორცის პროდუქტების ნაკლებობა ნაწილობრივ გამოიწვია იმ დამახინჯებებმა, რომელსაც ადგილი ქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში და ამასთან დაკავშირებით კულაკობის მავნე აგიტაციამ. ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გადასდო ათეული მილიონი მანეთები მესაქონლეობის ძლიერ საბჭოთა მეურნეობების შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეღორეობისა და მეცხვარეობის განვითარებას.

ამასთანავე ენერგიული ზომებია მიღებული ბაზრის მოსამარაგებლად თევზეულობით. ჩვენ უკვე ვაშენებთ საბჭოთა ქარხნებში მეთევზეობისათვის აუცილებელ სპეციალურ გემებს. ასეთივე გემები ნაწილი დაკვეთილი გვაქვს უცხოეთში. მართალია, თევზის ჭერის სეზონი წელს რამდენადმე ხელიდან გაუშვით, მაგრამ გეგმა შარშანდელთან შედარებით გადაჭარბებით შევასრულეთ.

ჩვენ განვიცდით საჭმელი ზეთის ნაკლებობას, ეს იმიტომ, რომ წარსულ წელს მზესუმზირას ცუდი მოსავალი იყო. მიმდინარე წელს ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნეს.

მუშათა მომარაგების მოწესრიგების დარგში დიდი და მძიმე მუშაობა მოგველის, მაგრამ დარწმუნებული ვიყოთ, რომ პარტია ისევე წარმატებით გადაჭრის ამ საკითხს, როგორც მან გადაჭრა ხორბლეულის პრობლემა.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმის მიზანშეწონილად გამოყენებას, რაც ამჟამად გვაქვს. სამწუხაროდ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციები არ იჩენენ საკუთარ ინიციატივას. ისინი სხედან იმის მოლოდინში, თუ რას გამოუგზავნის მას მოსკოვი, ვაჭრობის კომისარიატი და არ იჩენენ უნარს იმისათვის, რომ საკუთარი საშუალებებით გააშენონ საბჭოთა მეურნეობანი და ამომწურავი ზომები მიიღონ ადგილობრივ რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

აქვე უნდა შევეხო საზოგადოებრივ კვების საკითხს. როდესაც მე ამაზე ვლაპარაკობ, ჩემს წარმოდგენაში ისახება ფაბრიკა სამზარეულო, სადაც ყველაფერი ცენტრალიზაციაქმნილია. მაგრამ სანამ ფაბრიკა-სამზარეულოზე ვილაპარაკებდეთ, უნდა ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ამჟამად ჩვენი კოოპერატივები. გერმანიაში ცნობილია აშინგერის ფირმა, სადაც არ უნდა მიხვიდე, რომელ მის სავაჭროშიაც არ უნდა მოიკითხოთ, თქვენ მოგცემენ სრულიად ერთიდაიმავე ხარისხის აშინგერის ფირმის ძეხვებს. ასევე ზუსტად მუშაობენ ჩვენი მუშათა კოოპერატივები? აიღეთ მაგალითად სარატოვის მუშათა კოოპერატივი, ან თბილისის მუშათა კოოპერატივი, თუმცა შესაძლებელია თბილისში უკეთესი მდგომარეობა იყვეს (ხმები: არა. სიცილი).

ჩვენს ქალაქებში, როდესაც შეხვალთ ერთ სასადილოში, აქ თავისებურად დამზადებულ კერძს მოგართმევენ, მეორე სასადილოში იქ სულ სხვანაირ კერძს. ამავე დროს ყველა ეს სასადილოები ერთ პატრონს ეკუთვნის. ეს ნაკლოვანებანი უნდა გათვალისწინებულ იქნას, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ კვების მოწესრიგებაზე და კერძოდ ფაბრიკა-სამზარეულოებზე.

კოლექტივიზაცია

ამხანაგებო! თუ მართლაც პარტიას აქვს ბრწყინვალე გამარჯვებანი განვლილი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, ეს პირველ ყოვლისა უნდა ითქვას სოფლის მეურნეობაზე. ჩვენი პარტია იძლევა იმის საუკეთესო მაგალითს, თუ პროლეტარიატის დიქტატურა როგორ ქმნის ძველ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობიდან ახალ სოციალისტურ სოფელს.

წინად როდესაც პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა, კაპიტალისტები ნიშნის მოგებით გვეუბნებოდნენ: მართალია ხელთ ჩაიგდეთ ფაბრიკები, მაგრამ ვნახოთ როგორ მოუვლით მათო. დღეს უკვე ყველა ნათლად ხედავს, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო ეს ირონია. მოსამსახურეები გვეუბნებოდნენ—მართალია დაიპყარით სახელმწიფო აპარატი, მაგრამ ვნახოთ როგორ იმუშავებს ისო. ჩვენ არ შეუშინდით იმ გარემოებას, რომ ჩინოვნიკებმა ბოიკოტი გამოგვიცხადეს. დავაყენეთ სახელმწიფო აპარატში მუშები და გლეხები. ავად თუ კარგად პირველ ხანებში საქმე მაინც წავიყვანეთ და შემდეგ გვერდზე გამდგარი მოსამსახურენი იძულებული გახდნენ თავდახრილი მოსულიყვნენ ჩვენთან.

უკანასკნელად ჩვენ სიცილით გვეუბნებოდნენ—ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმასაც ვნახავთ, როგორ ააშენებთ სოციალიზმს ამ გლეხურ ქვეყანაში. პარტია არ შეუშინდა ამ სიძნელესაც. ჩვენ ამ წვრილ გლეხურ მწარმოებლებიდან შევუდექით ორი ხაზით სოციალისტური სოფლის მშენებლობას. ეს არის ერთი მხრივ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, ხოლო მეორე მხრივ კოლექტივიზაციის გაცხოველებული ტემპით გაშლა. თქვენ იცით, რომ საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ საჭიროდ სცნო სოფლის კოლექტივიზაციის დაჩქარება და ეს ერთ-ერთ მორიგ მთავარ ამოცანად დაგვისახა.

უნდა ითქვას, რომ ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა თავის უდიდესი მასით მოტრიალდა კოლმეურნეობებისაკენ. ჩვენ დღეს უკვე პარტიის მე-16 ყრილობისათვის მთელს საბჭოთა კავშირში გვაქვს მეურნეობათა 40 პროცენტი კოლექტივებში, ეს ჩვენი პარტიის მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევაა.

საბჭოთა სოფელში შეიჭრა ტრაქტორი. შეუძლია თუ არა ტრაქტორს შეეგუოს კულაკს ან წვრილ მეურნეს? რასაკვირველია, არა. ტრაქტორი შეუძლია იყიდოს მხოლოდ კულაკს, მაგრამ ის გამოიყენებს მას თავის ექსპლოატატორულ მიზნებისათვის, რასაც ჩვენ ვერ შევურიგდებით. ღარიბი ან საშუალო გლეხი მას ვერ შეიძენს. ტრაქტორის ყიდვა შეუძლია მხოლოდ კოლექტიურად გაერთიანებულ გლეხკაცობას. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად მარტო სამომხმარებლო ურთიერთობით, ჩექმებისა და ჩითის მიწოდებით. საჭიროა ქალაქისა და სოფლის კავშირი მაღალ საწარმოო დონეზე დადგეს. ამიტომ სოფლის მომარაგება მანქანა-იარაღებით უმნიშვნელოვანესი საკითხია. სოფლად შედის სოციალისტური ტრაქტორი.

ჩვენ გვქონდა კოლმეურნეობათა მშენებლობის პირველი პერიოდი, როდესაც ღარიბი და საშუალო გლეხობა თითქმის მთლიანი ფრონტით წავიდა კოლმეურნეობებში. ამ პერიოდში მეტად ხშირი იყო მიღწევებით გატაცება და ყოველივე საზომის გადაჭარბება. რაიონულ და საოლქო ორგანიზაციებს შორის შეიქმნა შეჯიბრება კოლმეურნეობათა დაარსების საქმეში. მათ გადააფასეს საკუთარი ძალები და ვერ გაითვალისწინეს ადგილობრივი პირობები. მათ დაავიწყდათ, რომ საშუალო გლეხში როგორც ლენინი ამბობს არის ორი სული: სული მშრომელის და სული კერძო მესაკუთრის. ადგილი მიეცა ბიუროკრატიულ აღტყინებას, დავიწყებულ იქნა მე-15 ყრილობის დირექტივა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ნებაყოფლობით. პარტიამ ეს შეცდომები დროზე შენიშნა და მიიღო ზომები მათ გამოსასწორებლად. კოლმეურნეობები დაიცხრილა და ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ დაიწყო გლეხკაცობის უკუდენა კოლექტიურ მეურნეობებში.

ამასთანავე პარტია ყოველივე ზომებს ღებულობს კოლმეურნეობათა მშენებლობის შემდგომი განმტკიცებისათვის. უკვე გადადებულია ერთი მილიარდი მანეთი ამ საქმეზე. ჩვენ გავგზავნეთ სოფლად სამუშაოდ 25 ათასი საუკეთესო მუშა, 6 ათასი აგრონომი და 5 ათასი სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ყოველივე ეს მიმართულია საკოლმეურნეო მშენებლობის გამაგრებისათვის.

შინაპარტიული მდგომარეობა

როგორი იყო შინაპარტიული მდგომარეობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში? უნდა ითქვას, რომ ცეკას განვლილ პერიოდის მანძილზე მეტად რთული შინაპარტიული ბრძოლის წარმოება უხდებოდა. ცენტრალური კომიტეტი და მასთან ერთად პარტია იბრძოდა ორ ფრონტზე, როგორც „მარცხნივ", აგრეთვე მარჯვნივ.

საკავშირო კომუნისტურ პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ, ტროცკიზმის საბოლოოდ გამოაშკარავების შემდეგ, მეტად მოკლე დრომ გაიარა და ჩვენ დავდექით ტროცკისტული მუშაობის გაძლიერების წინაშე. ამან აიძულა პარტია ტროცკი მოშორებულ ადგილას გადაეყვანა, მაგრამ ტროცკისტები მაინც განაგრძობდენ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მუშაობას. ამიტომ პარტიამ ტროცკის წაუყენა ულტიმატუმი. ან მას ეცხოვრა, როგორც გადასახლებულს ან ხელი აეღო პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ან თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას მოისურვებდა განეგრძო ის არასაბჭოთა კავშირში. ტროცკიმ უარი განაცხადა პოლიტიკურ მუშაობაზე, ხელის აღებისაგან. ამიტომ მას მიეცა საშუალება განეგრძო თავისი მოღვაწეობა ე. წ. „დემოკრატიულ" ქვეყნებში.

ამის შემდეგ სწრაფად იწყება ტროცკიზმის განვითარება კონტრ-რევოლიუციისაკენ და ერთ და იმავე დროს მისი რღვევაც. ტროცკიზმი თაოსნობს გაფიცვებს ქარხნებში. ის გამოდის კოლხელშეკრულებათა წინააღმდეგ. ტროცკიზმის მთელი მუშაობა ლოღიკურად მიიმართებოდა შეიარაღებულ გამოსვლისაკენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ ტროცკიზმის ბანაკი მალე დაიშალა. რაც რამე კარგი იყო იქ, ჩამოშორდა ტროცკიზმს. მისი უკანასკნელი კადრები ცნობენ თავიანთ შეცდომებს და აღიარებენ პარტიის ხაზის სისწორეს. ტროცკიზმი გამომჟღავნდა როგორც აშკარა ანტისაბჭოთა დაჯგუფება. ეხლა ის აკრიტიკებს პარტიას არა „მარცხნიდან", არამედ მარჯვნიდან. პერმანენტულ თეორიამ, რომელზედაც ტროცკის არა ერთხელ უთქვამს უარი, კვლავ წამოყო თავი. ტროცკი შეუჩერებლად უახლოვდება სოციალ-დემოკრატიის წიაღს. ამაზე იტყვიან: მიწიდან აღებული მიწასვე მიეცესო (სიცილი).

განვლილი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიის რიგებში ადგილი ქონდა გადახრას გენერალური ხაზიდან მარჯვნივ. ეს გადახრა ხდებოდა სხვადასხვა ვარიაციებით. ის სხვადასხვა სახეს ღებულობდა. არსებითად კი მემარჯვენე მერყეობის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ის წინააღმდეგი იყო კულაკობასთან გადამწყვეტი ბრძოლის, ის არ იზიარებდა ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებულ ტემპს, ის არ ეთანხმებოდა პარტიის პოლიტიკას კლასობრივი ბრძოლის შეფასებაში სოფლად და კოლექტივიზაციის გატარებაში.

უნდა ითქვას, რომ ამ მერყეობამ ადგილი ჰპოვა ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ წევრებს შორისაც. ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ წევრებმა თავიანთი განსხვავებული შეხედულებები გამოსთქვეს პარტიის გენერალური ხაზისაგან. ეს ბრძოლა ცეკაში გამოიხატა მთელ რიგ პლენუმებზე და სხვადასხვა დოკუმენტებში, რომელნიც საკმაოდ მწვავე შინაარსის იყვნენ. ცეკას ასეთ წევრთა რიცხვში, როგორც იცით, ვიყავით მე ამხ. რიკოვი და ბუხარინი.

პარტიამ სასტიკად გაჰკიცხა მემარჯვენე გადახრა. მან შეუთავსებლად სცნო მემარჯვენე გადახრის გამტარებელთა პარტიის რიგებში ყოფნა. და უნდა ითქვას, რომ პარტია მართალი აღმოჩნდა. ჩვენ ვაღიარეთ ჩვენი შეცდომები.

მაგრამ, ამხანაგებო, ამით ოდნავადაც არ იხსნება დღის წესრიგიდან მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ეს ამოცანა ისევ ძალაში რჩება.

განვლილი პერიოდის მანძილზე ჩვენ მემარჯვენე გადახრის სხვადასხვა გამოხატულებები ვნახეთ. იყო ეგრედ წოდებული ჩითის „სმიჩკა" გლეხობასთან, იყო აგრეთვე მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ კულაკს შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. ამბობდნენ: კულაკის ბევრი პურის გვირჩევნია სოციალისტურ ცოტა პურსო. მემარჯვენე გადახრა სხვადასხვა სახით იღვიძებს. ამიტომ საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობის წინ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მემარჯვენე გადახრა განვითარების ეხლანდელ ეტაპზე უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს პარტიისათვის.

ამასთან ერთად, ამხანაგებო, ჩვენი დიდი გამარჯვებების გავლენით და საკუთარ ძალთა გადაფასებით ადგილობრივი მუშები ხშირად ივიწყებენ გლეხის იმ მეორე სულის შესახებ, რომელზედაც ამხ. ლენინი მიგვითითებდა. თქვენ იცით, რომ მთელ რიგ რაიონებში და ოლქებშიაც კი, მიუხედავად პარტიის არა ერთი ზომით მითითებებსა, მახინჯი ფორმებით ატარებდენ კოლექტივიზაციას. ამან შექმნა საშუალო გლეხობასთან კავშირის შერყევის საშიშროება. ამან სახელი გაუტეხა კოლექტივიზაციის იდეას და სოციალისტურ მშენებლობას. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გარემოებას დროზე მიაქცია ყურადღება. ცენტრალური კომიტეტი ლენინურ სწორ მითითებებს ძლევდა ადგილობრივ ორგანიზაციებს. და ბოლოს, როდესაც ესა თუ ის მუშაკები არ იჩენდნენ გამოსწორების ნიშანს, ცენტრალური კომიტეტი ხსნიდა მათ სამუშაოდან. ლენინი პირდაპირ გვეუბნებოდა—ვინც იძულებით სცდილობს იმოქმედოს საშუალო გლეხობაზე, ის უნდა მოხსნილ იქნას სამუშაოდანო.

და აი დღეს იწყებენ დამნაშავის ძებნას. ზოგიერთები ამბობენ—რათ ესხმით თავს ადგილობრივ ორგანიზაციებს. დაშვებულ შეცდომებში დამნაშავეა ცენტრალური კომიტეტი. მეორენი გაიძახიან—მართლაც არაა საჭირო ძალდატანება საშუალო გლეხობაზე, დაე როგორც უნდა ისე მოიქცეს ის. მან უკეთ იცის რა უჯობსო. თუ უნდა შევა კოლმეურნეობაში და თუ უნდა არაო. ამასთანავე ამბობენ, რომ პარტია უკან იხევს აღებულ ხაზიდანო.

ამხანაგებო! დიდი სიბრძნე არაა საჭირო იმისათვის, რომ გაიგოთ ამ კრიტიკის ფესვები. ესაა კრიტიკა მარჯვნიდან და „მარცხნიდან".

მართალია, მთელ რიგ რაიონებში გადამლაშებას ქონდა ადგილი საკოლმეურნეო მშენებლობაში. მართალია დაუშვებელია საშუალო გლეხზე ბრძანებლობა, მაგრამ განა ჩვენ შეგვიძლია საკოლმეურნეო მშენებლობა თვით მიმდინარეობას მივანდოთ? პროლეტარიატი ხელმძღვანელობს საშუალო გლეხობას. მუშათა კლასის მიზანია გლეხკაცობის აღზრდა, მისი კოოპერატიულად დარაზმვა, კოლექტიურად შეკავშირება, საშუალო გლეხკაცობაში მშრომელი სულის გაძლიერება. აი, საითკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ყურადღება. დარწმუნება და არა ძალდატანება. ლენინი ჩვენი პარტიის მე-8 ყრილობაზე გარკვევით ამბობდა—არ გაბედოთ ბრძანებლობა საშუალო გლეხობაზეო. ჩვენ დღიდან-დღეზე პრაქტიკულ ცაობაში უნდა ვიზრუნოთ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის. კრედიტების, თესლის, მანქანების მიწოდებით და სხვ.

უბრუნდები საკითხს იმის შესახებ, ვინ არის დამნაშავე დაშვებულ შეცდომებში. ჯერ კიდევ 1930 წლის 5 იანვარს ცენტრალური კომიტეტი სწერს თავის დადგენილებაში, რომ ნაცვლად გეგმით დასახულ 20 პროცენტისა კოლექტივიზაციის დარგში მოწინავე ხორბლეულ რაიონებს 1930 წლის შემოდგომაზე ან 1931 წლის გაზაფხულზე შეუძლიათ ბევრად გადააჭარბონ დასახულ ვარაუდს. ჩვენ კი დავინახეთ, რომ იმ რაიონებშიაც კი, სადაც შემოზიდული პურით იკვებებიან, კოლმეურნეობათა რიცხვი 98 პროცენტამდე ავარდა. რასაკვირველია, ამ გარემოებამ მიიპყრო ცენტრალური კომიტეტის ყურადღება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ზოგიერთი კოლექტივიზაციით მეტად გატაცებული ამხანაგები მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში აყენებდნენ საბჭოების გაუქმების საკითხს. ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ასეთ ყალბ და აშკარად მავნე შესაძლებლობის წინააღმდეგ არ მიეღო გადამწყვეტი ზომები.

და აი მიმდინარე წლის ორ მარტს გამოდის ამხ. სტალინის ცნობილი წერილი „თავბრუდახვევა მიღწევებისაკენ". ეს არ არის ამხანაგებო, ჩვეულებრივი ლიტერატურ, რომელიც უსაქმობით არის დაწერილი. ეს წერილი ეკუთვნის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს და ის წარმოადგენს ხელმძღვანელ საპასუხისმგებლო დოკუმენტს.

მიმდინარე წლის 11 მარტს ცენტრალური კომიტეტი კიდევ ერთხელ მოაგონებს ადგილობრივ ორგანიზაციებს: დაუყოვნებლივ შესწყვიტეთ ძალდატანებით მეთოდებით მუშაობა საკოლმეურნეო მშენებლობაშიო.

როდესაც ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა, ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა გაეფრთხილებია ადგილობრივი ორგანიზაციები, რომ ის მოხსნის იმ მუშაკებს, რომელიც ურჩობას გამოიჩენდენ.

აქედან აშკარაა, ამხანაგებო, რომ ცენტრალური კომიტეტი ყოველ ზომებს ღებულობდა ადგილობრივ ორგანიზაციების დროზე გასაფრთხილებლად. პარტიის თვითეული წევრისათვის გასაგებია, რომ ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ხაზი არასწორი იყო, წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტიკის რევიზიას მარჯვნიდან ან „მარცხნიდან".

რამდენიმე სიტყვა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობაზე. 1926 წლის 1-ლ იანვარს ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა 1.078 ათასი კაცი. 1928 წლის 1-ლ იანვარს 1.305 ათასი კაცი. 1930 წლის -1ლ იანვარს 1.674 ათასი კაცი და 1930 წლის პირველ კვარტალში 1.840 ათასი კაცი. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი პარტიაში გაიზარდა 46 პროც.-ით.

ამავე დროს პარტიაში შემოდის ახალი სოციალური კატეგორია. ესენი არიან კოლმეურნეობათა წევრები. მათი რიცხვი არაჩვეულებრივ სისწრაფით იზრდება.

განვლილ ორნახევარი წლის მანძილზე ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა 23 სამრეწველო ორგანიზაცია, 22 სოფლის მეურნეობის პარტორგანიზაცია და 11 ეროვნული ტიპის პარტიული ორგანიზაცია.

შეუჩერებლად იზრდება და ფართოვდება პარტიული აღმზრდელობითი მუშაობა.

⁂

დასასრულ, ამხანაგებო, მე უნდა ერთხელ კიდევ განვმეორებით, რაც მოხსენების დასაწყისში ვთქვი. მეტად რთული და მეტად ძნელია იმ უდიდეს საამშენებლო და ორგანიზაციული მუშაობის აღწერა, რომელსაც არსებულ საერთაშორისო პირობებში თავგამოდებით აწარმოებდა ჩვენი პარტია. ამის გადმოცემა ძნელია ზეპირად და წერილობითაც. გაივლის ასი წელი, როცა მე და თქვენ აღარ ვიქნებით, როცა ისტორიკოსი ახალ სოციალისტურ წყობილებაში გულდამშვიდებით დასწერს ჩვენი დროის ლამაზ და კარგ ისტორიას.

მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ორნახევარ წლის განმავლობაში ცენტრალურმა კომიტეტმა გიგანტიური მუშაობა ჩაატარა აგრარულ წვრილ გლეხურ მესაკუთრეთა ქვეყნის სოციალისტურ ქვეყნად გადასაკეთებლად. სოფელში, სადაც ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ აღმოფხვრა ფეოდალიზმის ნაშთი, ჯერ კიდევ ძლიერია საკუთრების ფესვები, რომელიც კვებავს კაპიტალიზმს. ჩვენ გადავდივართ შეტევაზე ამ ფესვების აღმოსაფხვრელად. ჩვენი მუშაობა სწარმოებს არაჩვეულებრივ მტრულ გარემოცვაში, რომელიც გამოიხატება თითქმის აშკარად ბლოკადასა და ფინანსიურ ბოიკოტში. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შეუჩერებლად მივდივართ წინ.

იზრდება მუშათა საერთაშორისო მოძრაობა. ის შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლის ფორმებს ღებულობს. ცენტრალურ კომიტეტს მიუხედავად სიძნელეებისა, მიუხედავად ზოგიერთების მერყეობისა, მიყავს პარტია მე-16 ყრილობაზე მონოლიტური რიგებით, ლენინის რკინისებური დისციპლინით განმტკიცებული. ჩვენ მოგვჩერებიან მთელი ქვეყნის მშრომელი მასები. ჩვენ პირველად დავამსხვრიეთ ძველი ქვეყნის ხუნდები, ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს არა რეზოლიუციებით, არამედ საქმით და ჩვენს გზას გაჰყვებიან სხვა ქვეყნების მშრომელთა მილიონები. თითეული ჩვენი მიღწევა აღტაცებას იწვევს საერთაშორისო პროლეტარიატში და ყოველივე ჩვენს მარცხს გულის ტკივილით ხვდებიან ისინი. ჩვენ უნდა მოველოდეთ იმპერიალიზმის თავდასხმას ჩვენ არა გვაქვს უფლება სოციალიზმის მშვიდობიან მშენებლობის დროს ხელი შევუშვათ თოფს.

ცენტრალური კომიტეტის ხაზი იყო ნამდვილად ლენინური. მან უზრუნველყო პარტიის მთლიანობა და პარტიის ავტორიტეტი. ნება მომეცით რწმენა გამოვსთქვა, რომ თქვენი ყრილობის მუშაობა გაამაგრებს პარტიის მიერ წარმოებულ სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეს. (ხანგრძლივი ტაში, ყრილობა ფეხზე ადგომით ოვაციებს უმართავს მომხსენებელს).

ა.-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-VI ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მელიტონეთა კლუბში გაიხსნა ა.-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-6 ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ დაახასიათა ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და ყრილობის წინაშე მდგომი ამოცანები.

არჩეულ იქნა

საპატიო პრეზიდიუმი

ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, რიკოვი, ტელმანი და კრუპსკაია.

საქმიანი პრეზიდიუმი

შემდეგი შემადგენლობით: ავქსენტიევსკი, ალავერდოვი, რ. ახუნდოვი, ახუნდ-ზადე, ამატუნი, ბურინოვი, ბერია, ბუნიატ-ზადე, ბაგიროვი, ბოლქვაძე, ვაცეკი, გალოიანი, გეხკინი, გიკალო, ლოლომბერიძე, გორჩევა, დარახველიძე, ჯატიევი, ვარო ჯაფარიძე, ანაიდა ესაიანი, ივანოვ-კავკასკი, იპო, იშხანიანი, ჰაკუნი, კალაშიანი, კასიანი, კარაევი, კვანტალიანი, კუზნეცოვი, ყურულაშვილი, კრილოვი, ლაკობა, ლომინაძე, მამულია, მანდალიანი, მახარაძე, მაჩაიძე, მელაძე, მუსაბეკოვი, მამედ-ნური-ოღლი (კოლმეურნე), მამია ორახელაშვილი, ფანცულაია, პეტერსი, რახმანოვი, როდენსი, რახმეევა, ვ. სტურუა, სუხიშვილი, ტერ-ვართანოვი, ტერ-გაბრიელიანი, ტერ-ეგიაზარიანც, ტომსკი, ფროლოვი, ხანჯიანი, მ. ცხაკაია, ჩაპლინი, ელიავა, შ. იაგუბოვი, იაკოვლევი.

ყრილობამ დღის წესრიგში დაამტკიცა შემდეგი საკითხები:

1. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენება.
2. საკ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის მოხსენება.
3. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში.
4. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკ. კომისიის და მუშგლეხინის ანგარიში.
5. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
6. ა.-კ. მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ.
7. არჩევნები.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამხ. სტალინს და ამხ. ს. ორჯონიკიძეს.

შემდეგ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.

ამხ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ, ამიერ-კავკასიის კომუნისტები, შეკრებილნი მე-6 ყრილობაზე, გიგზავნით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს შენ ლენინის საუკეთესო მოწაფეს და მისი საქმების გამგრძელებელს, ჩვენი პარტიის ბელადს.

შენი მტკიცე, ლენინური ხელმძღვანელობით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარმატებით დაძლია პარტიაში არსებული ყველა ოპორტუნისტული მერყეობანი, იგი განაგრძობს მათ დაძლევას და მტკიცე, შემჭიდროებული რიგებით მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში.

პროლეტარიატის ნაცადი იარაღის, მარქსისტულ-ლენინური მეთოდის გამოყენების ნიმუშების ჩვენებით, ისტორიული ჯაჭვის ერთი რგოლიდან მეორეზე გადასვლის გარკვეული და სწორი ლოზუნგების წამოყენებით შენ ეხმარებოდი პარტიას და მუშათა კლასს გაეკვლია გზა რევოლუციონურ ბრძოლასა და მშენებლობაში.

რევოლუციის ოსტატის გამოცდილი ხელით შენ მტკიცედ მიგყავდა პარტიული ხომალდი და, მიუხედავად უაღრესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის და პარტიის ზოგიერთი არამტკიცე ელემენტების მერყეობით შექმნილ უხილავ დაბრკოლებებისა, საშუალება მიეცა პარტიას მისულიყო მე-16 ყრილობაზე უფრო მეტად შემჭიდროებული, პოლიტიკურად გაძლიერებული და განმტკიცებული ლენინიზმის მტრებთან ბრძოლაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და გამარჯვებას შენს დიდ მუშაობაში.

ამხ. ს. ორჯონიკიძეს

ძვირფასო სერგო!

გიგზავნით მხურვალე სალამს და გაძლევთ ბოლშევიკურ პირობას, რომ ლენინურად დავძლევთ ჩვენს წინაშე მდგომ ყველა დაბრკოლებებს, უზრუნველვყოფთ ამიერ-კავკასიის იმ ფედერაციის შემდგომ განმტკიცებას, რომლის ორგანიზატორი და საუკეთესო ხელმძღვანელი შენ იყავი.

შენი რჩევა და მითითებანი საუკეთესო დახმარება იყო და იქნება ჩვენს მუშაობაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

მისალმებები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მე-6 ყრილობა მებრძოლის სალამს უძღვნის ლენინური პარტიის შტაბს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ მივედით პარტიის მე-16 ყრილობამდე. განვლილია დიდი ისტორიული გზა, გზა უაღრესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლებისა, მაღალი ტემპების და დიდი გამარჯვებების. ჩვენ ფეხი შევსდგით დიდი გარდატეხის, მთელი ქვეყნის სრული სოციალისტური გარდაქმნის, კაპიტალიზმის ფესვების ამოთხრის პერიოდში. ლენინის პარტიის რიგებს ათასობით ემატებიან საუკეთესო პროლეტარები. მუშათა კლასის უდიდესი ფენები დაწინაურებულნი არიან სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელ სამუშაოებზე. მუშათა კლასმა საერთოდ დაგვანახვა კლასობრივი შეგნების და შრომითი აღფრთოვანების ნიმუში: მან სოციალისტური შეჯიბრების ფართო ფრონტით შეუტია ჩამორჩენას და ვიწრო ადგილებს და წარმატებით ასრულებს ხუთწლედს ოთხ წელიწადში.

სოფლის ძირითადმა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი სოციალიზმისაკენ და, პარტიის და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ახორციელებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეს.

ყველა ეს მიღწევა და ჩვენს ქვეყანაში უდიდესი გარდატეხა მოიპოვა პარტიამ თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელმაც გაანადგურა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი, სასტიკად უკუაგდო მემარჯვენე და შემარიგებელთა მერყეობა და გადაჭრით გამოასწორა საშუალო გლეხთა საწინააღმდეგო გადახვევები საკოლმეურნეო მშენებლობაში.

პარტია მე-16 ყრილობაზე მიდის იდეოლოგიურად უფრო შემჭიდროებული და განმტკიცებული და სასტიკად ებრძვის მის მიერ დაგმობილ შეხედულებათა გამოცოცხლების ყოველგვარ ცდას.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაცია, რომელიც თავის მე-6 ყრილობაზე შეიკრიბა, პირობას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ბოლშევიკურად გამოასწორებს საკოლმეურნეო მოძრაობას, შეასრულებს ამიერ-კავკასიის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიდ პროგრამას და ამ საფუძველზე უფრო მეტად განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელთა ძმობას.

გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მუშათა კლასის გამოცდილ ბელადს!

საქ. კ. პ. (ბ) მე-7 ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

5 ივნისს, 12 საათზე შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა. ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა: სამანდატო კომისიის ანგარიში.

სამანდატო კომისიის ანგარიში

(ამხ. თ. ჟღენტის მოხსენება)

ამხანაგებო, ა.წ. პირველ მაისისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებში ირიცხებოდა 39.438 კაცი. აქედან: პარტიის წევრი—26016, კანდიდატი—13422.

მე-7 ყრილობას სულ დაესწრო 398 დელეგატი: 261 გადამწყვეტი ხმით და 137 სათათბირო ხმით. სამხედრო ორგანიზაციიდან ყრილობას ესწრება 51 დელეგატი. დელეგატებს შორის 95 პროცენტს შეადგენენ მამაკაცები და 5 პროცენტს—ქალები. გასულ წელთან შედარებით ქალების რიცხვი ცოტათი შემცირდა.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატთა შორის არის 149 მუშა, ანუ დელეგატთა მთელი შემადგენლობის 57,1 პროც. (მე-6 ყრილობაზე კი მუშები 55,3 პროცენტს შეადგინდნენ) გლეხები 14 კაცი, ანუ 5,4 პროცენტი. (მე-6 ყრილობაზე გლეხები 6,3 პროც. შეადგენდნენ) მოსამსახურეები—98 კაცი (ანუ 37,5 პროცენტი).

ეროვნების მიხედვით: ქართველები—178 კაცი—68,2 პროც.; სომხები—32 კაცი, თურქები 6 (2,3 პროც); ოსები—5 (1,9 პროც.) აფხაზი—3. აჭარელი—4, რუსი—39.

განცხადებები უკანონო არჩევის შესახებ სამანდატო კომისიაში არ შემოსულა.

⁂

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუციები ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშების და ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო.

დასასრულ ყრილობამ აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ცეკას სარევიზიო კომისია, ცენტრალური საკონტროლო კომისია და დელეგატები ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე და საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობაზე დასასწრებლად.

ყრილობა დაიხურა ამხ. მიხა ცხაკაიას მოკლე სიტყვით, რომელშიაც მან უსურვა დელეგატებს ნაყოფიერი მუშაობა და მიღებულ დადგენილებების სისწორით გატარება ცხოვრებაში.

პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების სიები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

შეცდომის გასწორება

ამხ. ოდიშარიას სიტყვაში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული (კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო) გაიპარა შეცდომა. პირველ აბზაცში სწერია: იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სამტრედიის რაიონში კოლექტივის წინააღმდეგ გაილაშქრეს კომუნისტ ქალებმაც კი". უნდა იყოს: „იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სამტრედიის რაიონში კოლექტივის წინააღმდეგ გაილაშქრეს კომუნისტების ცოლებმაც კი".

აზერბეიჯანის კომპარტიის მე-10 ყრილობა

ყრილობის დახურვა

ბაქო, 5 ივნისი. 4 ივნისის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. გორჩაევის და ბალა-ეფენდიევის მოხსენებები აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები. შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა რეზოლიუციები აზერბ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო მოხსენებების გამო.

ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა 77 წევრი და 18 კანდიდატი.

კომუნისტური ორგანიზაციების ამიერ-კავკასიის ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით არჩეულია 178 დელეგატი და სათათბირო ხმით—22.

ამხ. გიკალოს საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა (ადს).

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი

ბაქო, 5 ივნისი. შესდგა აზ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია ცეკას მდივნები და პრეზიდიუმი 17 კაცის შემადგენლობით.

ცეკას მდივნებათ ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. გიკალო, რუხულა ახუნდოვი და რახმანოვი.

პრეზიდიუმის წევრები: ამხ. გიკალო, ახუნდოვი, რახმანოვი, ბუნიატ-ზადე დადაშ, მუსაბეკოვი, ბაგიროვი ჯაფარ, მ. ეფენდიევი, მაშკევიჩი, სტოლიაროვი, ჯაბიევი, ამასი, აგავერდიევი, ფროლოვი, ბარინოვი, კარაევი, ყურბან-გუსეინი, აგა სულთანოვი.

ცეკას პრეზიდიუმის კანდიდატებად: ამხ. რახმანოვი, ასლანოვი, საფარ გუსეინოვი, ოგანჯანოვი, ერმოხინი, ბუნიატ-ზადე მახმუდ და რახმეევა.

კლასობრივი ბრძოლების გამწვავება გერმანიაში

გერმანელი რეფორმისტები შეუთანხმდნენ მრეწველებს ხელფასის საერთო დაკლების საკითხში

ნანკინის ჯარების უკან დახევა ლუნხაის ფრონტზე.—კომუნისტური რაზმები ჩანშასთან

ახალი შეტაკებები ინდოეთში.—შეტაკების დროს დასჭრეს რამდენიმე ასეული კაცი

შეტევა გერმანიის მუშათა ხელფასზე

მრეწველებისა და რეფორმისტების ერთიანი ფრონტი

გენერალური შეტევა მუშათა ხელფასზე

ბერლინი, 4 ივნისი. მინისტრთა საბჭომ განიხილა ახალი ღონისძიებები ფინანსიური რეფორმის ჩასატარებლად მშრომელთა ხარჯზე. სხდომაზე მსჯელობა გაიმართა დაზღვევის გადასახადის გადიდების შესახებ 3 ნახ. დან 4 ნახ. პროცენტამდე. მსჯელობის შედეგები არ არის გამორკვეული.

ამავე დროს გერმანიის მრეწველობის კავშირის გამგეობისა და მრეწველთა გაერთიანების პრეზიდიუმმა განიხილეს საკითხი „ფასების საერთო დაკლების გატარების შესახებ ხელფასის საყოველთაო შემცირების გზით". ამ საკითხის გარშემო ფარული მოლაპარაკება სწარმოებს მრეწველებსა და რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერებს შორის. უკანასკნელი ცნობებით, მათ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას (ადს).

იერიში სოციალური დაზღვევის წინააღმდეგ

ბერლინი, 5 ივნისი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში ფინანსთა მინისტრმა მოლდენგაუერმა აღნიშნა დეფიციტის შემდგომი ზრდა. მისი აზრით, დეფიციტის ზრდა უმთავრესად ხდება უმუშევართა დახმარების ხარჯზე.

კომფრაქციის სახელით გამოსულმა დეპუტატმა ტორგლერმა მიუთითა, რომ იმ დროს, როცა გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მასებს შეუჩერებლად იზრდება, გადასახადებს სიმდიდრეზე უკლებენ. მთავრობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს მსხვილ კონცერნებს (ადს).

მანსფელდის მუშების მსგავსად

ბერლინი, 4 ივნისი. მანსფელდის მაღაროებისა და ქარხნების მუშებს შემდეგ გაიფიცნენ კენიგსბერგის ნავთსადგურის მუშები. (ადს).

მანსფელდის მუშების გაფიცვა

ეისლებენი, 5 ივნისი. მანსფელდის გაფიცულთა მუშათა კრებები და აგრეთვე საერთო დემონსტრაცია 8 ივნისს ჩატარდა მუშათა მასების მიერ რევოლუციონური პროფოპოზიციისა და კომპარტიის ხელმძღვანელობის ცნობის ნიშნით. პროფოპოზიციის მიერ ეისლებენში მოწვეულ კრებას დაესწრო 2.000 კაცი, რეფორმისტების კრებას კი—150 კაცი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5.000-ზე მეტმა კაცმა.

გაფიცულთა მსვლელობის გზაზე გამწკრივებულნი იყვნენ მუშა-მცხოვრებლები, რომლებიც აღფრთოვანებით ეგებებოდნენ გაფიცულებს. რეფორმისტებმა მიაღწიეს იმას, რომ კომპარტიას აეკრძალეს სხდომების მოწვევა ეისლებენის სახალხო სახლში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტმა უარჰყო პროფოპოზიციის წინადადება გაფიცულთა კვების ორგანიზაციის შესახებ.

მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა უკვე გამოჰყო გაფიცულთა და მათი ოჯახების დასახმარებლად 10.000 პური, მარგარინი, ხორცი და კარტოფილი და შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას (ადს).

მანსფელდის ამბები გერმანიის პროლეტარიატის პასუხია დამქირავებელთა შეტევის წინააღმდეგ

ბერლინი, 4 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ორგანომ „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა მოწოდება გერმანიის მუშებისადმი. მოწოდება ეხება მანსფელდის გაფიცვას და მას უწოდებს გერმანიის პროლეტარიატის პასუხს იმ გადამწყვეტი შეტევის წინააღმდეგ, რომელსაც დამქირავებლები და საარბიტრაჟო კომისიები აწარმოებენ ხელფასის მიმართ. „გერმანიის მუშებმა,—თავდება მოწოდება,—უნდა დარაზმონ მთელი თავიანთი ძალები მანსფელდის მაღაროს მუშათა გასამარჯვებლად". (ადს).

მდგომარეობა ინდოეთში

ბრძოლა ინდოეთის სანაპირო რაიონებში

ლონდონი, 4 ივნისი. სანაპირო რაიონების (ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ პროვინციაში) ტომები მტკიცედ ჰრიან. ბატშა გულის (ტურანზანის ტომის მეთაურის შვილი) წინააღმდეგ გაგზავნა ახალი დამსჯელი ექსპედიცია, ბატშა გულის პოზიციებს ყუმბარებს უშენდნენ სამთო ზარბაზნებიდან და აეროპლანებიდან, მაგრამ ამაოდ, მან შესძლო თავისი პოზიციების შენარჩუნება.

ჯარები ოპერაციებს აწარმოებენ აგრეთვე „წითელხალათიანების" წინააღმდეგ. ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს სოფ. სარომხს,) კონფისკაცია უყვეს იარაღს და დააპატიმრეს 30 კაცი. (ადს)

სტამბოლი, 4 ივნისი. ტალას რაიონში იჯანყებულმა ვაზირის ტომმა ჩამოაგდო ინგლისის სამი ჰაეროპლანი, რომლებითაც მათ ყუმბარებს უშენდნენ (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 4 ივნისი. ეორლში (ბომბეის პროვინცია, ინდოეთში) ხელისუფლებამ გადასწყვიტა მავთულხლართი შემოევლოს საკონცენტრაციო ბანაკისათვის. ბრბო ჯარისკაცებს ხელს უშლიდა მავთულხლართის გაბმის დროს. გამოწვეულ იქნა პოლიცია. ბრბომ ქვები დაუშინა პოლიციას და რამდენიმე ადგილას დაანგრია მავთულხლართი. ბრბოს მხრით სერიოზულად დაიჭრა რვა კაცი. (ადს)

შუბლმაგრებს „მოსკოვის ხელი" ელანდებათ

ლონდონი, 5 ივნისი. თემთა პალატაში კონსერვატორმა ლორდმა ვინტერტონმა აღძრა საკითხი კომუნისტური პროპაგანდის შესახებ ინდოეთში. მან მთავრობის ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ კომინტერნის მეექვსე კონგრესზე მოსკოვში ლაპარაკი იყო კომუნისტურ მუშაობაზე ინდოეთში. შემდეგ ვინტერტონი შეეკითხა: განზრახული აქვს თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრს აღძრას საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ მან დაპირების თანახმად, თავი შეიკავოს მტრული პროპაგანდისაგან.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დალტონმა განაცხადა, რომ ნაადრევია რაიმე საბოლოო დასკვნის გაკეთება იმ როლის შესახებ, რომელიც შეეძლოთ ეთამაშათ კომუნისტებს ან მათ აგენტებს პეშევრის ამბებზე.

შემდეგ დალტონმა დაუმატა, რომ ის უყოყმანოდ აცნობებს პალატას, რომ ადგილი დაურჩა პროპაგანდის შესახებ მიღებულ შეთანხმების სერიოზულ დარღვევას. მაგრამ ამასთანავე „მისი უდიდებულესობის მთავრობა პირველი მსაჯული უნდა იყოს საკითხში —სერიოზულია თუ არა ვალდებულების ესა თუ ის დარღვევა ან რა ზომების მიღება არის საჭირო" (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 4 ივნისი. დეპუტატთა პალატის სესიაზე დეპუტატმა ბერტონმა მოითხოვა — საჩქაროდ იქნას განხილული შეკითხვა იმ ინდო-ჩინელ რევოლუციონერთა მასიური გადასახლების შესახებ ინდო-ჩინეთში, რომლებმაც პარიზში, ელისეის სასახლესთან და კომუნარების კედელთან, დემონსტრაციები გამართეს. კამათი ინდო-ჩინეთის შესახებ შეტანილი შეკითხვის გამო ზეგისათვის დაინიშნა. (ადს).

პარიზი, 4 ივნისი. კომდეპუტატმა დიზობლემ შეიტანა შეკითხვა მონტეროში რკინის გზაზე მომხდარი კატასტროფის შესახებ. რევოლუციონერი რკინისგზელების სახელით, დიზობლემმა აღშფოთებით უარჰყო ის ცილისწამება, ვითომ კატასტროფა მოაწყო კომპარტიამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტარდიეს მოკვლის მიზნით. (ადს).

ტომასი — დომინიონების საქმეთა მინისტრი

ლონდონი, 5 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტომასი განთავისუფლებულია უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან და დაინიშნა დომინიონების საქმეთა მინისტრად (დომინიონების საქმეთა სამინისტროს ყოფილ კოლონიების საქმეთა სამინისტროდან). პასუხისმგებლობას უმუშევრობის პრობლემისათვის კისრულობს მინისტრთა საბჭო, რომელშიც შედის ტომასი. მაიორი ეტლი დანიშნული იქნება ქვანახშირის მრეწველობის საქმეთა მინისტრად, ტერნერის ნაცვლად, რომელიც გადადგა (ადს).

მაკდონალდი არ ასრულებს

საარჩევნო დაპირებას

ბერლინი, 4 ივლისი. როგორც „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ს ლონდონიდან ატყობინებენ, ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ თათბირზე პროფკავშირების წარმომადგენელნი უსაყვედურებდნენ მთავრობას, რომ მან არ შეასრულა დაპირება ბოლდუინის მთავრობის მიერ პროფკავშირთა წინააღმდეგ გამოცემული კანონის გაუქმების შესახებ. თავის პასუხში მაკდონალდმა გადაჭრით მოითხოვა, რათა პროფკავშირებმა აუცილებლად შესწყვიტონ „პოლიტიკური რევოლუციონური გაფიცვების" გამოცხადება. (ადს).

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 4 ივნისი. 26 მაისისათვის ინგლისში ირიცხებოდა 1.770.100 უმუშევარი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

კომუნისტების რაზმები ციუძიანთან

ლონდონი, 4 ივნისი. ამერიკის საკანონერო ნავმა, რომელიც მდინარე იანცძიანზე იმყოფებოდა, ბრძანება მიიღო გაემართოს ქალაქ ციუძიანისაკენ, რომელსაც საფრთხე მოელის, რადგან მას „კომუნისტების რაზმები უახლოვდებიან". (ადს).

ლონდონი, 4 ივნისი. ჩრდილოეთის ბულადები აცხადებენ, რომ მათ დიდი გამარჯვება მოიპოვეს ლუნხაი-განკოუს რკინის გზის ფრონტზე და რომ გუანსის ჯარი ხანკოუს უახლოვდება. (ადს).

ჩანშას აღებას კომუნისტური რაზმების მიერ ყოველ წუთში მოელიან

ლონდონი, 4 ივნისი. კომუნისტურმა ნაწილებმა, რომლებიც ჩანშადან (ხუნანის დედა ქალაქი) დასავლეთით მოქმედებენ, დაამარცხეს ნანკინის ჯარები. ჩანშას აღებას კომუნისტური რაზმების მიერ ყოველ წუთში მოელიან. (ადს).

ნახევარი მილიონი წითელი პარტიზანი

ბერლინი, 4 ივნისი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ში მოთავსებულია შანხაიდან მიღებული მეტად საინტერესო კორესპონდენცია ჩინეთის წითელი პარტიზანების შესახებ. „სხვადასხვა ადგილას წარმოებული სამხედრო მოქმედება, — სწერს კორესპონდენტი, — საერთო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. წითელი ჯარის რიცხვი უდრის 50 ათას შეიარაღებულ კაცს. როგორი გლეხური რეზერვი სდგას ამ ჯარის უკან, ძნელი სათქმელია, მაგრამ მარტო გუანსის პროვინციაში ნახევარ მილიონს უდრის იმ გლეხთა რიცხვი, რომლებიც აშკარად ან ფარულად უჭერენ მხარს წითლების მოძრაობას. წითელი ნაწილებს იარაღი ეძლევათ იმ მარაგიდან, რომელსაც ისინი რეგულიარულ ჯარსართმევენ. (ადს).

მღელვარება ინდო-ჩინეთში

ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორი მდგომარეობას სერიოზულად თვლის

პარიზი, 8 ივნისი. „მატენი" აქვეყნებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის საუბარს ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორ პასკიესთან ნაციონალურ-რევოლუციონური მოძრაობის შესახებ ინდო-ჩინეთის ამ კოლონიაში.

პასკიემ განაცხადა: „მდგომარეობა ინდო-ჩინეთში სერიოზულია. ინდო-ჩინეთი ჩათრეულია იმ მოვლენათა მორევში, რომლებიც ამჟამად არყევენ მთელ აზიას. ამბობენ, რომ ინდო-ჩინეთში ადგილი არა აქვს კომუნისტების გავლენას. ეს მართალია იმდენად, რამდენადაც აქ არ მოიპოვებიან კომუნიზმის თეორეტიკოსები. სამაგიეროდ ინდო-ჩინეთის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს კომუნიზმისათვის".

შემდეგ პასკიემ გაიმეორა ჩვეულებრივი ჭორები იმის შესახებ, რომ „კომუნისტური მოძრაობა იკვებება მოსკოვიდან, პარიზიდან და კანტონიდან მიღებულ დირექტივებით, გამოცდილებით და ფულით და რომ „ინდო-ჩინეთში დატრიალებულ ამბების ნამდვილი გამომწვევნი სხედან კომუნისტურ სკამებზე საფრანგეთის პარლამენტში". დასასრულ პასკიემ აღნიშნა, რომ მას სურს დაეყრდნოს შეძლებულ ანამიტთა წრეებს, რომლებიც იწყებენ იმის შეგნებას, თუ რა საშინელი ამბები მზადდება ინდო-ჩინეთში". (ადს).

საფრანგეთის კოლონიალური ხელისუფლების უზომო ბოროტმოქმედება

პარიზი, 4 ივნისი. ბურჟუაზიული გაზეთის „პტი პარიზიენ"-ის სპეციალური კორესპონდენტი ინდო-ჩინეთიდან იუწყება, რომ ინდო-ჩინეთის მოსახლეობის უკმაყოფილების ერთერთი მიზეზი საფრანგეთის კოლონიალური ხელისუფლების უზომო ბოროტმოქმედებაა.

„უნდა ითქვას, — სწერს რობო, — რომ ინდო-ჩინეთში გამეფებულია მტრიანობა და მექრთამეობა. პოლიციის ზოგიერთმა პრეფექტმა, მცირე ჯამაგირის მიუხედავად, მილიონები შეიძინა. მე მოწმე ვიყავი იმისა, რომ სასამართლომ ერთ ანამელ სტუდენტს სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა ნაციონალური სიმღერის შეთხზვისათვის, ხოლო ერთ ფრანგ ოსტატს ადგილობრივი მუშის მოკვლისათვის მიუსაჯა მხოლოდ სამი თვის პირობითი პატიმრობა. (ადს).

პროფინტერნის კონგრესის წინ

კანადის მუშა-ქალთა დელეგაცია

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. კანადაში ეწყობა მუშა-ქალთა დელეგაცია პროფინტერნის კონგრესზე. დელეგაციაში შევლენ სამთო და სამკერვალო ცენტრების და ფერმებში მომუშავე ქალთა წარმომადგენლები (ადს).

გაზაფხულის თესვა

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა თესვის გეგმა 87,2 პროცენტით შეასრულეს

მოსკოვი, 5 ივნისი. „ხლებოცენტრ"-ის ცნობებით, 4 ივნისისათვის კოოპერატიულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს თესვის გეგმა 87,2 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული. სულ დაითესა 2.442,8 ათასი ჰექტარი. (ადს).

ნავთის ახალი წყაროები

სამარა, 5 ივნისი. პენზის გუბერნიის კერენსკის რაიონში გლეხებმა აღმოაჩინეს რკინის მადნის და ნავთის დიდი საბადოები. (ადს).

ხორცის დამზადება

მოსკოვი, 5 ივნისი. საკ. სახკომსაბჭომ დაავალა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს 1930 წ. პირველ ოქტომბრისათვის დაამზადოს 212.000 ტონა ხორცის მარაგი. ეს მარაგი იქნება ვაჭრობის კომისარიატის უშუალო განკარგულებაში. 510.000 ტონა ხორცი დამზადებული უნდა იქნას საკლავ საქონლის კონტრაქტაციის წესით (ადს).

2000 სილოსის კოშკი

მოსკოვი, 5 ივნისი. საკავშირო მიწსახკომმა დაადგინა — აიგოს სტანდარტული ტიპის ორი ათასი სილოსის კოშკი, თითო 300 ტონის ტევადობისა. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ცილისწამების კამპანია გრძელდება

მოსკოვი, 5 ივნისი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება: 1-ლ ივნისს მონტეროში (პარიზ-მარსელის რკინისგზა) მოხდა მატარებლების დაჯახება. კატასტროფის მიზეზების გამოძიების დროს პოლიციამ ეჭვი აიღო, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს პოლიტიკურ თავდასხმას, რადგან ამ მატარებლით უნდა გამგზავრებულიყო ტარდიე. პოლიციის ცნობებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მონტეროში მეტად ძლიერია კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც დიდ გავლენით სარგებლობს ფრანგ და უცხოელ მუშებს შორის. მემარჯვენე და მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა ამ ზღაპრებს კომპარტიის ტერორისტული მუშაობის შესახებ იყენებს ახალ საბაბად ანტიკომუნისტური კამპანიისა და საზიზღარი ინსინუაციებისათვის.

დეპუტატთა პალატის პირველი სხდომა აღინიშნა კომუნისტების მთელი რიგი გამოსვლებით. მუშა დეზობლენი გამოვიდა პროტესტით მთავრობის საზიზღარი მოქმედების წინააღმდეგ მონტეროში მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით. მან გამოამჟღავნა ანტისაბჭოთა კამპანიის ნამდვილი ხასიათი. პოლიცია განაგრძობს გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები უარს ამბობენ აღიარონ თავდასხმის ფაქტი.

ფაშისტური პრესა ილაშქრებს კომპარტიისა და უნიტარული პროფკავშირების წინააღმდეგ. „ჟურნალ დე დება" გაჰკივის საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მონაწილეობაზე „თავდასხმაში".

„პრავდა" ვრცელ კომენტარიებში აღნიშნავს ამ მტკიცების სისულელეს. მაგრამ საჭირო ხდება ანგარიში გაუწიოთ გიჟის ბოდვას, რადგან საფრანგეთის განსაზღვრული წრეები არ შეჩერდებიან ცილისწამების წინაშე იმ იმედით, რომ ცილისწამებისგანაც რამე დარჩება. ადარებს რა ამას ვარშავის ისტორიას, „პრავდა" ხაზს უსვამს, რომ როგორც ჩანს, ამჟამად ანტისაბჭოთა წრეებისათვის საჭიროა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიის განახლება.

მემარჯვენეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს

მოსკოვი, 5 ივნისი. ტიმირიაზევის აკადემიის უჯრედების კრებამ სასტიკად გაკიცხა ოპორტუნისტების გამოსვლა, რასაც იქ ჰქონდა ადგილი. ორმა მათგანმა საჯაროთ განაცხადა, რომ მათი გამოსვლა უხეში პოლიტიკური შეცდომაა. კრებამ ერთხმად მოიწონა ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისები და გადასწყვიტა ფეხზე დააყენოს ყველა ძალები პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად.

მემარჯვენეების და ტროცკისტების გამოსვლას ადგილი ჰქონდა უმაღლეს სავაჭრო კურსებზედაც.

განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მემარჯვენეების ზიმარევის და ფელდმანის გამოსვლა. ზიმარევმა განაცხადა, რომ პარტია საშუალო გლეხს წაეჩხუბა ჯერ კიდევ კოლექტივიზაციამდე; საშუალო გლეხები კოლმეურნეობაში შერეკეს ხელოვნური ღონისძიებებით. ფელდმანმა განაცხადა, რომ დანაშაული დაშვებული შეცდომებისათვის ეკისრება მთელ პარტიას. ცეკას შეცდომები აღნიშნული უნდა იქნეს. საკოლმეურნეო მშენებლობის შეცდომა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ეხლანდელ ეკონომიურ პირობებში ნაადრევია ჯერ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციაზე.

ტროცკისტების გამოსვლებს შორის აღსანიშნავია ანდრეევას გამოსვლა. მან განაცხადა, რომ ცეკას ხაზი გაკოტრდა და შეუდგა ათასგვარ [illegible] მოყოლას პარტხელმძღვანელობისათვის სახელის გასატეხად. კრების მიერ მიღებული რეზოლიუცია მკაფიოდ აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია დაუნდობელი ბრძოლა იმ გაწყობილებებთან, რომელმაც თავი იჩინა უჯრედში. რეზოლიუცია განსაკუთრებით ხაზს უსვამს ანდრეევის გამოსვლის ანტიპარტიულ პროვოკაციულ ხასიათს და აყენებს საკითხს მისი პარტიის რიგებში ყოფნის შესახებ.

მისტერ ტროცკის ბიულეტენი

მოსკოვი, 5 ივნისი. მოსკოვის მეორე საოლქო პარტკონფერენციაზე გრძელდება კამათი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გარშემო. დელეგატების გამოსვლა საუკეთესოდ მოწმობს მოსკოვის პარტრიგების სიმტკიცეს და ერთსულოვნებას. ორატორები მოითხოვენ სასტიკ ბრძოლას მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების" წინააღმდეგ. ამხ. ნოსოვმა აღნიშნა, რომ ტროცკიზმი იდეურად და ორგანიზაციულად საბოლოოდ დაუკავშირდა მენშევიზმს. მისტერ ტროცკი, ბესედოვსკისა და სხვა მოღალატეების მსგავსად, განაგრძობს ცილისწამებას ბოლშევიკურ პარტიაზე. ამას წინად მან თავის ბიულეტენში დაბეჭდა პასკვილი, რომელშიაც სწერს: „სტალინი იმაზე უარესად ეპყრობა პარტიას, ვიდრე მეფე სახელმწიფო სათათბიროს ეპყრობოდაო". ყოველი შეგნებული მუშა, რომელიც წაიკითხავს ამ სტრიქონებს, ზიზღით მიაფურთხებს ტროცკიზმს. ასეთ დაცემამდე შესაძლებელია მივიდეს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არასოდეს არაფერი საერთო არ ჰქონია ბოლშევიზმთან.

ინდოეთის რევოლუციის საკითხები

ინდოეთის კაპიტალიზმი და ინგლისის იმპერიალიზმი

ინდოეთში მომხდარი მოვლენები სავსეა ულრმესი წინააღმდეგობებით. კონფლიქტი ინგლისის იმპერიალიზმსა და ინდოეთის იმ ნაციონალ-რეფორმისტულ ბურჟუაზიას შორის, რომელიც სცდილობს მიაღწიოს კომპრომისს იმპერიალიზმთან, მაგრამ რომელსაც, როგორც ეშმაკს საკმეველის, ისე ეშინია მუშათა და გლეხთა რევოლუციონური ბრძოლის, ჰქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას და უნდა გამოყენებულ იქნას კიდეც რევოლუციის სასარგებლოდ.

კომინტერნის მე-6 კონგრესმა ამ პუნქტში, ისევე, როგორც ეგრედ წოდებული მესამე პერიოდის მთელ გეზში, წინასწარ გაითვალისწინა ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც ეხლა მოვლენათა მიმდინარეობამ წამოაყენა. ამიტომ არაფერი ისე კომიკური და უსირცხვილო არ არის, როგორც როის შემდეგი განცხადება, იმ როის, რომელიც ეხლა „ნაციონალურ" ბანაკში ბრუნდება:

„კომინტერნის მეექვსე მსოფლიო კონგრესმა,—სწერს როი,—განაცხადა, რომ მუშების და გლეხების გარდა, ინდოეთში ყველა კონტრ-რევოლუციონერია. მან დაივიწყა, რომ ინდოეთი კოლონიალურ ქვეყანას წარმოადგენს და რომ კლასთა პოლიტიკური ურთიერთობა ინდოეთში არ შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც დამოუკიდებელ კაპიტალისტურ ქვეყნებში".

ვიდრე გავიხსენებდეთ, თუ რა სთქვა მეექვსე კონგრესმა, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ, თუ რა სთქვა როიმ თავის წიგნში: „ინდოეთის პოლიტიკის მომავალი", რომელიც 1926 წელს გამოიცა:

„როგორია ნაციონალისტური ბურჟუაზიის მთავარი მოთხოვნები? ეს მოთხოვნები სამი დებულებით განისაზღვრება: ინდოეთის ინდუსტრიალიზაცია, ფისკალური ავტონომია და საბაჟო მფარველობა. ყველა მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, რადგან ბრიტანეთის კაპიტალიზმი სცდილობდა დაეძლია ომის შემდგომი კრიზისი იმპერიის ბაზის გარდაქმნის გზით. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ნაციონალიზმის ეკონომიური პროგრამა შეიძლება განხორციელებულ იქნას თუმცა იმპერიალისტებს არ გაუტარებიათ ისეთი მკვეთრი პოლიტიკური რეფორმები, რომლებსაც წვრილი ბურჟუაზია მოითხოვს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვილი ბურჟუაზია იმ რწმენამდე მივიდა, რომ მისი ეკონომიური განვითარება შესაძლებელია იმპერიალისტური პოლიტიკის ფარგლებში" (გვ. 88, ხაზი ყველგან ჩემია, კ. რ.).

როი მარტო არ იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ინგლისის იმპერიალიზმმა დააკმაყოფილა ინდოეთის კაპიტალისტური ბურჟუაზიის მოთხოვნები ან პრინციპიალურად შესაძლებელია ინდოეთის კაპიტალისტური განვითარების საჭიროებათა დაკმაყოფილება ინგლისის იმპერიალიზმის მიერ. იგი მამამთავარი იყო მთელი იმ მიმდინარეობისა, რომელიც ნაწილობრივ იმეორებდა ინგლისის იმპერიალიზმის ზღაპრებს, ხოლო ნაწილობრივ ინდოეთის კაპიტალისტური ბურჟუაზიის იმედებს აკავშირებდა იმ ახალგაზრდა, გამოუცდელი ინდოელი კომუნისტების იმედებთან, რომლებსაც სურდათ გადახტომოდნენ ინდოეთში რევოლუციონური მოძრაობის განვითარების მთელ ეტაპს: ასე მაგალითად, ნარაიანი კომინტერნის მე-6 კონგრესზე ამბობდა:

„თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ რაც უფრო სპობდა ბრიტანეთის იმპერიალიზმი ინდოეთის კაპიტალისტური განვითარების დაბრკოლებებს (ხაზი ჩემია. კ. რ.), მით უფრო მიექანებოდა ინდოეთის ბურჟუაზია ბრიტანეთის იმპერიალიზმთან თანამშრომლობისაკენ; ინდოეთის ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფები ზედიზედ ახდენდნენ კაპიტულიაციას ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე" (მე-6 კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში, მეოთხე გამოცემა, გვ. 298).

უმაღლეს სანქციას ინდოელ კომუნისტების ამ შეხედულებებს აძლევდა ნაწილი ინგლისის დელეგაციისა მეექვსე კონგრესზე, რომელიც აზვიადებდა ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის ფარგლებს და ლაპარაკობდა ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის საფუძვლიანად შეცვლაზე.

ყველაზე მკაფიოდ და გამოკვეთილად ეს თვალსაზრისი გამოხატა არნოტმა, რომელმაც განაცხადა:

„ფინანსიური კაპიტალის ეპოქაში კაპიტალის ექსპორტი უფრო და უფრო ვითარდება, იგი მიიმართება კოლონიებისაკენ და იწვევს იქ აუცილებელ შედეგებს. მრეწველობის ზრდის აუცილებელი პროცესი აღარ ფერხდება. პირიქით. ბალანსი განვითარების შემაფერხებელ ტენდენციასა და განვითარების დამაჩქარებელ ტენდენციას შორის თანდათან უფრო ხელსაყრელი ხდება ამ უკანასკნელისათვის" (ხაზი ჩემია, კ. რ.) (მე-6 კონგრესის სტენოგრამა, მე-4 გამ. გვ. 298).

არნოტს ინგლისის ბურჟუაზიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაც კი ელანდებოდა, რომელიც ხელს უწყობს ინდოეთის განუწყვეტელ ინდუსტრიალურ განვითარებას.

⁂

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ კომინტერნი კუუსინენის მოხსენებაში და მე-6 კონგრესის მიერ მიღებულ თეზისებში სულ სხვა სურათს გვიშლიდა. გასაგებია, რომ არავითარ აზრადაც არ მოსვლია უარეყო ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარების ფაქტი ომის დროიდან, აზრად არ მოსვლია უარეყო ინგლისის იმპერიალიზმის ცალკე დათმობანი ინდოეთის სამრეწველო ბურჟუაზიის მიმართ იმ მიზნით, რომ კომპრომისი დაედო მასთან. მაგრამ კომინტერნი არ დაკმაყოფილდა ფაქტების შეჯამებით და მან საერთო საკითხი დასვა: შეუძლია თუ არა ინგლისის იმპერიალიზმს აღმოფხვრას დაბრკოლებანი ინდოეთის კაპიტალისტური განვითარებისათვის. ამ საკითხს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ცხადია, თუ ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესები შეიძლება შეუთავსდეს კაპიტალიზმის დაუბრკოლებლივ განვითარებას ინდოეთში, მაშინ აქედან გამოდის ის, რომ ინდოეთს მოელის დემოკრატიული რევოლიუციის პერიოდი, და ყველა წინააღმდეგობანი ინგლისის იმპერიალიზმსა და ინდოეთის კაპიტალისტურ განვითარების ინტერესებს შორის შეიძლება გადაჭრილ იქნან რეფორმისტულად. არა იმიტომ, რომ, როგორც ტროცკი ფიქრობს, ნაციონალური ბურჟუაზიის ჩამოშორება თავის თავად ამოსწურავს დემოკრატიული რევოლიუციის პერიოდს. პირიქით, ბურჟუაზია ჩვეულებრივად შორდება ნაციონალურ მოძრაობას. მუშები და გლეხები, რომლებიც თავს ითავისუფლებენ მისი მზრუნველობისაგან, პლებეურად იწყებენ ამოცანების რევოლიუციონურად გადაჭრას, ე. ი. მაშინ, როცა ბურჟუაზიული რევოლიუცია საერთო ნაციონალური ოპოზიციონური შესავლიდან გადამწყვეტ ფაზისში შედის. დემოკრატიული რევოლიუციისაგან ბურჟუაზიის ჩამოშორება, უკვე იმიტომ არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ რევოლიუციის დამთავრებას, რომ ბურჟუაზია არსად არ იყო რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა, თუმცა რევოლიუციის სოციალურ შინაარსაც წარმოადგენდა კაპიტალისტური განვითარების განთავისუფლება ფეოდალიზმის ბორკილებისაგან.

ჩინეთში და ინდოეთში ინდუსტრიალური ბურჟუაზია საერთოდ არ შეიძლებოდა ყოფილიყო რევოლიუციის მამოძრავებელი ძალად, ვინაიდან ეს რევოლიუცია ხდება იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირში პროლეტარიატმა უკვე გაიმარჯვა, როდესაც დასავლეთში გაისმის სოციალისტური რევოლიუციის გრგვინვა. მაგრამ როცა უარვყოფთ, რომ ინდოეთის ინდუსტრიალური ბურჟუაზია რევოლიუციის მამოძრავებელი ძალის როლს თამაშობს, როცა გვახსოვს მისი მოღალატური როლი წარსულში და მოველით მისგან ასეთ მოღალატეობას მომავალში, არ უნდა გადავიდეთ იმ თვალსაზრისზე, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის განვითარების დაბრკოლებათა აღმოფხვრისა და იმპერიალიზმის ბატონობის შეთავსება, ვინაიდან თუ დავუშვებთ, რომ ინგლისის იმპერიალიზმის ინდოეთზე ბატონობა შეიძლება შეთავსებულ იქნას კაპიტალისტური განვითარების დაბრკოლებათა აღმოფხვრასთან, მაშინ გასაგებია, რომ ამ განვითარებამ უნდა გაღრღნას და მოსპოს ფეოდალიზმის ნაშთები, გზა გაუხსნას კაპიტალისტურ განვითარებას მიწადმოქმედებაში და ამავე დროს შეისრუტოს სოფლის გაპროლეტარებული ელემენტები. ეს მოასწავებს იმას, რომ ისპობა დემოკრატიული რევოლიუციის პერსპექტივა და იგი იცვლება რეფორმისტული პერსპექტივით.

კომინტერნის კონგრესმა უარჰყო რეალობა ასეთი რეფორმისტული პერსპექტივისა, რომელიც იყო დავის ერთად-ერთი ნამდვილი საგანი, თუმცა ინდოელი და ინგლისელი ამხანაგები, რომლებიც საკითხის ცალკე შემადგენელ ნაწილებს ხედავდნენ, ხოლო თვით საკითხს კი ვერა, ფიქრობდნენ, რომ დავა იყო ისეთ უბრალო რამეებზე, როგორიც არის ის, რომ ვერ გაიგო კაპიტალის ექსპორტის როლი ან არ აღიარა თვით ფაქტი ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის ერთგვარი პროგრესისა.

⁂

ცენტრალური იდეა, კონგრესის თვალსაზრისით, იყო ის, რომ, ჯერ ერთი, ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკის ვერავითარი შეცვლა ვერ გამოიწვევს ფეოდალიზმის იმ ნაშთების ლიკვიდაციას, რომლებიც ინდოეთში წარმოადგენენ მთავარ ხელისშემშლელ გარემოებას ინდოეთის კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მიწის 50 პროცენტი ფეოდალურ მიწადმფლობელებისა და მთავრების ხელშია, 30 პროცენტი—ინგლისის იმპერიალიზმის ხელში. ასეთი უდიდესი ტვირთი, რომელიც ხალხის მასებს აწევს და ყველაზე ღატაკ ქვეყნად ხდის ინდოეთს, სადაც შემოსავალი სულზე წელიწადში 20 მანეთს უდრის, იაპონელი გლეხის 60—70 მანეთი წლიური შემოსავლის ნაცვლად, არ შეიძლება მოხსნილ იქნას ზემოთ გამოტანილი ბრძნული გადაწყვეტილებით. ამ ტვირთის გადაგდება მხოლოდ აგრარული რევოლიუციით შეიძლება. 1789 წლის 4 აგვისტოს ფრანგ ფეოდალების მიერ ფეოდალურ ხარკზე ნებაყოფლობითი ხელის აღება ისტორიული ლეგენდა იყო. ჟირონდისტებსაც კი არ სურდათ გაენთავისუფლებიათ საფრანგეთის გლეხობა და საჭირო გახდა სისხლისმღვრელი იაკობინური რევოლიუცია იმისათვის, რომ გლეხობას ბოლო მოეღო ფეოდალიზმისათვის, რომ იგი მიწის მესაკუთრე გამხდარიყო. როდესაც ინგლისის იმპერიალიზმი იცავს ფეოდალურ მონობას ინდოეთში, ამით ის იცავს არა მარტო უშუალოდ თავის შემოსავალს, არამედ იცავს იმ კლასსაც, რომელსაც იგი პირველ რიგში ეყრდნობა ინდოეთში. ამასთან აქ საქმე ეხება არა მარტო იმ 8 მილიონს, ვინც უშუალოდ დაკავშირებულია ფეოდალიზმის ნაშთებთან. ციით, არამედ ამ ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ მთელ სისტემასაც, ადგილობრივ სამთავროთა სისტემას და ხალხის მასებზე რელიგიური ზეგავლენის სისტემას, რომელიც დაკავშირებულია ფეოდალიზმის ნაშთებთან.

მარტო ესეც საკმაოა იმისათვის, რომ ვსთქვათ, — არ არსებობს რეფორმისტული გზა ინდოეთის კაპიტალისტური განვითარების დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის, ეს განვითარება შეუძლებელია შინაგანი ბაზრის შეუქმნელად. მაგრამ არსებობს მეორე გენერალური არგუმენტიც, რომელიც ამ რეფორმისტული პერსპექტივების წინააღმდეგ მეტყველებს. იმპერიალიზმის პერიოდში საქონლის ექსპორტი ადგილს კი არ უთმობს კაპიტალის ექსპორტს, არამედ კაპიტალის ექსპორტი ემატება მას. მეტროპოლიის ფინანსიურმა კაპიტალმა, რომელსაც ხელთ უპყრია საექსპორტო მრეწველობა, ფართო მოხმარების საგნები და, პირველ რიგში, საფეიქრო საქონელი, განავითარა მძიმე მრეწველობა, რომელსაც გაზრდილი გასასაღებელი ბაზრები ესაჭიროება. ეს ეთანხმება ფინანსიური კაპიტალის საჭიროებებს აიღოს უფრო მაღალი გასანაღდებელი პროცენტი მის ხელში დაგროვილ სახსრებში, ვიდრე მეტროპოლიაში იღებს. აქედან გამომდინარეობს ერთსა და იმავე დროს გატანა ფართო მოხმარების საქონლის და მძიმე მრეწველობის პროდუქტებისა, რომლებიც კოლონიალურ ქვეყანაში იძლევიან მსუბუქი მრეწველობის შექმნის საშუალებას. ხოლო მსუბუქი მრეწველობა ზღუდავს მეტროპოლიის საქონლის გასაღებას და ჰქმნის კოლონიალური მძიმე მრეწველობის განვითარების დასაწყისს. ამრიგად, ის ახალი გარემოება, რითაც მონოპოლისტური კაპიტალიზმის კოლონიალური პოლიტიკა და ფინანსიური კაპიტალიზმის კოლონიალური პოლიტიკა განსხვავდება ძველი კოლონიალური პოლიტიკისაგან თავისუფალი კონკურენციის ხანისაგან, როდესაც მსუბუქი მრეწველობა სჭარბობდა მძიმე მრეწველობას. ეს ახალი გარემოება უბრალოდ როდი სპობს კოლონიალურ პოლიტიკას, არამედ უერთდება მას და უკავშირდება მას. ამიტომ ბავშური სქემატიზმს წარმოადგენს ფიქრი იმაზე, რომ ფინანსიური კაპიტალის კოლონიალური პოლიტიკა არის კოლონიის ინდუსტრიალური განვითარებისათვის საზოგადოდ ხელის შეწყობა. ბირმინგანს არ შთაუნთქავს ლანკაშირი. სიტის კანტორებში (ინგლისის ხუთი დიდი ბანკის ბიუროები), რომელნიც სწყვეტენ იმპერიალიზმის ეკონომიურ პოლიტიკას, არ გამქრალა, საერთოდ ინგლისის ინდუსტრიის და, კერძოდ, საფეიქრო მრეწველობის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა. ფინანსიური კაპიტალი არ არის უბრალო საბანკო კაპიტალი, რომელიც მოწყვეტილია მრეწველობას და ანგარიშს უწევს მხოლოდ პროცენტის ნორმას.

ყოველი ნაბიჯი ინგლისის ეკონომიურ პოლიტიკისა ინდოეთში წარმოადგენს ბრძოლის ობიექტს ინგლისის კაპიტალიზმის სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ამიტომ ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარებისათვის ეგრედწოდებულ მხარის დაჭერას უდიდესი დაბრკოლებები ელობებიან. ბრძოლა სწარმოებს არა მარტო ინდოეთის ბურჟუაზიასა და ინგლისის კაპიტალიზმს შორის, არამედ ინგლისის კაპიტალიზმის სხვადასხვა ჯგუფებს შორისაც. ამის შედეგად ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარება, ომის შემდგომი დროის გარდა, ძალიან ნელა მიმდინარეობს. დღეს ინგლისის ბურჟუაზია სამხედრო აუცილებლობის ზეგავლენით, რევოლიუციის შიშის ზეგავლენით, დათმობაზე მიდის ნაციონალური ბურჟუაზიის მიმართ იმისათვის, რომ ხვალ ეს დათმობანი უკანვე წაიღოს. საკმაოა აღვნიშნოთ ის, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისის ბურჟუაზიამ დაუთმო ინდოეთის ბურჟუაზიას საბაჟო გადასახადების საკითხში და გაადიდა ბაჟები ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარების დასაცავად, 1919-20 წლების პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ინგლისის ბურჟუაზიამ ასწია რუპიის კურსი და, ამრიგად, განსაკუთრებული პრემია დანიშნა ინდოეთში ინგლისის ექსპორტის წასახალისებლად.

ინგლისის იმპერიალიზმის ეკონომიური პოლიტიკის ეს განვითარება წინააღმდეგობებით არის აღსავსე, იგი მიხვეულ-მოხვეულ გზით მიდის, ყოველ ნაბიჯზე იწვევს შეფერხებას, შეჩერებას და ბრძოლას ინდოეთის კაპიტალისტური განვითარების საჭიროებებსა და ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებს შორის. ინგლისის იმპერიალიზმის გამანადგურებელი გავლენა ინდოეთის მეურნეობაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ იზრდება ინდოეთის სოფლის გაღატაკება და ამ სოფლიდან ათი მილიონობით გადის პაუპერიზაციაქმნილი გლეხობა, რომელნიც მრეწველობაში ადგილს ვერ პოულობს, უფრო სწრაფად და ძლიერ ვითარდება, ვიდრე ინდოეთის ინდუსტრიალიზაცია. რამდენადაც ეს უკანასკნელი პროცესი ხდება, იგი მოასწავებს არა ინდოეთის განთავისუფლებას ინგლისის იმპერიალიზმის ხარკისაგან, არამედ მისი დამოკიდებულების გაძლიერებას, ამ ხარკის ზრდას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სავაჭრო მოგების ადგილს იჭერს სამრეწველო მოგება. ევროპის კაპიტალის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკისათვის მისი კაპიტალისტური ახალგაზრდობის პერიოდში მიცემულმა სესხებმა ვერ დაიმონეს ამერიკა, პირიქით ამ სესხებმა გააძლიერეს მისი დამოუკიდებელი განვითარება და იგი უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გადააქციეს, ვინაიდან ამ სესხების წილი, ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალთან და უდიდეს შინაურ ბაზართან შედარებით, უმნიშვნელო იყო. რომ ინგლისის კაპიტალიზმს იმდენად არ აკლდეს კაპიტალი, რამდენადაც ომის შემდეგ უეჭველად აკლია, და რომ ინგლისის კაპიტალის გატანა ინდოეთში შეეფერებოდეს იმ ფანტასტიურ წარმოდგენასა და მოლოდინს, რაც ერთ-ერთი საფუძველია რეფორმისტული პერსპექტივისა ინდოეთის მიმართ, ეს იქნებოდა მომასწავებელი ინგლისის იმპერიალიზმისაგან ინდოეთის დამოკიდებულების ზრდისა და არა ამ დამოკიდებულების შესუსტებისა. ინგლისის იმპერიალიზმისა და ინდოეთის ფეოდალიზმის ინტერესების არსებული დაკავშირების დროს ეს იქნებოდა მომასწავებელი მთელი იმ აზიურ-ფეოდალურ-იმპერიალისტური სისტემის გაძლიერებისა, რომელიც სულს უხუთავს ინდოეთს, და არა ამ სისტემის შესუსტებისა.

დასასრულ, ერთი მომენტითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდოეთის პოლიტიკას ჰქმნის არა ინგლისის ბურჟუაზიის, რადაც აბსტრაქტული კლასი, რომელიც თავის პოლიტიკაში ისტორიულ აუცილებლობებისადმი დაქვემდებარებულ ისტორიულ ტენდენციათა ანალიზით ხელმძღვანელობს, არამედ ინგლისის ცოცხალი ბურჟუაზია, რომლის პოლიტიკაშიაც „ინდიენ ოფის"-ის ვაჟბატონები და კოლონიალური სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატია, მჭიდროდ დაკავშირებული ინგლისის ბურჟუაზიის გაბატონებულ ფენებთან, ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობენ, ვიდრე მაკდონალდები, თუნდაც, რომ დამტკიცებულად ჩავთვალოთ, თუმცა ამისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს რომ ეს უკანასკნელნი ძალიან ზრუნავენ ინდოელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. კოლონიალური ბიუროკრატია და სამხედრო წრეები მარტო თავიანთი დიდი ჯამაგირებისათვის არ იბრძვიან და არც მარტო იმ 200 მილიონი მანეთისათვის, რასაც ისინი ყოველ წელიწადს ჰგზავნიან ინგლისში თავიანთ დაზოგვილ თანხებად. თავიანთ ბრძოლაში დათმობათა პოლიტიკის წინააღმდეგ მათ შეუძლიათ დაეყრდნონ ისეთ ფაქტს, როგორიც არის ის, რომ მაშინ, როდესაც იაპონია თავის ფლოტსა და არმიაზე წელიწადში დაახლოვებით 300 მილიონ მანეთს ხარჯავს (1926 წლის ციფრები), ინდოეთი თავისი „თავდაცვისათვის" უშუალოდ და არაპირდაპირ ხარჯავს 600 მილიონ მანეთს. „ინდოეთის მთელი მოსახლეობის სახელმწიფო ხარჯების 50 პროცენტი უშუალოთ სამხედრო მიზნებს ხმარდება. ამას უნდა დაემატოს სამხედრო ხასიათის ისეთი ფარული ხარჯები, როგორიც არის სახელმწიფო ვალის გასტუმრება და რკინის გზების მშენებლობა, ასე, რომ, ინგლისის ფინანსიური საქმის სპეციალისტების აზრით, სამხედრო ხარჯები შეადგენენ ინდოეთის ბიუჯეტის 70 პროცენტს", სწერენ გერმანელი რეფორმისტები შრადერი და ფურტვენგლერი თავიანთ წიგნში, „მშრომელი ინდოეთი" (ბერლინი 1929 წელი, გვ. 80). ინდოეთი იხდის არა მარტო თავისი ბორკილების ღირებულებას, არამედ საერთოდ აღმოსავლეთში ინგლისის იმპერიალისტური ინტერესების დაცვისათვის საჭირო ხარჯების თვალსაჩინო ნაწილსაც. ინდოეთი წარმოადგენს ინგლისის იმპერიალიზმის ბაზას აღმოსავლეთში, რომელსაც ინგლისის იმპერიალიზმი მთელი ძალღონით დაიცავს.

⁂

ინგლისის მთავრობის დაპირებანი, რამდენადაც ისინი სცილდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოვების ფარგლებს, ინდოეთის ბურჟუაზიის ზედა ფენის ინდოეთის მართვა-გამგეობასთან შემდგომი დაახლოვების ფარგლებს, უბრალო მოტყუებას წარმოადგენენ. ინდოეთის დომინიონალური მდგომარეობის ლოზუნგი, ე. ი. მისი კანადასთან, ავსტრალიასთან და სამხრეთ აფრიკასთან გათანაბრების ლოზუნგი მხოლოდ უტოპიაა. ინგლისის შუბლმაგარი კონსერვატორები, რომლებიც ამას აშკარად აცხადებენ, სიმართლეს ამბობენ, ხოლო ლიბერალები და ლეიბორისტები, რომლებიც წინააღმდეგს ამტკიცებენ, ხეპრე ან თვალთმაქცი ხალხია. ინგლისის დომინიონების მდგომარეობა არის მდგომარეობა ნამდვილად დამოუკიდებელი პატარა (მოსახლეობის რიცხვით) ქვეყნებისა, რომლებშიაც მუშაობდა უმთავრესად ინგლისის კაპიტალი, რომლებშიაც სცხოვრობს უმთავრესად ინგლისელი ბურჟუაზია და რომელნიც არსებითად ბრიტანეთის იმპერიის გაგრძელებას წარმოადგენენ. ვინაიდან მათ არ შეეძლოთ თითონ დაეცვათ თავი, (მაგალითად, ავსტრალიას იაპონიის წინააღმდეგ), ისინი დათანხმდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის განსაზღვრულ შეზღუდვაზე საგარეო პოლიტიკაში და აძლევდნენ განსაზღვრულ უპირატესობას ინგლისის კაპიტალიზმს, რომელიც სრულებით არ ერეოდა მათ შინაურ პოლიტიკაში და არ სცხოვრობდა მათ ხარჯზე.

იმის და მიხედვით, რაც ავსტრალიის და კანადის ბურჟუაზია საკუთარ მრეწველობას ანვითარებდა, იგი იგერიებდა ინგლისის იმპერიალიზმის ცდებს დომინიონების ბურჟუაზიის ხარჯზე გამოენახა გამოსავალი თავისი ეკონომიური სიძნელეებიდან. ამ საქმეში გაკოტრდა ჯოზ ჩემბერლენის პოლიტიკა, რომელიც სცდილობდა უფრო მჭიდროდ დაეკავშირებია დომინიონები მეტროპოლიასთან, ამ საქმეში გაკოტრდა ბივერბრუკისა და მონდის პოლიტიკა, რომლებმაც განაახლეს ჩემბერლენის ცდები ინგლისის იმპერიალიზმის კრიზისის უფრო მაღალ სტადიაში. დომინიონებმა, რომლებიც ანგარიშს უწევდნენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ძლიერების ზრდას, მიმართეს ნიუ-იორკის ფულის ბაზარს და 1921 წელს დაეხმარენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკას — იძულებული გაეხადა ინგლისი ხელი აეღო კავშირზე იაპონიასთან. დომინიონები სრულიად დამოუკიდებლად იზრდებიან. ინდოეთი, რომ დომინიონის მდგომარეობაზე გადავიდეს, ეს მოასწავებს იმას, რომ თავიდანვე დაიწყოს იერიში იმის წინააღმდეგ, რომ ინდოეთს ეკისრებოდეს მისი ძალღონისათვის შეუფერებელი სამხედრო ხარჯები, დაიწყოს ბრძოლა ინგლისის ბიუროკრატიის ინდოეთის ბიუროკრატიით შესაცვლელად. ხომ გახდა განდი იძულებული მეფის მოადგილესათვის წარდგენილ ულტიმატუმში, სხვათა შორის, მოეთხოვა სამხედრო ხარჯებისა და ინგლისის უმაღლესი ბიუროკრატიის ჯამაგირის 50 პროცენტით შემცირება, თუმცა, როგორც ვიცით, განდი ფიქრობს, რომ ინდოეთის ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვენ ინგლისთან კავშირის შენარჩუნებას? ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობის შესუსტება იმდენად შეასუსტებს ინდოეთის ფეოდალურ-იმპერიალისტურ პოზიციებს, რომ ხვალ დღის წესრიგში დაისმება საკითხი ფეოდალური იმპერიალისტური ექსპლოატაციის მთელი რეჟიმის თუ ლიკვიდაციის არა, შეზღუდვის მაინც, დაისმება საკითხი იმის შესახებ, რომ ინდოეთის ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა, ოდნავ დაფარული იმ საკანონმდებლო დაწესებულებათა ფარდით, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობენ მოსახლეობის 3 პროცენტის წარმომადგენელნი, ბურჟუაზიული დემოკრატიით მაინც შეიცვალოს, ინდოეთი, როგორც ინგლისის დომინიონი, ნიშნავს იმას, რომ ინდოეთის დამოუკიდებლობის ცხრამეათედი ინდოელ ხალხს ინგლისის იმპერიალიზმმა უბოძოს. შეიძლება მთელი დამოუკიდებლობის მოპოება მაგრამ არ შეიძლება დამოუკიდებლობის ნახევრის ან ცხრამეათედის საჩუქრად მიღება.

და სწორედ იმიტომ, რომ საქმე ასეა, აუცილებელი იყო ოპოზიციის ახალი გაღვივება ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და თვით ინდოეთის ნაციონალ-რეფორმისტულ ბურჟუაზიის წინააღმდეგაც, რომელმაც ჩაახშო რევოლიუცია 1922 წელს და რომელიც მზად არის კიდევ ასჯერ გასცეს იგი. როდესაც ინდოეთის ბურჟუაზიამ უღალატა რევოლიუციას 1922 წელს და შესწყვიტა ბრძოლა რევოლიუციის შიშით, იგი მოელოდა დათმობას ინგლისის იმპერიალიზმის მხრივ, მაგრამ მას იმის ნებაც კი არ მისცეს, რომ მონაწილეობა მიეღო საიმონის კომისიაში, რომელსაც უნდა გამოეკვლია ინდოეთის მდგომარეობა. ამით ინდოეთის ბურჟუაზიას უთხრეს, რომ იგი ინგლისის პოლიტიკის ობიექტია და არა სუბიექტი, მას უარი უთხრეს იმაზე, რომ ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს, რომელიც ინდოეთის ბურჟუაზიის ინტერესებს წარმოადგენს, უმრავლესობა მისცემოდა „მრგვალი მაგიდის" კონფერენციაზე, რომელიც უნდა შეკრებილიყო ინდოეთის ახალი კონსტიტუციის საკითხის განსახილველად. მას უთხრეს: ინგლისის იმპერიალიზმი არ იცვლის თავის სოციალურ ბაზას ინდოეთში, იგი სავსებით ენდობა მხოლოდ ფეოდალებს, მთავრებსა და კომპრადორულ ბურჟუაზიას. დასასრულ, მეფის მოადგილეს ლორდ ირვინს მიეცა ბრძანება 1929 წლის 31 ოქტომბერს—დომინიონის მირაჟი მოეჩვენებია ინდოეთის ბურჟუაზიისათვის. მაკდონალდი, შუბლმაგრების იერიშის გამო პარლამენტში, იძულებული გახდა განეცხადებია, რომ არ მოხდება ინგლისის პოლიტიკის რაიმე ცვლილება ინდოეთში. სავსებით გამართლდა წინასწარმეტყველება კომინტერნის რეზოლიუციისა, რომელშიაც ნათქვამი იყო: ქვეყნის დამოუკიდებლობა იმპერიალიზმისაგან, რაც მთელი კოლონიალური ხალხის ინტერესებს წარმოადგენს, ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებსაც შეეფერება და შეურიგებლად ეწინააღმდეგება იმპერიალისტური სისტემის მთელ რაობას. სხვადასხვა ადგილობრივი კაპიტალისტები, თუმცა მათ საკუთარი უშუალო ინტერესები აქვთ მაინც მეტ წილად მრავალნაირი ძაფებით არიან დაკავშირებულნი იმპერიალისტურ კაპიტალთან. იმპერიალიზმს შეუძლია უშუალოდ მოისყიდოს მათი თვალსაჩინო ნაწილი, შეუძლია ისიც კი, რომ ბევრად მეტი მათი ნაწილისათვის, ვიდრე დღემდე, შექმნას განსაზღვრული კომპრადორული მდგომარეობა, სავაჭრო შუამავლის მდგომარეობა, დამონებული ხალხის სუბექსპლოატატორისა და ზედამხედველის მდგომარეობა. მაგრამ მონათმფლობელის, მონოპოლისტური უზენაესი ექსპლოატატორის მდგომარეობას იმპერიალიზმი თავისთვის იტოვებს. დამოუკიდებელ ბატონობას, „თავისუფალი" და დამოუკიდებელი კაპიტალისტური განვითარების მომავალს, ჰეგემონიას „დამოუკიდებელ ხალხზე" ჰეგემონიას,—ყოველსავე ამას იმპერიალიზმი არასოდეს ნებაყოფლობით არ დაუთმობს ნაციონალურ ბურჟუაზიას. ამ პუნქტში წინააღმდეგობა კოლონიალური ქვეყნის ნაციონალურ ბურჟუაზიასა და იმპერიალიზმს შორის ობიექტიურად ძირეულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ იმპერიალიზმი მოითხოვს ნაციონალური ბურჟუაზიის ქვეყნის კაპიტულიაციას.

ადგილობრივი ბურჟუაზია, როგორც უფრო სუსტი მხარე, ისევ და ისევ კაპიტულიაციას ახდენს იმპერიალიზმის წინაშე. მაგრამ მისი კაპიტულიაცია საბოლოო არ არის, ვიდრე კლასობრივი რევოლიუციის საფრთხე მასების მხრივ უშუალოდ რეალური, მწვავე და საშიშარი არ გახდება.

სწორედ კაპიტულიაცია ან ბრძოლა—ასე დასვა ისტორიამ საკითხი ინდოეთის ბურჟუაზიის წინაშე. მას არ შეეძლო ერთბაშად მოეხდინა კაპიტულიაცია, არა მარტო იმიტომ, რომ ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მას სავსებით აეღო ხელი თავის კაპიტალისტურ ინტერესებზე, არამედ იმიტომაც, რომ ეს იქნებოდა იმის მომასწავებელი, რომ მას დაეკარგა ხელმძღვანელობა ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის მიმართ და ჰეგემონია პირდაპირ პროლეტარიატზე გადასულიყო.

ჩვენ დავაკვირდებით შემდეგ სტადიას ინდოეთის შინაგანი კლასობრივ ურთიერთობაში, რომელიც სწრაფად სცილდება იმპერიალიზმთან ნაციონალური რეფორმისტული ბრძოლის ფარგლებს. ამ საკითხშიაც მეექვსე კონგრესის რეზოლიუციამ გაითვალისწინა ინდოეთის კომუნისტების წინაშე მდგომი დაბრკოლებანი და დასახა სწორი ტაქტიკური ხაზი.

კ. რადეკი.

მოსკოვი, (გადმოცემულია ტელეგრაფით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის დამთავრების შემდეგ—მთავარი ყურადღება ნათესების დაცვას

შეუსრულებელია

სიმინდის თესვის რესპუბლიკანური გეგმა; თამბაქოს თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 36 პროცენტით

გადაჭარბებით

შესრულდა ჩაის და კარტოფილის თესვის გეგმა; სოიას თესვაში მოხდა გარღვევა.—გეგმა მთლიანად სრულდება.—ნუ შევანელებთ ჩამორჩენილი კულტურების თესვას.

სენაკის მაზრაში თესვა დამთავრდა

თესვის ფრონტზე

თესვის მდგომარეობა 1-ლი ივნისისათვის

კონტრაქტაცია

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით 1 ივნისისთვის საქართველოში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 79.947 ჰექტარ სიმინდის ნათესზე—შესრულებული იყო გეგმის 69,64 პროც., 4.568 ჰექტარ პურის ნათესზე, რაც შეადგენს გეგმის 49,92 პროცენტს; 6678 ჰექტარ ქერზე—შესრულებული იყო გეგმის 47,63 პროც.; 13.000 ჰექტარ ბამბაზე, ანუ გეგმის 96,3 პროცენტი; 20.416 ჰექტარ თამბაქოზე, შესრულებული იყო გეგმის 96,3 პროც.; 20.811 ჰექტარ სოიაზე (ძაძა) გეგმა შესრულებულია 4,05 პროცენტის გადაჭარბებით; 1132 ჰექტარ კენაფზე, შესრულებული იყო გეგმის 98,4 პროც.; 80 ჰექტარ არახისზე, 220 ჰექტარ შაქრის ჭარხალზე, 2774 ჰექტარ კარტოფილზე, შესრულებული იყო გეგმის 79,3 პროც.; 258 ჰექტარ ხახვზე, გეგმა შესრულებული იყო 68 პროცენტის გადაჭარბებით; 232 ჰექტარ კომბოსტოზე, გეგმა შესრულებული იყო 54,6 პროცენტის გადაჭარბებით; გეგმის გარეშე კონტრაქტაცია ჩატარებულია 10 ჰექტარ ძაღლყურძენას და 5 ჰექტარ პიტნის ნათესზე.

თესვის საერთო მდგომარეობა

1 მაისისთვის საქართველოში დათესილი იყო 418.193 ჰექტარი სიმინდი, ანუ გეგმის 91,9 პროცენტი; 46.168 ჰექტარი პური, ანუ გეგმის 88,6 პროც.; 66.707 ჰექტარი ქერი ანუ გეგმის 97,5 პროც.; 10.414 ჰექტარი დანარჩენი კულტურები შესრულებული იყო გეგმის 91,5 პროც.

ამავე რიცხვისთვის ბამბა დათესილი იყო 12.283 ჰექტარზე, რაც გეგმის 85,9 პროცენტს შეადგენს: თამბაქო დარგული იყო 7.571 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 36 პროც.; კენაფით დათესილი იყო 2.008 ჰექტარი ანუ გეგმის 98 პროც.

ძაძა დათესილი იყო 21.418 ჰექტარზე—გეგმა შესრულებული იყო 5 პროცენტის გადაჭარბებით. შაქრის ჭარხალი დათესილი იყო 261 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 18,7 პროცენტის გადაჭარბებით. არახისი დათესილი იყო 190 ჰექტარზე, რაც გეგმის 21,1 პროცენტს შეადგენს. **არახის თესვა შეფერხებულია სათესლე მასალის უქონლობით.** მზესუმზირა დათესილია 3.186 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 119 პროცენტის გადაჭარბებით.

კარტოფილით დათესილია 9.540 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 1,9 პროცენტის **გადაჭარბებით**; ლობიო—6294 ჰექტარი ანუ გეგმის 121 პროც.; ბოსტანი გაშენებულია 9.877 ჰექტარზე, რაც გეგმის 91,8 პროცენტს შეადგენს; საკვები ბალახით დათესილია 7505 ჰექტარი, ანუ გეგმის 61,6 პროც.

ჩაის პლანტაცია გაშენებული იყო 6.522 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 0,8 პროცენტის გადაჭარბებით; ხილის ბაღი გაშენებული იყო 1.473 ჰექტარზე რაც გეგმის 77,8 პროცენტს უდრის. თუთის პლანტაცია გაშენებული იყო 1308 ჰექტარზე, შესრულებულია გეგმის 82,6 პროც.

მთიან ადგილებზე გრძელდება სიმინდის და თავთავიან ხორბლეულის თესვა. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თესვა დამთავრდა

(სენაკის მაზრა)

მიუხედავად მთელი რიგ ხელის შემშლელი პირობებისა სას.-სამეურნეო საგაზაფხულო თესვის კამპანია მაზრაში ჩატარდა დაკვრითი წესით, პარტიული ორგანიზაციების და მშრომელი გლეხობის ფართო მასების აქტიური მონაწილეობით.

მთელი მოსახლეობა და განსაკუთრებით კოლექტივის წევრები თესვისათვის დარაზმულნი აღმოჩნდნენ (კოლმეურნეობაში გაერთიანებულია გლეხურ-მეურნეობათა 32,8 პროც.)

სასოფლო - სამეურნეო საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებაზე ა.-წ. 31 მაისისათვის გვაქვს შემდეგი უტყუარი ცნობები.

კოლექტივებში გეგმით გათვალისწინებული იყო სიმინდის კულტურის ქვეშ 11,490 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 12,320 ან 107,2 პროც.-ტი, სოია გეგმით 2,300 ჰექტარი ფაქტიურად შესრულებულია 3,610 ან 157,0 პროც.-ტი, ჩაი გეგმით გათვალისწინებული იყო 301 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 377—ან 125,2 პროცენტი.

ინდივიდუალურ მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული იყო სიმინდის კულტურის ქვეშ 42,980 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 43,240 — ან 101,0 პროც.-ტი, ლობიო გეგმით გათვალისწინებული იყო 106 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 162 — ან 128,6 პროც.-ტი, სოია გეგმით გათვალისწინებული იყო 1030 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 1700— ან 165,0 პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული იყო კენაფის კულტურის ქვეშ 250 ჰექტარის დათესვა, ფაქტიურად შესრულებულია 156 — ან 62,0 პროც.-ტი, თუთა გეგმით გათვალისწინებული იყო 30 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 105 — ან 350,0 პროცენტი, ხილის ბაღი გეგმით გათვალისწინებული იყო სიმინდის კულტურის ქვეშ რულებულია 20 ჰექტარი—ან 100 პროცენტი.

ყველა სექტორებში გეგმით გათვალისწინებული იყო სიმინდის კულტურის ქვეშ 54,470 ჰექტარი მიწა, ფაქტიურად დათესილია 55,580 ჰექტარი —ან 102,1 პროცენტი, ლობიო გეგმით 180 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 180 — ან 100 პროცენტი, კენაფი გეგმით 500 ჰექტარი, შესრულებულია ფაქტიურად 380 — ან 76,0 პროცენტი, სოია გეგმით 3,330 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 5,405 — ან 164,0 პროცენტი, ხილის ბაღი გეგმით 20 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 28 — ან 140,0 პროცენტი, თუთა გეგმით 140 ჰექტარი, ფაქტიურად შესრულებულია 140 — ან 100 პროცენტი.

ზემოდ აღნიშნული ცნობები მოწმობს, რომ სას. სამ. საგაზაფხულო თესვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მეურნეობებში. თესვა უკვე ყველგან დამთავრებულია. ამჟამად მაზრის ყველა სოფლებში მიმდინარეობს სიმინდის მარგვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაზრის პარტო-ორგანიზაციას და ხელისუფლებას თესვის კამპანიის უკეთ ჩატარების საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა კომკავშირის ორგანიზაციამ. ა.-წ. 27 მაისიდან კომკავშირის სამაზრკომმა პარტიის ხელმძღვანელობით ჩაატარა დამკვრელი კვირეული თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოეწყო შაბათობები; დათესილ იქნა ჭირის ობლების, ღარიბ გლეხობის და წითელარმიელთა ოჯახის საყანე მიწები; აგრეთვე დამუშავებული იქნა ისეთი ყამირი მიწები, რომლებიც რამოდენიმე წლების განმავლობაში გამოუყენებლად და უქმად იყო მიტოვებული.

თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ანტისაბჭოთა ელემენტები **კულაკები, მენშევიკები** და ყველა მათი დამქაშები ყოველმხრივ შეეცადნენ თესვის გეგმის ჩაშლას, როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში, ისინი ცდილობდნენ თითო-ოროლა გლეხი შეეცდინათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, გლეხობა მათ ჭორებს არ აყვა და მათ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ამჟამად მაზრის ყველა კუთხიდან გაიგონება მშრომელთა კმაყოფილება თესვის ასე წარმატებით ჩატარების და პარტიისა და ხელისუფლების უსაზღვრო დახმარებისათვის.

ეს მდგომარეობა იმას მოწმობს, რომ სენაკის მაზრის პარტორგანიზაციამ პარტიის უმაღლეს ორგანოების ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად ჩაატარა სას.-სამეურნეო საგაზაფხულო თესვა.

ბ. მირცხულავა.

ა.-კ. რკინისგზა ეხმარება კოლექტივებს

რკინისგზელთა პროფკავშირის ამ.-კავკასიის საგზაო კომიტეტს თავის შეფობის ქვეშ აყვანილი ჰყავს სამი კოლექტიური მეურნეობა: კულაშის (სამტრედიის რაიონში), ნავაგალაში (განჯის რაიონი) და პატარა კარაკლისში (სომხეთი).

ეს კოლექტივები საჭიროებენ ფინანსიურ დახმარებას და ამის გამო მათ მიმართეს თავის შეფს ფინანსიური დახმარების გაწევის შესახებ.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა ეს საკითხი განიხილა თავის უკანასკნელ სხდომაზე და დაადგინა, რომ თითეულ ზემოდ დასახელებულ კოლექტივს მიეცეს დახმარების სახით ორი ათასი მანეთი. ამგვარად სამივე კოლექტივს ეძლევა 6.000 მანეთი.

ამასთანავე საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ამ კოლექტივებისათვის რეგულიარული დახმარების გაწევა, მათთვის საჭირო სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის მიწოდების საქმეში.

„ორგსტროი" არ ასრულებს კოლექტივების დაკვეთებს

კოლმეურნეობების წარმატების ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს არსებულ კოლმეურნეობებში ანგარიშ-წარმოების სათანადო დონეზე დაყენება.

ეს გარემოება ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული ცენტრალურ სადირექტივო ორგანოებს, რომლებმაც ჯერ კიდევ გასულ ზამთარში დაავალეს საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაჩქარებით შეემუშავებინა კოლმეურნეობათათვის ანგარიშ-წარმოების მთლიანი სისტემა, რომლებიც საშუალებას მისცემს კოლექტივებს სათანადო სიმაღლეზე დააყენონ ანგარიშ-წარმოების და აღრიცხვის საქმე.

მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ აპრილის დამლევს დაამთავრა კოლმეურნეობათა ანგარიშ-წარმოების ფორმების და წიგნების შედგენა. რომ კავშირში შემავალ ყველა ნაც. რესპუბლიკებს გაადვილებოდათ ეს საქმე, კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრმა მიზანშეწონილად სცნო თვითეულ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცენტრს ადგილზევე გამოეცა ეს ფორმები და დავთრები.

ამ განკარგულების თანახმად საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი 30 აპრილს შეუთანხმდა ამიერ-კავკ. „ორგ-სტროი"-ს, ამ წიგნების 2.000 კომპლექტის გამოცემის შესახებ. გარიგებისას „ორგ-სტროი"-ს კოლმეურნეობათა ცენტრიდან არავითარი გარანტია არ მოუთხოვია წიგნების რეალიზაციისათვის. გავიდა ერთი თვე და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა „ორგ-სტროი"-მ, რომ მას უგარანტიოდ არ შეუძლია დაიწყოს ამ წიგნების დამზადება.

ამრიგად „ორგ-სტროი"-მ მთელი თვის განმავლობაში თითიც კი არ გაანძრია მიღებულ შეკვეთის შესასრულებლად; იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ კოლმეურნეობებში ეხლა უკვე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და მათი სამეურნეო წლის სათანადოთ დაბოლოვება აუცილებლად მოითხოვს კოლმეურნეობის თვითეული წევრის ყოველდღიური შრომის ზედმიწევნით აღრიცხვას, რომლის წარმოებაც აშ წიგნებისა და ფორმების გარეშე შეუძლებელია. განა მას თავიდანვე არ შეეძლო წაეყენებია კოლმეურნეობათა ცენტრისათვის თავისი მოთხოვნილებები? ეს რომ ასე მომხდარიყო, თუ კოლმეურნეობათა ცენტრი ვერ მოურიგდებოდა „ორგ-სტროი"-ს მაშინ იგი სხვა გზას გამონახავდა დაკვეთის შესასრულებლად.

ჩვენი აზრით „ორგ-სტროი" უნდა ვაიძულოთ დაჩქარებით შეასრულოს კოლმეურნეობათა ცენტრის შეკვეთა. გარდა ამისა მას პასუხი უნდა აგოს საქმის ასეთი გაჭიანურებისათვის, რამაც დიდად შეაფერხა კოლექტივებში ანგარიშწარმოების და შრომის ორგანიზაციის მოგვარების საქმე.

ნ.—ძე.

ჯურუყვეთის კოლექტივი

(გურია)

ლანჩხუთის რაიონში ჯურუყვეთის თემი ყველა თემებზე ჩამორჩენილად ითვლებოდა; აქ კოლექტივიზაციის დარგში პირველი ორი თვის მუშაობა საგრძნობლად სუსტი იყო და ლანჩხუთის ამხანაგებს, ამ თემის კოლექტივიზაციის დარგში ჩამორჩენილობა სერიოზულად აღელვებდა.

გავიდა მძიმე მუშაობის ორი თვე. ჯურუყვეთის კულტურული ძალები და მთელი ახალგაზრდობა უფრო ფართოდ ჩაება კოლექტივიზაციის საქმეში. ადგილობრივი ძალებიდან შერჩეულ იქნა უკეთესი ხელმძღვანელობა. სას.-სამეურნეო კოლექტივთან ჩამოყალიბდა (ორგანიზაციული, ფინანსიური და კულტ-ყოფაცხოვრების) სექციები. კოლექტივიზაციის საკითხი გადაიქცა მასიურ საყურადღებო საკითხად.

უკეთესი ხელმძღვანელობით მთელი მშრომელი მასა მეტი ინტერესით ჩაება სას.-სამ. არტელის მუშაობაში. გამგეობამ ოცეულებში შეარჩია ცალკე ხელმძღვანელები. (ხელმძღვანელი, ანუ ბრიგადირი ორი თანაშემწით: პირველი—შრომის აღმრიცხველი — „ტაბელჩიკი", მეორე—მუშაობის, იარაღებისა და მუშა-საქონლის სწორი დატვირთვის და კვების მეთვალყურე).

ამ პირობებში ბრიგადირს მეტი საშუალება ეძლევა უკეთ უხელმძღვანელოს თავის ბრიგადას, შეაჯიბროს, გააძლიეროს და ჩააბას ისინი სოცშეჯიბრში (რასაც ლანჩხუთის თემებში უკვე ფართო ხასიათი ეძლევა). ბრიგადირი და მისი ორივე თანაშემწე მუშაობენ ისევე, როგორც არტელის დანარჩენი წევრები.

ჯურუყვეთის ლენინის სას.-სამ. არტელმა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მოაწყო და გააფართოვა სამჭედლო, სასადილო, ფურნე და საპარიკმახერო. აგო 700—800 კაცის დამტევი ახალი კლუბი, გაიყვანა ახალი ხიდი, შეაკეთა გზები და ბოგები; გახსნა ორი ახალი სამკითხველო, სადაც მოწყობილია სპეციალურად „კოლექტივიზაციის კუთხე". შემოდგომაზე დაიწყებენ საერთო ბოსლების და აბანოს აგებას.

სექციებისა და სარევიზიო კომისიის წევრები მუშაობაში ფრიად სერიოზულსა და საქმიან მონაწილეობას იღებენ. ამიტომაც სამეურნეო გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. **დამუშავებულია 116 ჰექტარი ხაჩიე მიწა, მოხნულია და დათესილია 1.085 ჰექტარი მიწა (სიმინდი); გეგმით კი გათვალისწინებული იყო 900 ჰექტარის მოხვნა.**

აღნიშნული არტელის გამგეობას თავის მუშაობაში უახლოეს ამოცანათ აქვს დასახული შემდეგი: ბრიგადების და სექციების მუშაობის კიდევ უფრო მეტი გამოცოცხლება—უკანასკნელთა მუშაობაზე გამგეობის წევრების მიმაგრებით; ბრძოლა მუშა-ხელის, საქონლის და სას.-სამ. იარაღ-მანქანების გაცდენასთან; კულტურული მუშაობის გაძლიერება და სხვა.

დღემდე ჩატარებული მუშაობა ამტკიცებს, რომ ჯურუყვეთის სას.-სამ. არტელი სამაგალითო კოლექტივად დარჩება და იგი მისაბაძი გახდება მეზობელი სოფლების გლეხობისათვის.

ცენტრალური ორგანოების მხრივ მეტი სამეურნეო და ორგანიზაციული დახმარება ესაჭიროება ამ კოლექტივს.

სიმ. ჟიჟინაძე.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საკ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

ხვნა და თესვა

სოხუმი, 3 ივნისი. ხვნა ყველგან თავდება. ხვნა დამთავრდა გუდაუთის, სოხუმის და გალის მაზრებში. სიმინდის მასიური თესვა დაიწყო 10 მაისიდან. 25 მაისისათვის დათესილი იყო მთელი ფართობის 60-80 პროცენტი. წინ მიდის სოხუმის მაზრა.

თესვა ფერხდება წვიმების გამო მაისის პირველ და განსაკუთრებით მეორე დეკადაში. (ადს).

თამბაქოს დარგვა

სოხუმი, 3 ივნისი. დაიწყო თამბაქოს დარგვა. დარგულია გეგმით გათვალისწინებულ ფართობის 10-დან 20 პროცენტამდე. თამბაქოს გადარგვის დაგვიანება გამოწვეული იყო სანერგეების გვიან გაშენებით, მაისის განმავლობაში ცივი ამინდით, წვიმების ნაკლებობით და მუშა-ხელის ნაკლებობით. მუშა-ხელის საკითხი ძალიან მწვავედ სდგას. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობა

სოხუმი, 3 ივნისი. სასოფლო - სამეურნეო კულტურების მდგომარეობა აფხაზეთში ნიშნების მიხედვით ასე განისაზღვრება: გაზაფხულის პური 3,5, გაზაფხულის ჭვავი 3,8, სიმინდი 3,8 ლობიო 3,6 თამბაქო 3,6, ბამბა 3,8, ბაღები 3,6; ჩაი 3,8, ბოსტნები 3,5, კარტოფილი 3,5. ვენახები ფილოქსერისაგან დაზიანდა. (ადს).

ბაღ-ბოსტნეული კულტურების კონტრაქტაცია

სოხუმი, 3 ივნისი. ბაღ-ბოსტნეული კულტურების კონტრაქტაციის გეგმის შესრულება თავდება. ბოსტნეულ კულტურებზე გეგმას უკვე გადააჭარბეს 28 პროცენტით. გრძელდება სიმინდის, სოიას, არახისის და ბაღების კონტრაქტაცია. სულ დაკონტრაქტებულია 13.930 ჰექტარი ანუ გეგმის 97 პროცენტი.

ქართული წითელი ჯარი ბანაკად

ახალწვეულთა სამოსწავლო შეკრება წარმატებით მიმდინარეობს

სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით განვამტკიცოთ წითელი ჯარის ბრძოლის უნარიანობა

ერთი დღე ავჭალის ბანაკში

კარავთა ქალაქი

1929 წლამდე ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიას არა ჰქონდა საკუთარი ბანაკი. საერთო და სამთვიან სამოსწავლო შეკრებებს დივიზია ატარებდა სხვა დივიზიების ბანაკებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა დივიზიის საბრძოლო მომზადებაზე. დივიზიის სარდლობამ გადაწყვიტა აეგო საკუთარი ბანაკი თბილისის ახლო—ქვემო-ავჭალაში. ეს გადაწყვეტილება საქართველოს მშრომელთა ფართო დახმარებით მალე იქნა მოყვანილი სისრულეში.

ამჟამად ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიას აქვს საკუთარი ბანაკი. იქ, სადაც ამ ორი წლის წინად იყო ტრიალი მინდორი, ეხლა გაშენებულია კარავთა ქალაქი. ბანაკი თანდათან უმჯობესდება: დარგულია რამოდენიმე ათასი ხე, ბანაკს აქვს საკუთარი აბანო, წყალსადენი, ფურნე, ზაჰესიდან გაყვანილია ელექტრო-ენერგია.

ახალწვეულნი შეკრებაზე

ამჟამად ავჭალის ბანაკში მიმდინარეობს 1907 წელში დაბადებულ ახალწვეულ ცვალებად წითელარმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება, რომელიც დაიწყო 1-ლ მაისს და გასტანს 1-ლ აგვისტომდე.

ახალწვეულებს პირველად უძნელდებათ ცხოვრება საბანაკო პირობებში. ზოგიერთი ამხანაგისათვის პირველ ხანებში ძნელი იყო ცხოვრება ბანაკად, მით უმეტეს, რომ შეკრების პირველ დღეებში ამინდი ძალიან ცუდი იყო. ეხლა კი ცვალებადელნი შეეჩვივნენ ბანაკს და თავს საუკეთესოდ გრძნობენ.

როდესაც უახლოვდები ბანაკს, პირველად თვალში გეცემა სისუფთავე. ბანაკი კარგად არის მოვლილი, ყველაფერი თავის რიგზეა, გზები კარგ მდგომარეობაშია. ლამაზად გაფორმებულან ლენინის კარავები და მოედნები. ბანაკის მოწყობაში დიდი როლი ითამაშა სოციალისტურმა შეჯიბრებამ: ასეული ასეულს, ათასეული - ათასეულს და ლეგიონი ლეგიონს ეჯიბრებოდა ბანაკის საუკეთესოდ მოწყობა - გალამაზებაში.

ახალწვეულნი დაუზარებლივ უვლიან ბანაკს, რგავენ მცენარეებს, გვიან და ასუფთავებენ არე-მარეს. სისუფთავე და წესრიგი დიდათ უწყობს ხელს მეცადინეობის წარმატებით მსვლელობას.

მთელი ძალღონე საბრძოლო მომზადებას

მთავარი ყურადღება ბანაკად სწავლების დროს მიქცეული აქვს ახალწვეულთა საბრძოლო მომზადებას. შეკრების დამთავრებისას ყოველმა ახალწვეულმა საუკეთესოდ უნდა იცოდეს იარაღის ხმარება და ბრძოლისა და თავდაცვის ხერხები. ყოველი ახალწვეული უნდა იყვეს კარგი და მარჯვე მსროლელი, რომ ტყვია არ ააცდინოს მიზანს. ყველა ეს თხოულობს დიდ ენერგიას და შრომას. ახალწვეულნი ეცნობიან წესდებებს, სასროლო საქმეს, ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ქიმიურ საქმეს, საკმაო დრო აქვს დათმობილი ფიზიკურ და სამწყობრო მომზადებას. არ არის დავიწყებული აგრეთვე ბრძოლის სხვადასხვა ტეხნიკური საშუალებები.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

„ჩვენს წინაშე შეკრების დროს სდგას ფრიად რთული ამოცანები. — ამბობს დივიზიის მეთაური ამხ. გიორგაძე, — ამ ამოცანებს ჩვენ წარმატებით შევასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ გამოვიყენებთ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდებს".

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდ არის გაშლილი ბანაკად. აი ფაქტები:

№ ქართ. მსრ. ლეგიონი. ცალკე მებრძოლები იწვევენ ერთი-მეორეს სოც. შეჯიბრებაში. შეჯიბრების პირობებია: სისუფთავის დაცვა, დისციპლინის განმტკიცება, სროლის საუკეთესოდ შესწავლა, ტყვიამფრქვევის გაცნობა და სხვ.

არმიელმა ხუბულურმა გამოიწვია შეჯიბრებაში თავისი ამხანაგი კორტაშვილი. თუ ვინ უფრო საუკეთესოდ შეითვისებდა ხელის ყუმბარის ტყორცნას. ეხლა ხუბულური ისვრის ყუმბარას 51 მეტრის მანძილზე. კორტაშვილი კი—40 მეტრის მანძილზე.

მესამე ათასეულმა გამოიწვია შეჯიბრებაში მეორე ათასეული, შეჯიბრების პირობებში შედის სისუფთავის დაცვა, იარაღის მოვლა-პატრონობა, იარაღის შესწავლა, სროლა ტყვიამფრქვევიდან, დისციპლინის განმტკიცება. ორივე ათასეულის არმიელები გაცხოველებით მუშაობენ, რათა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

№ ქართ. საარტ. ლეგიონი. ლეგიონის ყველა ბატარეები ჩაბმულნი არიან სოცშეჯიბრებაში. შეჯიბრების პირობები უმთავრესად ითვალისწინებენ ზარბაზნების სროლის სწრაფად შესწავლას, ცხენების სწრაფად შეკაზმვას და მათ გაბმას ზარბაზნებში. უნდა ითქვას, რომ სოცშეჯიბრებამ დიდათ შეუწყო ხელი წითელი არტილერისტების მომზადებას. წესდების ძალით, ცხენების შეკაზმვას და მათ გაბმას ზარბაზანში უნდა მოხმარდეს 12 წუთი. ამ საქმეს 1-ლი ბატარეია ასრულებს 11 წუთში. მე-2—10 წუთში, მესამე 11 წუთსა და 37 წამში. ასეთივე მიღწევები აქვთ არტილერისტებს სწავლების სხვა დარგებშიც.



ახალწვეულნი შეკრებაზე.—პოლიტმეცადინეობა ახალწვეულებთან. ქვევით—სამოსწავლო სროლა მაზანა თოფიდან

არ შეიძლება ითქვას, რომ დამკვრელობა და სოცშეჯიბრება მიმდინარეობდეს უნაკლოდ. აქაც მრავალი უარყოფითი მოვლენაა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ასეულებში ყურადღება არ ექცევა დამკვრელობის და შეჯიბრების შედეგების შემოწმებას. ბოლო დროს აშკარავდება ცრუდამკვრელობის შემთხვევებიც. ამის გარდა არის ისეთი მოვლენაც: საარტლეგიონის ერთ-ერთ ბატარეის არმიელები ეწევიან თავის-თავის მოტყუებას, რათა გამარჯვებულნი გამოვიდნენ შეჯიბრებაში, არმიელები იღვიძებენ ერთი საათით ადრე, იცვამენ ტანისამოსს და ელოდებიან გაღვიძების ნიშანს, რომ პირველები ჩამწკრივდნენ ხაზზე, არიან ისეთი არმიელებიც, რომლებიც იძინებენ ტანისამოსში, რათა დილით არ მოუხდეთ ტანისამოსის ჩაცმა.

რას მოწმობენ ეს ფაქტები? იმას, რომ ხელმძღვანელები ყოველთვის არ უმარტავენ არმიელებს სოცშეჯიბრების ნამდვილ მნიშვნელობას, მის აზრს და რაობას. იმ შემთხვევაში, როდესაც არმიელებს ექნებათ სწორი წარმოდგენა სოცშეჯიბრებაზე, თავისთავად მოისპობა ზემოდ მოყვანილი შემთხვევები.

პარტ-პოლიტ მუშაობა

დივიზიის და ნაწილების პარტაპარატის მთელი გულისყური მიპყრობილია იქითკენ, რომ ხელი შეუწყონ საბრძოლო მომზადების წარმატებით მსვლელობას. პარტუჯრედი თვით ეცნობა საბრძოლო მომზადების გეგმას და შემდეგ იღებს ზომებს, რომ ეს გეგმა მიყვანილი იქნეს თვითეულ წითელარმიელამდე. მეცადინეობის ჩატარების შემდეგ უჯრედი იწვევს კრებას, სადაც ირჩევა მეცადინეობა, ირკვევა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყოველ კრებაზე აუცილებელია პარტიულ მეთაურის მოხსენება ჩატარებულ მეცადინეობის შესახებ.

დიდათ უწყობენ ხელს მეცადინეობის მსვლელობას პარტდამხმარე ჯგუფები. კომკავშირიც ჩვეულებრივი ენტუზიაზმით მუშაობს და შეძლების დაგვარად ეხმარება პარტიას.

ეროვნული უმცირესობანი

შეკრებაზე მრავლად არიან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები: სომხები, რუსები, აფხაზები, ოსები, გერმანელები, თურქები და სხვა. ლიტერატურით ყველა ეროვნებები უზრუნველყოფილნი არიან სავსებით. მხოლოდ დივიზიის ნაწილებს არ ჰყავთ მათთვის საკმაოდ მომზადებული ხელმძღვანელები.

ამას წინად ამიერ-კავკ. კომუნისტურმა უნივერსიტეტმა მოავლინა ბანაკად სამუშაოდ სომეხი, თურქი და ოსი კურსანტები. გერმანელი და ბერძენი ცვალებადელები კი მოკლებულნი არიან საშუალებას პოლიტმეცადინეობა გაიარონ თავის საკუთარ ენაზე.

სანიტარული და ვეტერინალური განათლება

ბანაკად სათანადო ყურადღება ექცევა სანიტ. და ვეტერ. განათლებას. დაწესებულია სანიტ. და ვეტ. საათი. რომლის საშუალებით ახალწვეულნი ეცნობიან ჰიგიენას, საქონლის მოვლა-შენახვას.

ქართული წითელი ჯარი ერთად ერთი სკოლაა, სადაც მოქალაქენი საფუძვლიანათ ეცნობიან ვეტერინარიას, რადგან საქართველოში არ არის სავეტერინარო სასწავლებელი. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართულ წითელ ჯარში სავეტერინარო საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიას არ აქვს ვეტერინარული ლაზარეთი, მისი მოწყობა კი აუცილებელია.

იმედია, რომ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო სამმართველო მიაქცევს ყურადღებას ამ მდგომარეობას და გაუწევს დახმარებას დივიზიას ლაზარეთის მოწყობაში.

კადრები სოფლისათვის

დივიზია სწავლების პროცესში ამზადებს კადრებს სოფლად სამუშაოდ.

დივიზიის სხვადასხვა ნაწილებში მზადდება: 120 მემინდვრე, 115 მოანგარიშე კოლმეურნეობებისათვის, 50 მეთამბაქოე, 25 ჩაის საქმის მცოდნე. 45 მეაბრეშუმე და 170 ხელმძღვანელი კოლმეურნეობებისათვის.

ამის გარდა დივიზიამ მოამზადა 134 ტრაქტორისტი, რომლებმაც საუკეთესოდ შეისწავლეს ტრაქტორის მართვა.

კოოპერაცია ბანაკად

მუშკოოპმა. რომელზედაც გადავიდა სამხედრო კოოპერაციის ფუნქციები, ვერ შესძლო შეექმნა მოქნილი აპარატი საბანაკო პირობებში სამუშაოდ.

თბილისის საწყობებში დამზადებულია ბანაკისათვის ყველი, ერბო, ქუდები და ფართალი. ტრანსპორტის უქონლობის გამო მუშკოოპმა ვერ შესძლო მათი გადაზიდვა ბანაკად.

ბანაკად საჭიროა სანდლები, ბურთები და სხვა სასპორტო ნივთები. მუშკოოპმა ვერ გაითვალისწინა დროზე ის გარემოება, რომ ზაფხული საუკეთესო დროა სპორტისათვის და არ მოამარაგა ბანაკის კოოპერატივი სასპორტო ნივთებით.

წითელარმიელები ჩივიან. რომ კოოპერატივში არ არის იაფი ხელის საპონი.

აი ერთი შემთხვევა, რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს ზოგიერთი კოოპერატორის დაუდევრობას: მეთაურებისათვის საჭირო იყო თეთრი ხალათები. მუშკოოპმა შეკერა ეს ხალათები და გაგზავნა ბანაკად. გამოირკვა, რომ ხალათები გამოუსადეგარია მეთაურთათვის, რადგან მუშკოოპს შეუკერია ისინი არა სამხედრო უწყების მოთხოვნილების წესით.

მუშკოოპმა დღევანდლამდე ვერ მოაწესრიგა ბანაკისათვის ბოსტნეულის მიწოდების საქმე. საჭიროა მუშკოოპმა მეტი ყურადღება მიაქციოს ბანაკად გასულ წითელ ჯარს. პირველ რიგში კი მან უნდა შეითვისოს სალაშქრო პირობებში მუშაობის წესები და გამოიჩინოს მეტი მოქნილობა.

ბ. ხუციშვილი.

ვისწავლოთ კარგათ სროლა

განვავითაროთ ბანაკად სასროლო სპორტი

2 ივნისი დიდხანს დარჩება ცვალებად წითელარმიელთა ხსოვნაში. ამ დღეს ავჭალის ბანაკს ესტუმრა წითელარმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხ. ს. კამენევი, რომლის მეთვალყურეობით ჩატარებული იქნა სროლა.

სროლამ გამოარკვია, რომ ცვალებადელები და მეთაურებიც მოისუსტებენ სროლაში. სროლის დროს ყოველთვის არ არის დაცული ის მოთხოვნილებები. რომლებსაც უყენებს ყოველ არმიელს სროლის ახალი წესდება.

ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ თვითეულ მსროლელს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ის მიზანი, სადაც იგი გზავნის ტყვიას. ამასთანავე არმიელმა სროლის დამთავრების შემდეგ უნდა გამოარკვიოს. თუ რაში მდგომარეობდა მის მიერ დაშვებული შეცდომები.

მთავარი, რასაც მიაქცია ყურადღება ამხ. კამენევმა, არის ის, რომ ბანაკად არ არის განვითარებული სასროლო სპორტი. სასროლო სპორტი მთავარი საშუალებაა სროლის საუკეთესოდ შესასწავლად. ამიტომ საჭიროა, რომ სანამ ჯერ გვიან არ არის, ფართოდ გავშალოთ ბანაკად სასროლო სპორტი. ამის შესაძლებლობა ბანაკად არის. ყოველ ნაწილს საკმაოდ მოეპოება იარაღი და ხელსაწყოები სასროლო სპორტის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სასროლო სპორტის საშუალებით ჩვენ შევძლებთ იმ შეცდომების სწრაფად გამოსწორებას, რომლებზედაც მიგვითითა ამხ. კამენევმა.

მეთაური.



ავჭალის ბანაკი.—დივიზიის კლუბის ახალი შენობა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. არ. მიქელაძის წერილში „საქართველოს ანდეზიტი" შეცდომით სწერია: „საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ... ანდეზიტის დამუშავების საქმე არ გადასცა ამიერ-კავკასიის სამთო-ქიმიურ ტრესტს", უნდა იყოს: „...საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ანდეზიტის დამუშავების საქმე გადასცა ამიერ-კავკასიის სამთო-ქიმიურ ტრესტს"...

მეცნიერება და ტეხნიკა

საქონლის დამჟავებული საკვები ანუ სილოსი

საქართველოს მოსახლეობა მუდამ განიცდის საქონლის საკვების ნაკლებობას. მთელი ზამთარი, თუ თოვლი არ ძევს მიწაზე, ჩვენი საქონელი საძოვრად მინდორში და ტყეში დაეხეტიალობს, უმთავრეს საკვებ მასალას შეადგენს ბზე (აღმოსავლეთ საქართველოში) და სიმინდის ჩალა (დასავლეთ საქართველოში), იშვიათ შემთხვევაში კი ცოტა თივაც. ამ საკვების მარაგიც ისე მცირეა, რომ ხანგრძლივ და დიდ თოვლიან ზამთარში ის აღარ ყოფნის საქონელს და ბევრი იხოცება, რაც კი ზამთარს გადაურჩება, ისიც ისე ჯანგამოლეული და დასუსტებულია, რომ ჯოხით ასაყენებელი ხდება. მესაქონლეობის განსავითარებლად საჭიროა ნოყიერი და იაფი საკვების შემოღება.

ერთი იაფი და ნოყიერი საკვებთაგანია დამჟავებული ანუ სილოსად შენახული საკვები.

სიტყვა სილოსი იაპონურია და ძველ დროში ნიშნავდა მოცულობის ზომას, შემდეგ ხორბლეული პურის შესანახ ორმოს, რომელიც თავის მოცულობით უახლოვდებოდა ამ ზომას; ამ ორმოებს აკეთებდნენ მშრალ თიხნარ ხავდაგზე და აძლევდენ ქვევრის ფორმას, ძირი ჰქონდა ამობერილი, ამოზნექილი, გვერდებს საჭიროებისამებრ გამოწვავდენ ან ამოაშენებდენ ქვით. შემდეგში მე-19 საუკუნის დასაწყისში, სილოსი ეწოდება იმ ადგილს, სადაც ინახებოდა წყლიანი საკვები, რომელიც დადუღების (დაშუშების) საშუალებით განიცდის სხვადასხვა ცვალებადობას და თვით წესმა საკვების ამნაირი შენახვისა, მიიღო სახელი—საკვების დამჟავება ან სილოსად შენახვა.

საკვების დამჟავებას პირველ ყოვლისა ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ საშუალებით შეიძლება შევინახოთ იმნაირი საკვები მასალები, რომელნიც გასახმობად თხოულობენ სითბოს დიდ რაოდენობას, მეორე—ისეთი საკვები, როგორიცაა ბალახი, იძლევა საშუალებას, შევინახოთ იგი ამინდის მდგომარეობის დამოუკიდებლად, დაბოლოს მესამე—დამჟავება ამცირებს საქონლის საკვების მოწევის და შენახვის ხარჯებს და ნებას აძლევს უხეში ბალახ-ბულახი, ჭაობის მცენარეულობა, კარტოფილის ალერდი ვაქციოთ ნოყიერ და გემრიელ საკვებად. უმეტეს შემთხვევაში საკვების დანაკლისი დამჟავების დროს უფრო ნაკლებია, ვიდრე მის გახმობის დროს.

დასამჟავებელ საკვებში სწარმოებს და უნდა სწარმოებდეს დუღილი, ჩვენ არა უნდა შევაჩეროთ, არამედ ხელი უნდა შეუწყოთ მას. სილოსში შეიძლება შემდეგი თვისების დუღილი: სპირტის, ძმარის, რძის, ზეთის და შემდეგ ლორწის და სიდამპლის. ამ დუღილის გამომწვევი ბაქტერიები ყოველთვის ჩადიან სილოსში საკვებთან ერთად და სილოსის მათგან, დაფარვა ჩვენ არ შეგვიძლია. დუღილების ყველა ამ სახეებიდან საკვების შესანახად უფრო სასარგებლოა მარტო ერთი—რძე მჟავის დუღილი. ამასთან წარმოშობილი რძის მჟავა, კარგათ ინახავს საკვებს და ყველანაირ მიკროორგანიზმებისათვის წარმოადგენს საწამლავს და ამავე დროს საქონლისათვის არა თუ არ არის მაწყინარი, არამედ საკვებს აძლევს კარგ გემოს, თავისუფალი რძის მჟავას არ შეუძლია გაჩერდეს დუღილის დროს 1 პროც.-ზე მეტი, ვინაიდან ეს რაოდენობა საწამლავია რძის მჟავას გამომწვევ ბაქტერიებისათვის. ამნაირად რძის მჟავა აჩერებს დანარჩენი სახის დუღილის პროცესებს და ამავე დროს მას არ შეუძლია წარმოშვას 1 პროც. მეტი და ეს რაოდენობა კი საქონლისათვის არ არის მავნებელი.

უკვე გამოკვლეული და ცნობილია, რომ თითეული სახის დუღილისათვის არსებობს განსაზღვრული ტემპერატურა. ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურა რძე-მჟავა დუღილისათვის არის 40—50 გრად. (ცელსიუსით). სხვა დანარჩენი სიმჟავეების დუღილისათვის კი—20—35 გრად.

გარდა ტემპერატურული პირობისა, დუღილისათვის მნიშვნელობა აქვს ჰაერს: ზოგს ეჭირვება ჰაერი და ზოგს კი სრულებით არა. რძე-მჟავა დუღილისათვის საჭიროა ჰაერი, მაგრამ უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე ძმარის დუღილისათვის, აქ ჰაერი საჭიროა რძე-მჟავა ბაქტერიების სიცოცხლისათვის და არა რძის-მჟავის წარმოსაშობად, როგორც ეს ხდება ძმარის სიმჟავისათვის,

ამნაირად ჩვენ ხელთა გვაქვს საშუალება სილოსისათვის იმნაირი პირობების შექმნისა, რომ მასში მოხდეს რძე-მჟავას დუღილი.

სილოსში ტემპერატურის სიმაღლე დამოკიდებულია საკვების მასის მკვრივად ჩაწყობაზე და საკვებში წყლის არსებობაზე. მხოლოდ საკვების საკმაოდ მკვრივად დატკეპნისა და მასში საკმაო სინესტის გამო ხდება მისი მეტად შეხურება.

წყლის ზედმეტობა მავნებელია საკვების დამჟავებისათვის; წყალი იკავებს საკვების შუაცარიელ ადგილებს და დენის იქიდან ჰაერს, რომელიც საჭიროა რძე-მჟავას დუღილისათვის სითბო, რომელიც სილოსში ჩნდება ნელდება წყალში და წყლიან სილოსში ტემპერატურა არასოდეს არ აიწევს ჩვენთვის საჭირო დონემდე, და მერყეობს 25—30 გრად. ცელს. შუა, ესე იგი ისეთი ტემპერატურის ფარგლებში, რომელიც ხელსაყრელია ძმარის, ზეთის და ლორწის მჟავის დუღილისათვის.

რაც შეეხება საჭირო წნევას, ის უდრის დაახლოვებით 11-14 ფუთს დასამჟავებელ საკვების ერთ კვადრატულ არშინზე.

ყველაზე უფრო ხელსაყრელი სინესტე დასამჟავებელ საკვებისათვის არის 60 პროც. წყალი. თუ წყალი 50 პროც.-ზე ნაკლებია, საკვები დამჟავების დროს უნდა შესველდეს და თუ წყალი 60—70 და მეტი პროცენტია, იმნაირ წყლიან საკვებს უნდა მიემატოს რამე მშრალი საკვები (ბზე ან კიდევ უკეთესია დაჭრილი ჩალა) ან წინდაწინ ის უნდა შეჭკნეს.

დასამჟავებელ საკვებ მასალად გამოდგება ყოველნაირი ნედლი ბალახი, ხის მწვანე ფოთლებიანი ნორჩი ყლორტები და ძირხვენა მცენარის ნაყოფები.

ეკონომიურად ხელსაყრელია კრახმალის და ჭარხლის შაქრის ნაწარმოების ნარჩენების სილოსად გამოყენება.

შემდეგ მიდის საკვებები, რომელიც ჩვეულებრივი გახმობის წესით არ ხმება, უმთავრესად ფოთოლი, ალერდი და ლერწი სხვადასხვა ძირხვენა მცენარეებისა.

ძალიან კარგია დასამჟავებლად კარტოფილის ალერდი, მაგრამ ეს უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება, რადგან კარტოფილის ამოღების დროს ის უკვე გამხმარია და დამჟავებული კარგ შედეგებს არ იძლევა. მწვანედ ფოთლის ადრე მოკრეფა კი არას შემთხვევაში არ შეიძლება, ვინაიდან ამით კარტოფილის მოსავალი ძლიერ კლებულობს, (სამი კვირით ადრე მოსავლის აღებამდე შეიძლება დააკლოს 50 პროც.) და კრახმალის რაოდენობაც გორგლაში მეტად ეცემა. საკვების ნაკლებობის დროს, მაინც ხელსაყრელია კარტოფილის ალერდი აიჭრას და დამჟავდეს, დაახლოვებით ორი კვირის წინ კარტოფილის ამოღებამდე. ნედლი კარტოფილის ალერდი შხამიანია და საქონელი არ ეტანება, დამჟავებული კი უვნებელია და საქონელიც ხალისად სჭამს,

სხვა ძირხვენას ფოთლები, რომელიც მეურნეობაში ცოტა რაოდენობით ითესება, მაგალითად, მიწის ვაშლი, სტაფილო, თალგამი, ვარდ-კაჭკაჭა და სხვა, როცა ცოტაა და სილოსს ვერ აავსებს, უნდა შეერიოს სხვა დასამჟავებელ საკვებს. კარგია აგრეთვე სხვა საკვებს შეერიოს. კარგია აგრეთვე სხ. საკვებს შეერიოს კომბოსტოს ფოთოლი და ღერი, სხვადასხვა ბოსტნეული (პამიდორი, პარკოვანი მცენარეები და სხვა).

შემდეგ მიდის საკვები, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეიძლება გახმეს თივად, მაგრამ ხანდახან უფრო ხელსაყრელია მათი დამჟავება. ამნაირ საკვებს ეკუთვნის ჯიქურა (სორგო), როგორც საშაქრე, ისე ჩვეულებრივი საცოცხე (ახაზარულა), ღომი, ლელი, ლერწამი; მერმე უხეში სარეველა ბალახები, მათ შორის ხარი, ფშალა, ხის ფოთოლი და ვაზის ფოთოლი, ხის ვაზის ფოთლის შესახებ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ კარგ შედეგს იძლევა ნედლი მწვანედ შეკრებილი, ხმელი ჩამოცვენილი ფოთლის დამჟავება არ არის ხელსაყრელი ნაკლებ ნოყიერი მასალის მიღების გამო.

თუ მზესუმზირა ბლომად ითესება, ხელსაყრელია მისი ქუდების გარჩევის შემდეგ დამჟავება.

ამგვარ დასამჟავებელ საკვებს ეკუთვნის სიმინდიც (ღეროები), მისგან დასილოსებული საკვები საუკეთესო გამოდის მწვანე ანუ მწვანე მოყვითალოფერისა, მეტად ნაზი და წყლიანი სასიამოვნო სურნელოვანი. ამ საკვებს საქონელი არ თუ ხალისით, არამედ ხარბად ეტანება.

დაბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელსაყრელია დამჟავება იმნაირი საკვებისაც, როგორიც ჩვეულებრივი სათიბის **ბალახები: იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, სოია.** ჩვეულებრივი სათიბის ბალახების დამჟავება ხელსაყრელია ცუდი ამინდის დროს, როცა თივად გახმობა შეუძლებელი ხდება, სამყურას, იონჯას, ესპარცეტს და სოიას ამჟავებენ, რომ თავიდან აიცილონ ნოყიერი მასალის ის დიდი დანაკლისი (თითქმის 50 პროც.), რომელსაც ყოველთვის აქვს ადგილი მათი თივად გახმობის დროს, ფოთლების ერთი მეორეზე ხახუნის გამო.

რაც შეეხება თვით ძირხვენებს, ისინი უნდა დამჟავდეს, როცა დაავადებული არიან რომელიმე ავადმყოფობით ნედლად ან მოხარშული. ნედლად დამჟავება შეიძლება ყინვასაგან დაზრული ჭარხლისა, სტაფილოს, თალგამის, კარტოფილის და აგრეთვე სიდამპლით დაავადებული ჭარხალის, სტაფილოსი—თუ ავადმყოფობა ძალიან შორს არ არის წასული. ორივე შემთხვევაში საკვების ჩვეულებრივი შენახვა სრულებით შეუძლებელია, დამჟავებით კი ის კარგად ინახება და საქონელი ხარბად სჭამს.

კარტოფილის დასილოსება უკეთესია მოხარშული ან დაორთქლილი სახით, კარტოფილის დამჟავებული საკვები საუკეთესო ხარისხის გამოდის ყვითელი ან ცოტათი მწვანე ყვითელი ფერის, ძლიერ სასიამოვნო სუნით.

საკვების დასამჟავებელი ორმო

ყველაზე უფრო ძველი და ადვილი საშუალება საკვების დასამჟავებლად არის ორმო, რომლითაც სარგებლობა შეიძლება მხოლოდ მშრალ ადგილებში; ამისათვის უმჯობესია თიხნარი მიწა, ორმოში წვიმისა და თოვლის ღვარი რომ არ ჩავიდეს, ის უნდა ამოითხაროს მაღლობ ადგილებზე. ორმოს აძლევენ ცილინდრიულ ან მოგრძო ოთხკუთხედ ფორმას, კუთხეები მოგვარებული უნდა ექნეს, რომ საკვები კარგად გაივსოს და ცარიელი ადგილი არ დარჩეს ზედმეტი ჰაერისათვის, რომელიც ხშირად სიდამპლეს იწვევს, ორმო არც ნამეტანი დიდი ვარგა და არც პატარა; როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ყველაზე უკეთესი ზომა სიფართის და სიღრმის არის 3×2 არშინი, სიგრძე კი იმის მიხედვით უნდა მიეცეს, თუ რამდენი დასამჟავებელი მასალა იქნება.

ორმოს გვერდები სწორი და პირდაპირი სჯობია, რომ დასამჟავებელი მასალა კარგად დაიწიოს და მაგრად დაჯდეს. ორმოს ძირი კარგად უნდა მოსწორდეს და მაგრად დაიტკეპნოს. ხშირად ორმოს გვერდებიდან მიწა შევარდება, ეს რომ არ მოხდეს, გვერდებს ცოტათი დაქანებულად უკეთებენ.



ნახ. 1. ბალახის დასამჟავებელი მიწის ორმო.

უმჯობესია ორმოს გვერდები და ძირი აგურით ამოშენდეს და ცემენტით გაილესოს ან პირდაპირ ცემენტის გაკეთდეს. ამნაირ ორმოს გვერდები მიწის პირიდან 1—1 ნახ. არშ. სიმაღლეზე უნდა ამოეყვანოს, წვიმის და თოვლის წყალი რომ არ ჩაუვიდეს. ატმოსფერული ნალექისაგან დასაფარავად კარგია ფარდული გაკეთდეს.

მიწის ამოუკირავ ორმოში საკვებიდან გამოდენილ წვენს ჩვეულებრივ ნიადაგი ისრუტავს, ეს კი ამოკირულ გვერდებიდან ორმოში არ ხდება; აქ წვენი გროვდება ორმოს ფსკერში, რომლის დონე თანდათან ზევით იწევს და საკვების ნაწილების შუა არეს იჭერს, იქიდან ჰაერს დენის და სხვადასხვაგვარი საკვები ნივთიერების დიდ რაოდენობას ხსნის. ამის საწინაღმდეგოდ ორმოს ფსკერს აკეთებენ ცოტათი შუაზე დაქანებულად; იქ მთელ ორმოს სიგრძეზე გაყავთ ცემენტის არხი, რომელიც ზევიდან დახურულია გაფიცული ხის ცხრილით.

ზოგი დამჟავებული მასალა, როგორც იონჯა, სამყურა და სხვა ამგვარი სათიბის ბალახი ისე იწყობა, უფრო უხეში, მაგარ ღეროებიანი კი როგორიც სიმინდი, სორგო და სხვა ამგვარი, უსათუოდ უნდა დაიჭრას წვრილ-წვრილ ნაწილად, ჩალის საჭრელი მანქანით. დაჭრილი მასალის გროვა უნდა დარჩეს ღიად რამოდენიმე ხანს, რომ ცოტა შეჭკნეს და ამის შემდეგ შეიძლება მისი ორმოში ჩაწყობა.

ორმოს ძირში უნდა ჩაიყაროს უფრო მსხვილი ხავრები, აგრეთვე უფრო მშრალი მასალა და ზევით კი უფრო ნედლი, წვნიანი. მასალა იწყობა ფენებად, ფენის სისქე უნდა იქნეს ⅜ მეტრამდე და თითეული ფენა მაგრად უნდა დაიტკეპნოს ფეხით, შემდეგ კი სატკეპნით. ასე უნდა განვაგრძოთ სანამ ორმო არ აივსება.

თითეულ ფენას დატკეპნამდე მარილი უნდა წაეყაროს, ათას ფუთ საკვებ მასალაზე, საკმარისია 1-3 ფუთი ფხვიერი მარილი. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს დასამჟავებელ საკვებისათვის გოგირდნახშირბადის 0,05-0,25 პროც. რაოდენობით მიმატებას; გოგირდნახშირბადის მიმატებით სილოსში არ იკარგება ნოყიერი საკვები მასალა; სილოსად დასამჟავებელი საკვების დუღილის განუყრელი თანამგზავრია ნოყიერი საკვების მასალის დაკარგვა, რომელიც გამოწვეულია დუღილის პროცესით და ნაწილობრივ ობის სოკოს მოქმედებით; ეს უფრო ხშირად ხდება იქ, სადაც სილოსი ცუდათ არის მოწყობილი.

თუმც გოგირდნახშირბადი საწამლავია, მაგრამ ის ისე მცირე რაოდენობით იხმარება, რომ არავითარ ცუდ გავლენას არ ახდენს; ის სილოსის გახსნის დროს, სრულებით ჰქრება. ვინაიდან საკვებს მისი სუნის არავითარი კვალი არ აქვს.

მასალის დასამჟავებლად მჭიდროდ ჩაწყობა კარგი ნაწარმოების მიღების ერთად ერთი პირობაა, ვინაიდან ამის გამო სილოსიდან ზედმეტი ჰაერი იდევნება; ჰაერის სიჭარბე მასალას აფუჭებს. მჭიდროდ ჩალაგებული სილოსი ნოყიერ ნივთიერებას ცოტას კარგავს და დუღილიც წესიერად მიდის.

ავსებული ორმო რამოდენიმე დღის შემდეგ დუღილს გამოიწვევს, ამის მიხედვით მასალა მომეტებული უნდა დაეყაროს თავზე ბევრად წაცილებული.

უბრალო მიწის ორმოს უნდა დაეყაროს ერთი ფენა დაჭრილი ჩალა და შემდეგ მიწა დაეფაროს. მიწის სისქე დამოკიდებულია ასეთი ნიადაგის სიმკვრივეზე, რაც მეტად მკვრივია ნიადაგი, მით სისქე უფრო ნაკლები უნდა, საშუალოდ ნახევარი მეტრი. მიწა უნდა დაეყაროს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. დაწევის გამო თუ ნაპრალები გაჩნდა, უნდა მიწით ამოივსოს, როცა დაწევა მოთავდება და მეტს აღარ დაჯდება, მიწა მთლად უნდა დაეყაროს.

ქვის ან აგურის გვერდებიანი სილოსი სხვანაირად უნდა დაიფაროს. საკვებს აყრიან ბზეს, დაჭრილ ჩალას ან მშრალ ხის ფოთოლს ⅓ ½ მეტრის ფენად და ზევით აწყობენ ფიცრებს მჭიდროთ ერთი მეორეზე მიშენებულს, ფიცრები იწყობა სილოსის გარდიგარდმო, იმ ზომის, რომ მათ შეეძლოს დაწევა დასაწევ საკვებთან ერთად. ფიცრებზე აფენენ მუშამბას (ტოლი) და ზევით მეორე წყება ფიცრებს, შემდეგ ზედ აწყობენ სიმძიმისათვის ქვებს, აგურს, სილიან ტომრებს და სხვა...

ამნაირად დამზადებული სილოსი 3-4 თვის შემდეგ უკვე მზად არის; ნორმალურ პირობებში მის ხმარებას იწყებენ ზამთარში და აგრძელებენ გაზაფხულის პირველ თვეებში, საქონლის ნედლზე გაზობამდე.

საკვების ხმარება სწარმოებს ნაწილობრივ, იღებენ ცალი კუნჭიდან. ზედა თავს ¼—⅓ მეტრის სისქეზე გადააგდებენ, რადგან ის ობმოკიდებულია, საქონლის საკვებად არ ვარგა, უნდა გადაიყაროს.

ამოსაღებად ხმარობენ ნაჯახს ან კარგ მჭრელ ბარს. საკვები ორმოდან იმდენი უნდა ამოიღოთ, რამდენიც საქონელს ერთ ჯერზე ეყოფა. საკვების ამოღების შემდეგ, ორმო კარგად უნდა დაიხუროს.

დამჟავებული საკვები შეხედულობით წარმოადგენს წვნიან მასას სხვადასხვა სტრუქტურის და ფერის მასალის მიხედვით, სასიამოვნო სუნით და მომჟავო გემოთი. საქონელი მას მადიანად სჭამს და ზომიერად მიცემული, მათზე ცუდ გავლენას არ ახდენს. თუ უზომოდ და ამასთან საკვებიც ცუდი გამოსულია, საქონელი ავადდება (ფაღარათი, მუცლის მოშლა და სხვა).

დასილოსებული საკვები კარგი გამოსადეგია მსხვილ რქიან საქონლისათვის, ცხვარი, ცხენი და ღორი, ნაკლებ მადიანად სჭამენ. 1000 გირ. საქონლის ცოცხალ წონაზე, უნდა მიეცეს დღეში გასასუქებელ ნებიერს—20 კილო, მუშა-ხარს—16 და მეწველე საქონელს 8 კილო.

მოზარდ საქონელს სიფრთხილით უნდა მიეცეს ან სულ არა. მეწველე საქონელზე დასილოსებული საკვები კარგ გავლენას ახდენს: წველას მატებს, რძე და ერბო-კარაქი თავის ნორმალურ გემოს ინახავს. მაგრამ, თუ საკვები ნაკლები ღირსებისაა, მაშინ რძის ნაწარმოებზე ცუდ გავლენას ახდენს: რძე მალე მჟავდება, ერბო-კარაქი იღებს არა სასიამოვნო გემოს და ყველი უწესოდ მწიფდება.

დასამჟავებელი საქონლის საკვების გროვა ანუ ზვინი

საკვების დამჟავება ან სილოსად შენახვა შეიძლება უორმოთაც მიწის ზედაპირზე, გაშლილ ჰაერზე, ამისთვის დასამჟავებელი მასალისაგან აკეთებენ გროვას, ანუ დგამენ ზვინს, როგორც თივისათვის ან პურის ძნისაგან: სწორ ვაკე მომაღლებულ ადგილზე აგებენ ფიცრებს, რომელნიც ერთი ერთმანეთზე მჭიდროდ არის მიშენებული და ამ ფენილს სიგრძე და განი ერთი ზომის აქვს.

დასამჟავებელ მასალას აწყობენ ფენებად, ძალიან ტკეპნიან, უფრო მეტად კი გვერდებში, რომ ამით ზვინის შიგნით ჰაერის შესვლას წინააღმდეგობა გაეწიოს. გროვის გარშემო იღებენ არხს, რომ წვიმის და თოვლის წყალი არ შეუდგეს ად არ გააფუჭოს, ზევიდან აყრიან მიწას ½—¾ მეტრის სისქეზე.



ნახ. 2. ბალახის დასამჟავებელი გროვა ანუ ზვინი.

ჰაერზე დასილოსებას ის უპირატესობა აქვს, რომ ამისთვის ორმოს კეთება საჭირო არ არის და მისი გაკეთება შეიძლება იქვე ადგილზე, სადაც საკვებ მასალას იღებენ. უმთავრესი მისი ნაკლოვანება ის არის, რომ ამით არ შეიძლება დამჟავდეს მეტად წყლიანი საკვები და წვრილად დაჭრილი საკვები, ამას გარდა ზედმეტად დიდი რაოდენობის საკვები ფუჭდება გვერდებზე. გროვა სილოსში დასაწყობად უკეთესია ბალახი ცოტა შემჭკნარი, ერთი დღით ან დღენახევრით წინ მოთიბული, მაგრამ შეიძლება დაწყობა სულ ნედლი, ახლად მოთიბული ბალახისაც. გროვას არ უნდა შეერიოს ნახევრად ხმელი, მით უმეტეს სულ გამხმარი ბალახი, ვინაიდან მისგან ზვინში ობი ჩნდება.

ზვინის დადგმა შეიძლება ყველანაირ ამინდში. წვიმაშიც, ისე იგი იმ დროს, როცა სხვა მუშაობა გარეთ არ შეიძლება, დაწყობილი საკვები ძალიან უნდა დაიტკეპნოს, უფრო მეტად ზვინის გვერდები, რადგან შემდეგ შუაგული ძალიან იწევს და თუ გვერდები კარგი დატკეპნილი არ იქნა, იქ ორმო კეთდება, წყალი შიგ ჩადგება და კარგ საკვებს ვერ მივიღებთ.

ჰაერზე დასილოსებული საკვების დაწოლისათვის მიწის დაფარების მაგიერ ზოგიერთ შემთხვევაში ფიცრებს აწყობენ და ზედ დებენ სიმძიმისათვის ქვას და სხვა მძიმე საგნებს; უფრო ხშირად კი მექანიკურ საშუალებას მიმართავენ ხოლმე, ამისთვის ქვედა ფიცრულის, რომელზედაც საკვები იწყობა კოჭებზეა გამართული, ზევითაც ამნაირ ფიცრულს კოჭებით აკეთებენ. ზევითა კოჭებს ჯაჭვით გადააბამენ ქვედა კოჭებზე და აზარმაცის საშუალებით მოუჭერენ. ამნაირი კოჭების მოჭერით საკვები ძალიან იტკეპნება, 10-12 დღის განმავლობაში, მოჭერას თანდათან უმატებენ. ერთი კუბიკური მეტრი კარგად დატკეპნილი ჰაერზე დამჟავებული საკვები იწონის 56 ფუთამდე.

ამერიკაში თანდათან განვითარდა და დაიკავა პირველი ადგილი მესამე სახის დასილოსებამ—სასილოსე კოშკებმა. ბალახის დასამჟავებელი ქვითკირის კოშკები ეხლა უკრაინაშიც ფართოდ არის გავრცელებული. ამ კოშკების შესახებ უკვე იყო „კომუნისტში" (№ 102) ვრცელი წერილი აგრ. რ. ლოლოხაძისა და ამიტომ აქ ხელმეორედ აღწერა-განმეორება საჭირო აღარ არის.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

სიმინდის დასასილოსებელი მანქანა

როგორც ცნობილია, შეერთებულ შტატებში სიმინდის დიდი რაოდენობა მოჰყავთ სპეციალურად საქონლის საკვებად. ზამთრისათვის შესანახად ამ საკვებს ასილოსებენ. დასილოსება სწარმოებს სპეციალურ ჭურჭლებში, რომლებიც მაღალ კოშკებს წარმოადგენენ.

სიმინდის ღეროს სჭრიან განსაკუთრებული მანქანებით, სილოსის საჭრელებით ე. წ. ხესკერ-ტრედერებით. ამ მანქანებს დგამენ სასილოსე კოშკებთან. იქვე მიაქვთ ყანებში მოჭრილი სიმინდი და ატარებენ მანქანებში. სიგრძე-სიგანეზე დაკეპილი ჩალა აქვთ კოშკის სახურავზე, საიდანაც კოშკში ჰყრიან.

უკანასკნელ ხანებში ვრცელდება ჩალის მოჭრისა და სასილოსე კოშკების გავსების ახალი სისტემა. გამოგონებული და დამზადებულია მანქანა, რომელიც საკვებს კეპავს (სჭრის) ყანაში მოსავლის აღებასთან ერთად.

ამ მანქანას აქვს საჭრელი და მოჭრილი მასალის შემკრები მოწყობილობა. სიმინდის მოჭრილი ღეროები მიდის მანქანის საკეპავ განყოფილებაში, სადაც იკეპება და სპეციალური მოწყობილობით იყრება მანქანის გვერდით მიმავალ ურემში. (იხ. სურათი).



სასილოსე მანქანა სიმინდის ყანაში მუშაობის დროს

დაჭრილ-დაკეპილი ჩალა მიაქვთ სასილოსე კოშკთან და ჰყრიან მანქანაზე—ბლაუერზე, რომელიც პნევმატიურ ელევატორს წარმოადგენს. ბლაუერის საშუალებით დაჭრილ-დაკეპილი მასალა მილით მიდის სასილოსე კოშკის თავში, საიდანაც იყრება შიგნივ.

ხსენებული მანქანის გამოგონებამ სიმინდის დასილოსება ერთი-ორათ გააიაფა.

ქრონიკა

მუშფაკებში მიღება

მუშფაკებში შესასვლელად განცხადებების მიღება უკვე დაიწყო. განცხადებების მიღება გაგრძელდება 20 ივნისამდე. 20 ივნისიდან 1 ივლისამდე იწარმოებს მისაღები გამოცდები.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახ. რკ. გზ. მუშფაკში მისაღები განცხადებები მიიღება 12 ივნისამდე, გამოცდები კი დაიწყება 16 ივნისიდან, საღამოს 5 საათზე.

ფიზიო - თერაპევტიული ინსტიტუტი სოხუმში

სოხუმში ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტის მოსაწყობად ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასდო 20.000 მან.

ნათესავების მუშაობა საბჭოთა მეურნეობებში

შრომის კანონის მიხედვით, აკრძალულია ახლო ნათესავების ერთ წარმოება - დაწესებულებაში მუშაობა. შრომის კომისარიატის განმარტებით, ეს კანონი არ ვრცელდება საბჭოთა მეურნეობებზე, სადაც ერთად მუშაობა შეუძლიათ ძმებს, მამა-შვილს და სხვ.

ბრძოლა პელაგრასთან

ვინაიდან ზაფხულში მოსალოდნელია პელაგრას გავრცელება, მის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად სახკომსაბჭომ ჯანმრთელობის კომისარიატს დამატებით გადასცა 57.000 მანეთი.

ახალი საავადმყოფო ჭიათურაში

ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა ჭიათურაში ახალი საავადმყოფოს აგებას.

სხვა და სხვა

● სახ.-სამ. ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები, რომლებიც უნდა გაემგზავრონ ბორჩალოს რაიონში თესვის ფრონტზე სამუშაოდ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ინსტიტუტის შენობაში დღეს, სრულ 12 საათზე.

● სახელმ. კონსერვატორიის დარბაზში შაბათს, 7 ივნისს, გაიმართება პიანისტ ვანდა შოუკაშვილის კონცერტი. პროგრამაში: ბეთჰოვენი, შოპენი, სკრიაბინი, დებიუსსი, სტრავინსკი („პეტრუშკა“).

შეცდომის გასწორება

წითელი პროფესურის ინსტიტუტის ბაქოს მოსამზადებელ განყოფილებაზე მიღების პირობებში (დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის № 128) გაიპარა შეცდომა. სწერია: „მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან მუშები და გლეხები არა ნაკლებ 30 წლის ჰასაკისა“, უნდა იყოს: „...არა უმეტეს 30 წლის ჰასაკისა“.

ბრძოლა უმუშევრობასთან

საქართველოში სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე, რის გამო უმუშევართა რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად კლებულობს.

შრომის ბირჟებში ამჟამად უმთავრესად აღრიცხულნი არიან კვალიფიკაციის არა მქონე პირები, რომელთა გადასამზადებლად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები— გახსნილია და იხსნება კურსები, სკოლებში და სხ.

მაგრამ უმუშევრების მომზადებას აფერხებს ის გარემოება, რომ წესიერად არ ხდება მათი სამუშაოზე გაგზავნა. ამ საქმეში შესაფერ უნარს ვერ იჩენენ თვით შრომის ბირჟებიც, რის გამო ადგილი აქვს მრავალ გაუგებრობას.

იმ მიზნით, რომ სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული უმუშევართა მომზადებისა და მათი სამუშაოზე გაგზავნის საქმე, შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს შრომის ბირჟების რეორგანიზაცია და ისინი გადაიყვანოს მუშაობის ახალ მეთოდებზე.

შრომის ბირჟებში და საშუამავლო ბიუროებში აღრიცხვაზე იმყოფებიან ძალზე მოხუცებულნი და ისეთი პირები, რომლებიც უკვე მუშაობენ. ამისათვის გადაწყდა ჩატარდეს უმუშევართა ხელ-ახალი რეგისტრაცია. შრომის უნარმოკლებულნი გადარიცხულნი იქნებიან პენსიაზე.

უმუშევრობასთან ბრძოლას აგრეთვე აფერხებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი უმუშევრები უარს აცხადებენ გადასამზადებელ სკოლებში წასვლაზე. შრომის კომისარიატის დადგენილებით ასეთი უმუშევრები სრულებით მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

მომზადებულ მუშების განაწილების საქმე მოუგვარებელია, რის გამო ბირჟებში კვლავ საგრძნობ რიცხვს შეადგენენ მომზადებული უმუშევრები, იმ დროს, როცა კვალიფიციურ მუშა-ხელზე დიდი მოთხოვნილებაა.

ამაში ბრალი მიუძღვის როგორც შრომის ბირჟებს, ისე სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც გვერდს უხვევენ შრომის ბირჟიდან მუშების აყვანას და გაურბიან მათთან კავშირის დაჭერას, რისაც არევ-დარევა შეაქვს უმუშევრების მომზადებისა და სამუშაოზე გაგზავნის საქმეში.

შრომის ბირჟების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ამჟამად მუშავდება საჭირო ღონისძიებები აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

თბილისის მუშკოოპის გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 6 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე,

მ უ შ კ ო ო პ ი ს

შენობაში (ჟორესის ქ. № 7 პირველი სართული)

შ ე ს დ გ ე ბ ა

რწმუნებულთა მე-19 კრების კომფრაქციის

ს ხ დ ო მ ა

მუშკოოპის, ყოფ. „ზაკვოენკოოპ“, და „ზაკტკოოპ“ რწმუნებულთა მე-19 კრების გაგრძელება მოხდება 6 ივნისს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში (ჟორესის ქ. № 3) საღ. 6 საათზე.

გამგეობა.

სატრანსპორტო ინსტიტუტი თბილისში

გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს სპეციალური სატრანსპორტო უმაღლესი სასწავლებლის—ტრანსპორტის ინჟინერების ინსტიტუტის დაარსება თბილისში. ამ ინსტიტუტმა სპეციალისტებით უნდა უზრუნველჰყოს ამიერ-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის სატრანსპორტო მეურნეობანი.

ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებულ საკითხების ადგილობრივ განსახილველად თბილისში ამჟამად იმყოფება გზათა სახ. კომისარიატის კადრების მოსამზადებელ ცენტრალურ სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ბერეზოვსკი.

ინსტიტუტის დაარსების საკითხი უკვე განხილულ იქნა ა.-კ. რკინის გზის დირექციაში, რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტში, საქ. განათლების სახ. კომისარიატში და სხვა ორგანიზაციებში.

სპეციალურად მოწვეულ თათბირებზე გამოირკვა, რომ ინსტიტუტის თბილისში დაარსების საკითხი ცენტრში პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია. ინსტიტუტს ექნება ოთხი ფაკულტეტი და მოამზადებს სპეციალისტებს, როგორც რკინის გზის, ისე ადგილობრივი ტრანსპორტისათვის, ისე ავტოტრანსპორტისათვის. ინსტიტუტს ექნება 40-დე კაბინეტი და ლაბორატორია.

ინსტიტუტი სამეცნიერო და პედაგოგიური ძალებით უზრუნველყოფილი იქნება.

წელსავე გაიხსნება ყველა ფაკულტეტების ყველა კურსები. პირველ კურსებზე მიღებული იქნება 250 კაცი (თითოეულ ფაკულტეტზე) და 1250 სტუდენტი გადმოვა სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის უფროს კურსებიდან. ასე, რომ პირველ წელსავე ინსტიტუტში ისწავლის 1.500 სტუდენტი. სწავლების ვადა თითოეულ ფაკულტეტზე განისაზღვრება 3 წლით. ინსტიტუტის მოსაწყობად პირველ წელიწადს გზათა სახალხო კომისარიატი გაიღებს 150.000-დე მანეთს.

ერთად-ერთი დაბრკოლება, რომელიც ელობება წინ ინსტიტუტის გახსნას, ეს არის ბინის საკითხი. შერჩეულია რამდენიმე შენობა. თუ, რომელ შენობას გამოჰყოფენ ინსტიტუტისთვის, ეს გამოირკვევა მახლობელ დღეებში.

ეს შენობა ინსტიტუტისათვის დროებით იქნება საჭირო, რადგან განზრახულია სპეციალური შენობის აგება ინსტიტუტის მუშაობის სათანადოთ გასაშლელად. შენობის აგების საკითხი გუშინ განხილული იქნა ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე. ა.-კ. რკ. გზის დირექციის და საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლების თანდასწრებით. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ინსტიტუტის შენობის აგება ნაძალადევში, სტალინის სახ. ქარხნის მახლობლად, სადაც ეხლა შენდება საქარხნო-საფაბრიკო სკოლა და ლითონების გამოსაცდელი ლაბორატორია. ეს ადგილი ამორჩეულია იმ მოსაზრებით, რომ იქ არის თავმოყრილი რკინის გზის მთავარი წარმოებები, რაც გაუადვილებს სტუდენტობას პრაქტიკულ მუშაობას.

ინსტიტუტის შენობასთან ერთად გადაწყვეტილია სტუდენტების საერთო საცხოვრებლის აგებაც.

რკინის გზებზე

როგორ მუშაობს ა.-კ. რკინის გზა

ა.-კ. რკინის გზის საექსპლოატაციო მუშაობას ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი გაუმჯობესება დაეტყო. გზამ მარტის და აპრილის საექსპლოატაციო მუშაობის გეგმები სავსებით შეასრულა. მიმდინარე თვეშიაც მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

ა.-კ. რკინის გზის დირექციის საექსპლოატაციო განყოფილების ცნობით, ტვირთების გადაზიდვის გეგმა საერთოდ უკვე 99 პროცენტით არის შესრულებული. ზოგიერთ ტვირთების გადაზიდვის პროგრამა უკვე შესრულებულია მთელი ასი პროცენტით.

მაგალითად, გათვალისწინებული იყო 607 ცისტერნა ნავთის ჩასხმა. ეს გეგმა მთლიანად არის შესრულებული. მშრალი ტვირთების გადაზიდვის გეგმა შესრულებულია შემდეგი სახით: გათვალისწინებული იყო 1067 ვაგონი ტვირთის გადაზიდვა, უკვე გადაზიდულია 1050 ვაგონი, საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა გათვალისწინებული იყო 440 ცისტერნის რაოდენობით, გადაზიდულია—417 ცისტერნა.

მოსალოდნელია პროგრამის შეუსრულებლობა მეზობელ გზებიდან დატვირთულ ვაგონების მიღების მხრივ. გეგმის მიხედვით ა.-კ. რკინის გზამ ჩრდილოეთიდან უნდა მიიღოს ამ თვეში 355 ვაგონი ტვირთი; ჯერ-ჯერობით მიღებულია 263 ვაგონი. ეს აიხსნება იმით, რომ ჩრდილოეთის გზებმა შეასუსტეს ამ.-კავკასიაში გამოსაგზავნ საქონლის დატვირთვა და მათი დანიშნულებისამებრ გადმოგზავნა.

გზის საექსპლოატაციო მუშაობაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გზა ამ მუშაობას აწარმოებს მოძრავი შემადგენლობის უკეთ გამოყენების ხარჯზე. მეტი ტვირთების გადაზიდვის პროცესში მიღწეულია ვაგონების ბრუნვის დაჩქარება.

გზათა კომისარიატის მიერ მიცემული გეგმის მიხედვით თითოეული ვაგონი ა.-კ. რკინის გზაზე უნდა მობრუნებულიყო 6,5 დღეში. ეს გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ვაგონების ბრუნვა სწარმოებს 5,5 დღეში. ცისტერნების ბრუნვა 7,8 დღის ნაცვლად სწარმოებს 7,1 დღეში.

ნავთსადენის გადაცემა

როგორც ვიცით, ამიერ-კავკ. რკინის გზის განკარგულებაში იმყოფება ბაქო-ბათომის ნავთსადენი. რკინის გზების მმართველ აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ნავთსადენი აღარ უნდა დარჩეს გზის ხელში. გზათა სახ. კომისარიატის დადგენილებით, ხსენებული ნავთსადენი გადადის „სოიუზნავთის“ განკარგულებაში.

ნავთსადენის გადასაცემად არსდება სპეციალური კომისია.

ნავთსადენის გადაცემის საბოლოო ვადად დაწესებულია ა.-წ. 10 ივლისი.

სპორტდარბაზის დასამთავრებლად

პლეხანოვის სახელობის რკინისგზელთა კლუბთან შენდება სასპორტო დარბაზი. ამ ჟამად დარბაზის შენება შეჩერებულია საჭირო თანხების უქონლობის გამო. მის დასამთავრებლად საჭიროა 25.000 მანეთი.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა, რომელმაც განიხილა ეს საკითხი თავის უკანასკნელ სხდომაზე, დაადგინა დარბაზის დამთავრებისათვის საჭირო თანხა შევსებულ იქნეს საგზაო და თბილისის საუბნო კომიტეტის საშუალებებიდან. საგზაო კომიტეტი იძლევა 10.000 მანეთს და საუბნო კომიტეტი—15.000 მანეთს.

დარბაზი მზად უნდა იქნეს ა.-წ. 15 ივლისისათვის.

დახმარება გაზეთებს

ამიერ-კავკ. რკინის გზაზე წარმოება-დაწესებულებებში გამოდის ოთხი ნაბეჭდი გაზეთი.

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით, რათა ამ გაზეთებმა შესძლონ კამპანიის საკითხების ფართოდ გაშუქება, საგზაო კომიტეტი თვითეულ გაზეთს ერთდროული დახმარების სახით აძლევს 150 მანეთს.

წვიმამ მოძრაობა შეაფერხა

ამიერ-კავკ. რკინის გზის სამხრეთ-უბანზე 14 ივნისს მოვიდა ძლიერი წვიმა.

წყალით დაიფარა სადგ. ლენინაკანის ყველა ხაზები და ხაზი ლენინაკან-ოროთაკლისის შორის.

ამის გამო მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილი იყო ორი საათის განმავლობაში.

თავდაცვა-ავიაქიმის მე-4 ლატარია

საკავშირო თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებაში ამჟამად ირიცხება 5.000.000 წევრი. აქედან მარტო ამიერ - კავკასიაში ითვლება 300.000 წევრი.

საზოგადოება უდიდეს მუშაობას ატარებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის და ამავე მიზნით აწარმოებს მოსახლეობის გასამხედროებას. საზოგადოება აგრეთვე ეხმარება ავიაციას და ქიმიურ მრეწველობას, სასტიკ ბრძოლას აწარმოებს სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან და იღებს ზომებს მოსავლიანობის გასადიდებლად.

იმ მიზნით, რომ საზოგადოებამ აღნიშნული მუშაობა წარმატებით ჩაატაროს, თავის საშუალებათა გასაძლიერებლად მიმდინარე წელს გამოშვებული იქნა თავდაცვა -. ავიაქიმის მეოთხე ლატარიის ბილეთები.

სულ გამოშვებულია 8 მილიონი ბილეთი, რომელშიაც 40.050 ცალი მომგებიანია.

ლატარიის ბილეთები გაყოფილია 6 თანრიგათ, რომელთაც ცალ-ცალკე ტირაჟი აქვთ. მე-6, 5 და მე-4 თანრიგის ტირაჟები უკვე ჩატარდა. მე-3 თანრიგის ტირაჟი მოხდება ხვალ, 7 ივნისს, თბილისში: ტირაჟში შედის — 800.000 ცალი ბილეთი 400.000 მანეთის ღირებულებისა.

ბილეთების შეძენა შეიძლება თავდაცვა-ავიაქიმის ყველა უჯრედებსა და ორგანიზაციებში, შემნახველ სალაროებში, სახ. ბანკის განყოფილებებში და სხვ. თითო ბილეთი ღირს 50 კ.

სასამართლო

დედამ თავისი შვილი დააღრჩო

ეს ამბავი მოხდა ს. საქობოში (კახეთის ოლქი).

ახალგაზრდა ქალს ნადია ბერიაშვილს უყვარდა თავის მეზობლად მცხოვრები ვაჟი ჯავაშვილი. ისინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

მაგრამ, როგორც კი ქალის მშობლებს ყურში ჩასცდათ ეს ამბავი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. ჯავაშვილს უარი უთხრეს ქალის მითხოვებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ქალი უკვე ფეხმძიმედ იყო, დაიწყეს საქმროს ძებნა.

ფეხმძიმობის მეცხრე თვეში გადადგა ფეხი ქალმა, როცა მშობლებმა ნახეს სასიძო და გაათხოვეს ნადია.

მეათე დღეს ქალს ასტკივდა მუცელი. შეშინებულმა ქმარმა მოიყვანა ექიმი, რომელმაც, ურჩია ქმარს სასწრაფოდ წაეყვანა ქალი მოსალოგინებლად. არ დაიჯერა ქმარმა ეს ამბავი. მოიწვია კონსილიუმი და როცა კონსილიუმმაც ასეთი დასკვნა გამოიტანა, შეაბა ხარები ურემში, დააწვინა ქალი და მიუყვანა მშობლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯავაშვილი (ბავშის ნამდვილი მამა). თანხმობას აცხადებდა ნადიას წაყვანაზე, ქალის მშობლებმა კვლავ უარი უთხრეს მას და ქალი მოსალოგინებლად გაგზავნეს სიღნაღის საავადმყოფოში, მშობიარობა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ. ამას მოითხოვდა გაუნათლებელი მშობლების „თავმოყვარეობა“.

ქალს ეყოლა ვაჟი. მეორე დღეს ქალმა შუამდგომლობით მიმართა საავადმყოფოს გამგეს—გაეწერათ ის საავადმყოფოდან და ბავშიც დროებით დაეტოვებიათ იქვე. ქალს უნდოდა მიეტოვებინა შვილი, მაგრამ ეს ოინი არ გაუვიდა.

მესამე დღეს ქალი გაეწერა საავადმყოფოდან და ბავშიც თან წაიყვანა. სად წასულიყო? მშობლები ბავშით არ მიიღებდნენ მას. ქმარმა კი გამოისტუმრა სამუდამოდ.

ბევრი იფიქრა ქალმა და ბოლოს წაუჭირა ყელში ხელი ბავშს, დააღრჩო, ამოთხარა მიწა და ჩამარხა.

საგამომძიებლო ორგანომ მიაგნო ბოროტმოქმედების კვალს. ქალი დაპატიმრებულია.

გასამართლება მოხდება ქ. სიღნაღში.

ბერ.

არქეოლოგიური განძის აღმოჩენა

გორის ოლქში

არქეოლოგმა გ. ნიორაძემ საქართველოს მუზეუმში ჩამოიტანა სოფ. სასირეთში (გორის ოლქი) აღმოჩენილი უძველესი დროის ბრინჯაოს ნივთები. ამორძალების ცულები, კაბანის ტიპის ნაჯახები, სხვადასხვა ფორმის სატევრები, ხელჩოები, სატეხები, ლაგმები, სარიტუალო ჭურჭლეულობა, ცხოველების ფიგურები და სხ.

აღმოჩენილ ნივთებში ყურადღებას იქცევს ე. წ. „ამორძალების ცული“. სახელწოდება ამორძალების ანუ ამტონების ცული ლიტერატურაში შემოვიდა მას შემდეგ, რაც ბერძნულ ვაზებზე ნახეს ამორძალების გამოხატულება ამგვარი ცულებით ხელში. ასეთი ცულებს არქეოლოგები პოულობენ მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში.



ზევით: ბრინჯაოს ცული; ქვევით: პრიმიტიული სატევარი.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ხმლური ტიპის ბრინჯაოს ხელჩო და პატარა ზომის სამფეხა. სარიტუალო ჭურჭელი, რომლის სახურავზე გამოხატულია მტრედი.



ბრინჯაოს ლაგამი

ასეთი ჭურჭელი მეტად იშვიათია და იგი არც ერთ მუზეუმში არ მოიპოვება, რის გამო იგი შეიძლება უნიკუმათ ჩავსთვალოთ.

არქეოლოგ ნიორაძის დასკვნით ასეთი ნივთები ხმარებაში იყო დაახლოებით 3.400 წლის წინათ.

ნივთები აღმოჩენილია საფლავის გათხრის დროს 2 მეტრის სიღრმეზე.

შემთხვევები

დაჭრა

არამ გეურქის ძე ბაღდასაროვმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა ბაბკენ მელიქსეთოვი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

თავის მოწამვლა

ოჯახური უსიამოვნების გამო სულემით თავი მოიწამლა მარიამ ნიკოლოზის ასულ აფერიძემ (ბაიაზეთის ქუჩა № 5).

მტკვარში გადავარდნა

თავის დაღრჩობის მიზნით ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა აგრაფინა ილიკოს ასული სტურუა (ახალციხის შესახვევი № 8).

შეპყრობა

ქურდობისათვის შეიპყრეს გენო გიორგის ძე ბესტაევი (მცხ. ვერის 1-ლი შესახვევი № 3) და ლავრენტი ნაუმის ძე ვასილიუკი.

ავტომობილის ქვეშ

საბარგო ავტომობილი № 237, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი თედოს ძე კაპანაძე, მიხეილის საავადმყოფოს წინ დაეჯახა ზაქარია გიორგის ძე შალიკაშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. შოფერი დააპატიმრეს.

ქურდობა

გაქურდეს კონსტანტინე ილიას ძე ჩხიკვაძის ბინა (აუზის ქ. № 40), საიდანაც მოიპარეს 138 მან. ღირებულების ნივთები. სარქის გეურქის ძე მამაჯანოვს (შრომის ქუჩა № 28) მოპარეს 120 მან. ღირებულების ნივთები. — ევგენი ბარჩიევს (საბჭოს ქუჩა № 14) მოჰპარეს 100 მან. ღირებული ნივთები. გაქურდეს საერთო საცხოვრებელი, (მოსკოვის ქუჩა № 1), საიდანაც წაიღეს ისაკ აბრამის ძე ცინმას ტანსაცმელი, 100 მან. ღირებულების.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

მეათე პარტია

მეათე პარტია გოგლიძის უპირატესობის ნიშნით ჩატარდა. ინგლისურ დაწყების წინააღმდეგ, სვლათა გადანაცვლებით მაესტრო ნენაროკოვმა პირველად ამ მატჩში აირჩია ახალი ინდიური დაცვა. ამ დაცვას, უკანასკნელ ხანებში ხშირად მიმართავენ ხოლმე. ერთ-ერთ დადებით მხარეს ამ დაცვისას წარმოადგენს ის, რომ მას უამრავი განშტებები აქვს და სწორედ ამიტომ თეთრებს დებიუტში ესაჭიროებათ განსაკუთრებული სიფრთხილით თამაში, რათა დებიუტიდან გამარჯვებული გამოვიდნენ. თამაში ყოველთვის ღებულობს გართულებულ ხასიათს, სადაც შავებს საკმაო კონტრ - შესაძლებლობანი აქვთ. მაგრამ აღნიშნულ დებიუტისათვის საჭირო პირობებს სრულიად არ ჰქონდა ადგილი ამ პარტიაში.

გოგლიძე ძლიერი სვლებით წინ აღუდგა ნენაროკოვის ყოველივე განზრახვას და დებიუტშივე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა მიიღო. ცენტრში, ლაზიერის ფრთაზე თუ მეფის ფრთაზე — ყველგან უპირატესობა მის მხარეზე იყო. თამაშის შემდეგ პროცესში გოგლიძე აიძულებს ნენაროკოვს გააკეთოს როგი გრძელ მხარეს, რის შემდეგაც იგი ხელთ იგდებს ინიციატივას და პაიკების მიწევით ემზადება გადამწყვეტ იერიშისათვის. საერიშო ბაზის გახსნის შემდეგ, გოგლიძემ ყველა თავისი ფიგურები გადმოიყვანა საუკეთესო შეტევ პოზიციებზე და ჩქარა უამრავი მუქარები შექმნა. ამ დროს მას საშუალება ეძლეოდა გაეცვალა ლაზიერები და თამაში გადეყვანა თავისათვის მოსაგებ ენდშპილში, მაგრამ იგი უარს ამბობს ამ გაგრძელებაზე და განაგრძობს შეტევას მეფის დაშამათების მიზნით. ნენაროკოვი თავდაცვასთან ერთად ცდილობს როგორმე კონტრშეტევა შექმნას, რისთვისაც თავის მხრივ ეწევა პაიკებს წინ მოწინააღმდეგის მეფის პოზიციაზე. მაგრამ მიზანშეწონილი მახვილებით გოგლიძე აღწევს ფიგურათა კიდევ უფრო ხელსაყრელ გადაჯგუფებას და პაიკის შეწირვით იხსნის კიდევ მეორე საოპერაციო ხაზს. შეწირვის მიღება ნენაროკოვისათვის აუცილებელი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პაიკი მას განადგურებას უქადიდა. შეწირვის შემდეგ გოგლიძეს უკვე ხელთ აქვს ყაიმი, რაზედაც იგი თანხმდება იმ დროს, როდესაც, როგორც პარტიის შემდეგმა ანალიზმა დაამტკიცა, პარტიის მოგების შანსები მას ჰქონდა; მაგრამ ამის მიღწევა მას შეეძლო მხოლოდ მეტად რთულ და გაბედულ თამაშის შედეგად.

ამრიგად, მატჩის მდგომარეობა მეათე პარტიის შემდეგ ასეთია: გოგლიძე +5 ნენაროკოვი +3—ორი ყაიმი.

დღეს, 6 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში ითამაშება მატჩის მეთერთმეტე პარტია. ნენაროკოვი თამაშობს თეთრებით. თამაშის დასაწყისი საღ. სრულ 6 საათზე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის გადაცემისა და ამ ფაკულტეტის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი გადაკეთებულ იქნეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად და გადაიცეს იგი საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიმართ საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს შეენარჩუნოს პროგრამულ-მეთოდური ხელმძღვანელობა.

3. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიწადმოქმედებისა და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოჰყოს განათლების სახალხო კომისარიატის 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვიდან—უმაღლესი სასწავლებლების ხაზით—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შესაბამად გათვალისწინებული თანხა და შეიტანოს იგი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვაში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაბამად; თანაც, „ა-კფსსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების“ 32 მუხლის „გ“ პუნ. თანახმად (ა-კფსსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-რი, მუხ. 166 და 1930 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34), წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებისა და შემდგომი კანონიერი გაფორმებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში კრედიტების სათანადო გადატან-გადმოტანის პროექტი.

4. მიენდოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დებულების პროექტი და, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:
ვ. მეგრელიშვილი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 6 ივნისი

დილით (8 ს. 30 წ. 9 ს. 30 წუთამდე) ქალაქის სატრანსლიაციო ქსელიდან გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“. პროგრამაში ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიან რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: კონცერტი, რეკლამა, რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „ენიკენდი“ თურქულ ენაზე; პიონერთა და მოწაფეთა საათი რუსულ ენაზე; დროს შემოწმება, რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; ლიტერატურული და მუსიკალური საღამო დანიელ ჭონქაძის დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების აღსანიშნავად; ინფორმაცია ამიერ - კავკასიის კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის შესახებ, უკანასკნელი ცნობები.

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ქართული დრამის სახელმწიფო თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში

1930 წლის ივნისის 8-ს, აბონემენტის გარეშე პერსი-ბიში შელლი

ბეატრიჩე ტრაგ. 4 მოქმ.

დადგმა ვ. აბაშიძის დირიჟორი ივ. ოგანეზოვი მხატვარი პ. ოცხელი
ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი მუსიკა თ. ვახვახიშვილის წარმოდგენის დასაწ. საღ 8 ნახ. ს.
სალარო ღიაა დილის 11–2 საათ., საღამოს 6—9 საათამდე.

ვისაც შეძენილი აქვს აბონემენტები, საფასური სრულად გადახდილი უნდა იქნეს 7 ივნისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში აბონემენტი გაუქმებულად ჩაითვლება.

თეატრის დირექტორი კარლო კალაძე. ინსპექტორი კ. ანდრონიკაშვილი. ნ. 831 5—3

აპოლო	1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი ძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს რომანის მიხედვით
სპარტაკი	ყოფ. არფასტო	საუკეთესო სურათი ბრძმედის გმირები
სოლეი	1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მილდრედ დევისი და კარლ მილერი მხატვრულ სურათში მსჯავრდადებულნი
პალასი	1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	მხატვრული სურათი ცხენოსნები დაიძრენ
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)		კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში მეჭიანური ფლორენციიდან
დარბაზი	1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	უკანასკნელად ზელიმ-ხანი ცნობილ იუმორისტის და სატირიკოსის ვ. ლ. რაზდოლსკის გასტროლები

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდის შემდეგ პირების ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთებს, მათი დავალიანების ასანაზღაურებლად.

1. კოსტა ლაპარტყავას და ხერგო ახნაზაროვის კუთვნილი სასადილოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 8 ივნისს დილის 11 საათიდან ადგილობრივ, საბაჟოს ქ. № 6.
2. მინა ბათლომეს ძე პეტრიაშვილის კუთვნილი სასადილოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 8 ივნისს, დღის 12 ნახ. საათზე ადგილობრივ, საბაჟოს ქ. № 6.
3. გიორგი ტიგრანის ძე აგარონოვის კუთვნილი სასადილოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 8 ივნისს დღის 1 ნახ. საათზე ადგილობრივ, ახალშენის ქ. № 2.
4. მიხეილ გიორგის ძე თუშმალიშვილის კუთვნილი სასადილოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 9 ივნისს, დილის 11 საათიდან ადგილობრივ, კახეთის მოედანი № 10.
5. ტაჩატი ალექსიანის და აშოტ დადელიანცის სხვა და სხვა ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 9 ივნისს, დღის 12 ნახ. საათზე ადგილობრივ, ბნელი რიგი № 15.
6. დავით ბოჭორიშვილის და სიმონ კაციტაძის კუთვნილი სასადილოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ა-წ. 9 ივნისს, დღის 2 ნახ. საათზე ადგილობრივ, ფუნიკულიორზე.

ნ. 850

მალე!

„მოპირდაპირე ქარი“

ნ. ლვოვის პიესის „დნებიან დღეები“-ს მიხედვით.

მალე!

1930 წ. 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ცეკავშირის შენობაში იწყება

ცეკავშირის აპარატის წმენდა

ნ. 845 2—1

კინო-პალასი

დღეიდან 6 ივნისიდან

მხატვრული ფილმი

ცხენოსნები დაიძრენ

მთავარ როლებში: კუტუზოვი, აპტეკმანი, მიჩურინი და სხვ.

მ ა ლ ე

კარიერის დასაწყისი.

მასწავლებლები

უმაღლესი ცოდნით

ამზადებენ მოწაფეებს:

სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.

პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25-3

თვითგანვითარებისათვის და უნივერსიტეტში შესასვლელად გავდივარ ზაფხულის პერიოდში

მათემატიკის

კურსს: (არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომ.) აგრეთვე ვამზადებ ყველა საგნებში

სპეცტეხნიკუმში

შესასვლელად და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ჩერნიშევის (ყოფ. ალექსის ქ.) № 5. ნახვა 9-11 ს. და 4-5.

ქვ. 1347 5—1

6 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალი კლუბის—მბეჭდავთა კლუბის (კომინტერნის ქ. № 5), შენობაში მოხდება

„სოიუზხლებ“-ის ა.-კ. საოლქო კანტორის აპარატის საჯარო წმენდა

აპარატის წმენდის ჩამტარებელი საუწყებო კომისია სთხოვს ყველა პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა აპარატის წმენდაში.

ყველა მასალები აპარატის მუშაკებზე და აპარატის მუშაობაზე უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: „სოიუზხლებ“-ი, შუა ბაზარი, № 27, შემოწმებელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ს.

კომისიის შემადგენლობა: გ. ლელაშვილი, ქსენოდოხოვი, ა. ბელიჩკინი, მაკალსკი, გრიცუკი, ტერ-აკოფოვი და ეგოროვი.

ნ. 851 წმენდის ხელისშემწყობი კომისია.

მუშკოოპისა და ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ყველა მეპაეთ

ა. წ. 6, 9, 11, 16, 20, 23, 27 და 30 ივნისს გრძელდება მუშკოოპისა და ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ლენინის რაიონის სავაჭრო პუნქტების წმენდა ტრამვაელთა კლუბში. წმენდაზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი მაღაზიების ის თანამშრომლები, რომლებსაც წმენდა არ გაუვლიათ: მუშკოოპის მაღაზიების №№ 4, 14, 21, 26, 31, 32, 45, 47, 50, 60, 61, 62 და ა.-კ. სატრ. სამომხ. საზ. მაღ. № 8 მიმაგრებული ფარდულებით №№ 9, 41, 50, 52, 55, 170, 171 და 174. ვთხოვთ ყველა მეპაეთ, ვისაც აქვს მასალები ზემოთ ჩამოთვლილი მაღაზიების თანამშრომლებზე, გამოუგზავნონ კომისიის თავმჯდომარეს ამხ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს შემდეგი მისამართით: რესპუბლიკის პროკურატურა (ყოფ. იუსტ. სახ. კომ.)

წმენდის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ნ. 846 წმენდის ჩამტარებელი კომისია.

დღეს, 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა კლუბში შესდგება

ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო კრება

დღის წესრიგი: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეორგანიზაცია და საორგანიზაციო საკითხები,

3033

საქ. სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყველა სტუდენტებს (განურჩევლად სქესისა)

მეალმოდათ გაევლოთ

სამხედრო რეგისტრაცია

ინსტიტუტის სამხედრო მაგიდაში, მაგრამ სტუდენტების ნაწილი აღრიცხვაზე დღემდე არ გამოცხადებულა.

უკანასკნელად წინადადება ეძლევა ყველას ა. წ. 15 ივნისამდე გაიარონ ხსენებული რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდან. ნ. 849

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი

მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობ, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენორადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)

ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5 – 6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპიხოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.

მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—1 ნ. 819

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- ანა ინასარიძის სახელზე კოოპერატივის წიგნაკი 77346 ჩ. გ.
- ინვალიდობის მოწმობა დარიკო მეშველიშვილის სახელზე. 3037
- 10 წლ. დამთავრების მოწმობა № 1538268—სიმონ ხაიძის ძე შათაშვილის სახელზე. 3030
- განათლ კავშირის წიგნაკი № 32801—ლიუდმილა კვერნაძის სახ. 3036
- სიღარიბის და სოციალური მდგომარეობის მოწმობა გაცემული თელავის აღმასკომის მიერ—მარუსი არტემის ასული არუთინოვის სახ. 3031
- მუშკოოპის წიგნაკი ფილიპე რამიშვილის სახელზე. 3023
- კოოპერატივის წიგნაკი № 2719—გრიგოლ გურგენიძის სახელზე. 3024
- პურის წიგნაკები „ბ“ 4 სულის და „გ“ 1 სულის—დავით კონსტანტინეს ძე ჩარკვიანის სახელზე. 3025
- კავშირის საწევრო წიგნაკი № 347366—ლევან მარანჯაოვის სახ. 3026
- მუშკოოპის წიგნაკი თამარ რამიშვილის სახელზე. 3022
- ზაკტკოოპ საწევრო წიგნაკი № 2616—ბიქტორ გიორგის ძე დარსაველიძის სახელზე. 3019
- მუშკოოპის წიგნაკი № 84423—ივანე ფრიდონის ძე სვანის სახ. 3020
- ცაკის დადგენილება ელენე ერისთავის საარჩევნო ხმის აღდგენის შესახებ. 3017
- პურის წიგნაკი „ა“ 6 სულის—საქულა ალთუნაშვილის სახელზე. 3016
- პირადობის მოწმობა ივანე მიხეილის ძე ქურხულის სახელზე. 3015
- განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 14405—ვენედიკტე ონიფანტეს ძე კოპალეიშვილის სახელზე.
- პარტ. ბილეთი № 0864633—პავლე თავაძის სახელზე. უფ.

გაუბედურებული მეუღლე ელენე შვილებით: კოწიკო და მიშიკოთი, ძმები: ესტატე, რევაზი, აკაკი და ლუარსაბი თავიანთი ცოლშვილით, დაი მარგალიტა ქმარშვილით მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი და მათთვის მუდამ ჟამს დაუვიწყარ

შაქრო გიორგის-ძე შალიბაშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 5 საათ. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში, გამოსვენება იქიდანვე, დაკრძალვა კვირას, 8 ივნისს, 4 საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე. 3334

ღრმად დამწუხრებული ძალუა საშა შვილებით იაშა, ანტონი, ლოლა, გრიგოლი, რძალი რიმა, დეიდა რებო ქმარშვილით შალიბაშვილები, ბიძები—გიორგი, ფიდონა თავიანთი ცოლშვილით და ბიძაშვილი ელიზბარი დედით და ცოლშვილით დიდებულიძეები, მამიდაშვილი—კოლა ინაევი თავის ცოლშვილით და სიძე ტარასი პატარა ნაზიკოთი იუწყებიან დაუვიწყარ

შაქრო შალიბაშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას. 3334

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12-საათამ დღა საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ვ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის ხნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის ხნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათმდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს – ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ქ. ქუთაისი ო. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

საქართველოს უზენაეს სასამართლოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქ. თბილისის გაერთიანებული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ოლღა კონსტანტინეს ასულ ლეჟავა-მირიანაშვილის ერთად-ერთი ბავშის

გივი მირიანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 6 ივნისს, საღ. 5 საათზე, ტურგენიევის ქუჩიდან № 4, კუკიის სასაფლაოზე. ნ. 855

ქ. თბ. გაერთიანებული სახ. სასამართლოს მოსამართლეები და ყველა თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ოლღა კონსტანტინეს ას. ლეჟავა-მირიანაშვილის ერთად ერთ ბავშვის

გივი ალექსანდრეს-ძე მირიანაშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა დღეს, 6 ივნისს, საღამოს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ტურგენევის ქ. № 4. 3028

დამწუხრებული ამხანაგები: ი. ყოჩიშვილი, ბ. ჩარექოვი, ი. კარბელაშვილი, ს. აბრამაშვილი, ნ. დვალი, შ. ოქროაშვილი, კ. ცაგარელი, მ. ყვარელაშვილი და ი. ნონიევი აუწყებენ საზოგადოებას მეგობრის ალექსანდრე მირიანაშვილის

პატარა გივიკოს

უდროოდ დაკარგვას. 3032

თბილისის შრომის საქმეთა სახ. სასამართლოს მუშაკები: თედორე შავიშვილი, თებრო გელაშვილი, ა. პაშიკოვი, ლ. ჩაჩანიძე, ე. არჩვაძე, ი. მესხი, მ. შალამოვა, პ. გოგოძე, შ. ტყავაძე და ჟღენტი—ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი ამხანაგის ოლღა ლეჟავა-მირიანაშვილის ვაჟის

გ ი ვ ი კ ო ს

უდროვოთ გარდაცვალების გამო. 3021

საქართვ. მესაქონლეთა კავშირის მუშა-მოსამსახურენი ვიზიარებთ ამხ. ალექსანდრე მირიანაშვილის მწუხარებას მისი შვილის

გ ი ვ ი კ ო ს

უდროოთ დაკარგვის გამო. 3020

გაუბედურებული დედა მაკრინე, ძმები ბიძინა და რეზო, ბიძები: კოლია და ისმაილ ახვლედიანები, ექიმი ივანე და კოლა ასათიანები, დეიდა პელაგია ზალდასტანიშვილი და მამიდა ნუცა მიქაშავიძისა იუწყებიან, რომ დღეს, 6 ივნისს, საღამოს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

გულიკო ახვლედიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3018

გულდათუთქულნი მშობლები ვარინკა და სერგო ახვლედიანები, ბებიები, ბაბუები, ბიძები, მამიდები, დეიდები, ბიცოლები, ბიძაშვილები და დები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 6 ივნისს, 5 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უეცრად დაკარგული ჩვენი ცქრიალა

ლამარა სერგოს ასული ახვლედიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3018

მე-21-თე შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო გულითად მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ელენე ასათიანის მამის

კაპიტონ საყვარელის-ძე ასათიანის

გარდაცვალების გამო. 3028

თავზარდაცემულნი დედა ელისაბედ, მეუღლე თამარა, შვილი მაკა, ძმა ლევან წერეთლები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

პეტრე (პეტია) ალექსანდრეს-ძე წერეთლის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე, ტრიბუხალის ქ. 23. დაკრძალვა შაბათს, 7 ივნისს, 4-ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3024

დამწუხრებული მამა კოსტა, დედა თებრონე, ბებია სოფიო, დაი ფაქულია, ბიძები: ვანო, გიორგი, ივანე, ბიცოლები: ნატაშა, ბაბილინე და ნატაშა მშვიდობაძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი

ლეონტი მშვიდობაძის

(ხონის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის პირველი კურსის მოწაფე) გარდაცვალებას. დაკრძალვა დიდი ჯიხაიშში, შაბათს, 7 ივნისს, საღამოს 5 საათზე. ნ. 848

დამწუხრებულნი მეუღლე დავითი შვილით ოთარი სარჯველაძე, დედამთილი თეკლე, ძაზლები ვანო ცოლით, ლუკა და პედია სარჯველაძეები, დედა მარი იუნგისა, დები ოლია ქმრით ბროვალ სხირტლაძე, ევგენია პანცერის, მელიტა ხვინგია ამით იუწყებიან, რომ

ედვიგა ავგუსტის ასული სარჯველაძე-იუნგის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 7 ივნისს, ბათომში, 1 საათზე, ლიუტერანების სასაფლაოზე. ნ. 847

ტირაჟი—55.531

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904